„დადგით მესხეთში აკვნები, აღზარდეთ კვლავ რუსთაველი“ გიორგი ლეონიძე



# ლიტერატურული მესხეთი

№3 (231)
მარტი
2018 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეოცე წელი "LITERATURULI MESKHETI" "ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ"

# საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918 წწ)

1914 წელს დაწყებულმა პირველმა მსოფლიო ომმა უკიდურესად გაამწვავა ეკონომიკური, პოლიტიკური და ეროვნული კრიზისი რუსეთის იმპერიაში. 1915 წელს რუსეთის არმია დასავლეთის ფრონტზე მარცხს მარცხზე განიცდიდა. სტიქიურად აღმოცენებულმა ბუნტებმა მთელი რუსეთი მოიცვა. მასობრივი ხასიათი მიიღო სასურსათო მაღაზიების დარბევებმა. არეულობა დაუნდობლად ანადგურებდა სურსათის ისედაც მცირე მარაგს. ათჯერ და მეტად გაიზარდა მუშათა გაფიცვების რიცხვი. 1916 წელს გაფიცვებში დაახლოებით მილიონ 170 ათასი კაცი მონაწილეობდა. გლეხთა აჯანყებები ყოველდღიური მოვლენა გახდა. გლეხები ცეცხლს უკიდებდნენ მემამულეთა სახლ-კარს, იტაცებდნენ მათ ქონებას. მსოფლიო ომის ფრონტებზე მიმდინარეობდა ფრონტის სხვადასხვა მხარეს მყოფი ჯარისკაცების დაძმობილების პროცესი.

იმპერიალისტურმა ომმა მთლიანად მოშალა საქართველოს მრეწველობა. თურქეთთან ომის დაწყების შემდეგ საქართველოს და მთელი ამიერკავკასიის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრი - ბათუმი ფრონტისპირა ზოლში აღმოჩნდა. ქალაქის ნავთობგადამმუშავებელმა ქარხანამ და სხვა საწარმოებმა მუშაობა შეწყვიტეს. მკვეთრად შემცირდა ჭიათურის მანგანუმის, ტყიბულის ქვანახშირის წარმოება. მრავალმა საწარმომ შეამცირა პროდუქციის გამოშვება თბილისშიც. ბევრი მათგანი მთლიანად დაიხურა კიდეც.

მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილის ფრონტზე გაწვევამ მუშახელის გარეშე დატოვა საქართველოს სოფლის მეურნეობაც. მკვეთრად შემცირდა ნათესების რაოდენობა, გაჩანაგდა მევენახეობა, მეთამბაქოება, მესაქონლეობა. სოფლებში მასობრივმა სიღატაკემ და შიმშილობამ დაისადგურა.

**ცხადი იყო, რომ რუსეთში ახალი რევოლუცია მწიფდებოდა.**

შექმნილმა ვითარებამ მეფის ხელისუფლება მძიმე ალტერნატივის წინაშე დააყენა. მას ან უნდა გაეგრძელებინა ომი და, პარალელურად, მოახლოებულ რევოლუციასაც გამკლავებოდა, ან სეპარატული ზავი დაედო გერმანიასთან, ამით დაეწყნარებინა ომით გაწამებული ხალხი და ეზრუნა ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის გამოსწორებაზე. 1916 წლის ბოლოს მეფემ ნაბიჯი სეპარატული ზავისკენ გადადგა. ამან ანტანტისა და რუსეთის ბურჟუაზიის შეშფოთება გამოიწვია. მალე ნიკოლოზ მეორემ სახელმწიფო სათათბიროს მუშაობა შეაჩერა. ბურჟუაზიამ გადაწყვიტა პასიურად არ დალოდებოდა მოვლენების მისთვის არასასურველ განვითარებას. „პროგრესულმა ბლოკმა,“ ინგლის-საფრანგეთის ხელისუფლების ფარული მხარდაჭერით, გადაწყვიტა სასახლის გადატრიალება მოეწყო და ნიკოლოზის ნაცვლად მეფედ მისი ძმა მიხეილი დაესვა.

თავიანთი გეგმების განხორციელება ვერც ნიკოლოზმა მოასწრო



და ვერც „პროგრესულმა ბლოკმა“. ზედაფენების შეთქმულებებს ქვედა ფენების რევოლუციურმა აზვირთებამ დაასწრო. მთავარი მოვლენები პეტროგრადში განვითარდა. 25 თებერვალს დედაქალაქის მშრომელები ქუჩაში გამოვიდნენ. გაფიცვამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. 27 თებერვალს პეტროგრადის გარნიზონის 66 ათასი ჯარისკაცი რევოლუციის მხარეზე გადავიდა. შეშფოთებულმა მეფემ სამხედრო მინისტრს ქალაქში „არეულობის დაუყოვნებლივ აღკვეთა“ მოსთხოვა: **„მეფეო, ეს არეულობა არ არის, ეს რევოლუციაა“,** – იყო მინისტრის პასუხი. *ნიკოლოზ მეორე* იძულებული გახდა გადამდგარიყო. რუსეთში დემოკრატიულმა რევოლუციამ გაიმარჯვა.

საქართველომ ცარიზმის დამხობის შესახებ *კარლო ჩხეიძის* (ზოგიერთი ცნობით – ქართველი სტუდენტების) დაშიფრული დეპეშით შეიტყო: **„მთავრობაძე გარდაიცვალა, შეატყობინეთ ახლობლებს!“** – ეწერა დეპეშაში.

**2 მარტს პეტროგრადში ჩამოყალიბდა დროებითი მთავრობა თავად ლვოვის ხელმძღვანელობით.** ახალ მთავრობას უფლებები კი გააჩნდა, მაგრამ ძალა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების ხელში რჩებოდა. ზედაფენები მხოლოდ მთავრობას აღიარებდნენ, ქვედაფენები, ძირითადად, საბჭოებს უჭერდნენ მხარს. ამის შედეგად რუსეთში შექმნილი სიტუაცია ისტორიაში ორხელისუფლებიანობის სახელით არის შესული.

**დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის მართვა-გამგეობა „ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს“ („ოზაკომს“) დაავალა და კავკასიიდან მეფისნაცვალი გაიწვია.** გადაადგნენ თბილისისა და ქუთაისის გუბერნატორებიც. მაზრის უფროსები გადააყენეს. ზოგი მათგანი დააპატიმრეს კიდეც. „ოზაკომის“ ქართველი წევრები იყვნენ *კიტა აბაშიძე* (სოციალისტ-ფედერალისტი) და *აკაკი ჩხენკელი* (სოციალ-დემოკრატი). „ოზაკომი“ თავის საქმიანობას თბილისში 18 მარტს შეუდგა.

**1917 წლის აპრილის დამდეგიდან თბილისში ეროვნული ხელისუფლების პირველი ჩანასახი – „საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული ბიურო“ (იმავე წლის აგვისტოდან - საბჭო) ამოქმედდა.** ეს იყო პოლიტიკურ პარტიათა ნებაყოფლობითი გაერთიანება. მასში შედიოდნენ: სოციალ-დემოკრატები, ეროვნულ-დემოკრატები, სოციალისტ-ფედერალისტები, სოციალისტ-რევოლუციონერები. ინტერპარტიული საბჭო, ეროვნული მოძრაობის მიზნად, რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს ფართო ავტონომიის მოპოვებას აღიარებდა.

რუსეთის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საქართველოში **აშკარად შეიმჩნეოდა ანტირუსული განწყობილების შესუსტება. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა: 1. ცარისტული რეჟიმის აღსასრული გარკვეული იმედი იყო რუსეთის იმპერიაში შემავალი დაპყრობილი ერებისთვის; 2. რუსეთის დროებითი მთავრობის პირველი ნაბიჯები მოწმობდა, რომ ის უარს ამბობდა კოლონიალური მმართველობის ძველ პრინციპებზე. წარსულს ჩაბარდა ჟანდარმერიისა და ოხრანკის თარეში და ა. შ.; 3.** რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ძალზე მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე და ირაკლი (კაკი) წერეთელი. კარლო ჩხეიძე ჯერ პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ, 1917 წლის ივნისში კი სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედაც იქნა არჩეული. ირაკლი წერეთელი კი კოალიციური დროებითი მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური და გავლენიანი წევრი იყო. ეს ქმნიდა ილუზიას, რომ დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში ავტონომიის სახით დარჩენის შემთხვევაში საქართველოს ინტერესები დაცული იქნებოდა.

საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო ქართველი ერის მიერ არ ყოფილა არჩეული და, ამდენად, იურიდიულად მას ლეგიტიმაცია აკლდა. ინტერპარტიულ საბჭოში გრძნობდნენ ამ უხერხულობას და ეძებდნენ გზებს ისეთი ორგანოს შექმნისთვის, რომელიც უფლებამოსილი იქნებოდა ქართველი ერის სახელით ელაპარაკა. ასე ჩაისახა საქართველოს ეროვნული ყრილობის მოწვევის იდეა. მართალია, არც ეროვნული საბჭო იქნებოდა სრულად ლეგიტიმური, მაგრამ ის მაინც ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯად აღიქმებოდა.

პოლიტიკურ პარტიათა თხოვნით ეროვნული ყრილობის მოწვევის საქმეს სათავეში **ნოე ჟორდანია** ჩაუდგა. მისი ხელმძღვანელობით კომისიამ შეიმუშავა ყრილობის დელეგატთა არჩევის წესი, განსაზღვრა საარჩევნო კვოტები და ა. შ. ინტერპარტიულ საბჭოში შეთანხმდნენ, რომ ეროვნული ყრილობა აირჩევდა ეროვნულ საბჭოს. თავის მხრივ, ეროვნული საბჭო შეიმუშავებდა საარჩევნო კანონს დამფუძნებელი კრებისთვის.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევის წინ რუსეთში სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. 1917 წლის 25 ოქტომბერს (ახალი სტილით 7 ნოემბერს) პეტროგრადში მომხდარი გადატრიალების შედეგად ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ. ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა, სოციალისტ-ფედერალისტებმა და ეროვნულ-დემოკრატებმა არ სცნეს ბოლშევიკური ხელისუფლება. რუსეთში მომხდარი გადატრიალება დაგმეს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა, ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა და რუსეთის კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებმაც. ბოლშევიკურ გადატრიალებას გაემიჯნა კავკასიის არმიის სარდლობაც.

რუსეთის დროებითი მთავრობის დამხობასთან ერთად, უფლებამოსილება დაკარგა მის მიერ დანიშნულმა „ოზაკომმაც“.

ცხადი იყო, რომ ბოლშევიკები შეეცდებოდნენ თავიანთი ძალაუფლება კავკასიაზეც გაევრცელებინათ. ამიერკავკასიის პოლიტიკურმა ძალებმა დაასწრეს ბოლშევიკებს და შექმნეს ამიერკავკასიის კომისარიატი (მთავრობა), რომელმაც ფუნქციონირება 1917 წლის 15 ნოემბერს დაიწყო. კომისარიატის თავმჯდომარედ ევგენი გეგეჭკორი აირჩიეს. ში-

გაგრძელება მე-2 გვ. ▶

## მაკა ბერიძე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აირჩიეს



სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 31 იანვრის (ოქმი N3) დადგენილებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად ოთხი წლის ვადით არჩეული იქნა მაკა ბერიძე.

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია სულითა და გულით ულოცავს ქალბატონ მაკა ბერიძეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად არჩევას და უსურვებს ღირსეულად გაეგრძელებინოს ის დიდი ტრადიციული კურსი, რომელიც უნივერსიტეტს უჭირავს ქვეყნისათვის მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებისა და სამეცნიერო მუშაობის განვითარებისათვის.

# საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა (1917-1918 წწ)

◀ დასაწყისი გვ. 1

ნაგან საქმეთა სამინისტროს აკაკი ჩხენკელი, განათლებისა და იუსტიციის სამინისტროს კი შალვა ალექსი-მესხიშვილი ჩაუდგნენ სათავეში. ხელისუფლების ახალი ორგანოს შექმნით ამიერკავკასია ოფიციალურად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს. **ამასთან, კომისარიატი ამიერკავკასიას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ კი არ აცხადებდა, არამედ ხაზს უსვამდა, რომ ის სამხარეო ორგანოს ფუნქციებს რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენამდე შეინარჩუნებდა.**

შექმნილ ვითარებაში ეს უაღრესად წინდახედული ნაბიჯი იყო, რადგან დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში რუსეთის კავკასიის არმია ფრონტიდან მოიხსნებოდა, რაც თურქეთის აგრესიას გაუხსნიდა გზას.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მაშინდელი ქართველი პოლიტიკოსები რეალისტურად აფასებდნენ შექმნილ ვითარებას და ადეკვატურ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლიციის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შანსი გაუჩნდა. ომით და რევოლუციით დაუძლურებულ რუსეთს იმპერიის მთლიანობაზე ზრუნვის თავი აღარ ჰქონდა. თუმცა, მსოფლიო ომის მესამე წელსაც კი შეუძლებელი იყო საომარი ოპერაციების განვითარების მეტ-ნაკლებად ზუსტი პროგნოზირება. შესაბამისად, შეუძლებელი იყო საგარეო-პოლიტიკური კურსის განსაზღვრა და საიმედო მოკავშირის პოვნა. კავკასიის რეგიონში დამკვიდრებისთვის მაშინ, რუსეთის გარდა, თურქეთიც იბრძოდა. ირანი ამ დროს საკმაოდ დასუსტებული იყო, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობისთვის პრობლემების შექმნა მასაც შეეძლო. მსოფლიო ომის პირობებში ევროპის ქვეყნები რუსეთსა და თურქეთს შორის კავკასიისთვის დაპირისპირებაში წონასწორობის გარანტად ვერ გამოდგებოდნენ. პირიქით, ანტანტის სახელმწიფოები პირდაპირ აცხადებდნენ, რომ სცნობდნენ მხოლოდ მთლიან და განუყოფელ რუსეთს. იმპერიაში შემავალ ცალკეულ ერებს კი რუსეთის ნაწილებად განიხილავდნენ. მეორე მხრივ, ამ წონასწორობის დარღვევის არცერთი ვარიანტი საქართველოს ხელს არ აძლევდა. რუსეთის წასვლა ამიერკავკასიიდან აქ თურქეთის უცილობელ გაბატონებას მოასწავებდა, თურქეთის პოზიციების შესუსტება კი რუსეთს გაუხსნიდა ხელფეხს აქტიური მოქმედებებისთვის.

მოვლენები ჩვენთვის იდეალური სცენარითაც რომ განვითარებულიყო და რუსეთი და თურქეთი ამიერკავკასიიდან ერთდროულად წასულიყვნენ, რეგიონში მცხოვრები ხალხები მაინც დიდი სიძნელეების წინაშე აღმოჩნდებოდნენ. რუსეთმა კავკასიაში დემოგრაფიული ვითარება კარდინალურად შეცვალა, რის გამოც აქ მცხოვრები ხალხების ეროვნულ-სახელმწიფოებრივი გამიჯვნა სისხლისღვრის გარეშე შეუძლებელი იყო. დიდი სახელმწიფოების კავკასიიდან წასვლა აუცილებლად მისცემდა ბიძგს სხვადასხვა ეროვნებისა და აღმსარებლობის ხალხების დაპირისპირებას და რეგიონი პოლიტიკურ, რელიგიურ და ეთნიკურ კონფლიქტებში ჩაიძირებოდა.

**ასეთ რთულ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში ქართველი პოლიტიკოსები რადიკალური პოლიტიკური კურსის დაფიქსირებას ერიდებოდნენ, რათა სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში მისი კორექტირება შეძლებოდათ.**

და მაინც, საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ (1917 წლის 19-24 ნოემბერი) სრულიად მკაფიოდ განსაზღვრა ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია. ყრილობამ დაადასტურა, რომ ქართულმა დემოკრატიამ **„დღიდან თავისი არსებობისა, თავისი სვებედი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატიას...“**. ამასთან, მთავარმა მომხსენებელმა – ნოე ჟორდანიამ აღნიშნა, რომ **„თუ რუსეთში ვერ მოხერხდა ახლო მომავალში დამფუძნებელი კრების მოწვევა, ჩვენ იძულებული ვიქნებით მოვიწვიოთ ადგილობრივი დამფუძნებელი კრება და ჩვენს თავს მივცეთ კონსტიტუცია – უნდა მოვითხოვოთ, რომ საქართველოს მიენიჭოს სრული შინაური თვითმმართველობა...„**

ნოე ჟორდანიას მოხსენებას კამათი არ გამოუწვევია. ბოლშევიკ *ფილიპე მახარაძის* გარდა მას ყველა პარტიის წარმომადგენელი შეუერთდა. სოციალისტ-ფედერალისტების სახელით ყრილობაზე გამოსულმა *გრიგოლ რცხილაძემ* მოიწონა ჟორდანიას მიერ წამოყენებული ეროვნულ ძალთა საერთო ნიადაგზე დგომის იდეა. სოციალისტ-რევოლუციონერმა *გრიგოლ ნათაძემ* აღნიშნა, რომ მისი პარტია საჭიროდ არ მიიჩნევს მოხსენებისთვის რაიმეს დამატებას და მთლიანად იწონებს მასში ჩამოყალიბებულ დებულებებს. – **„ჟორდანიას სიტყვა გვაერთიანებს ყველას. ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენს შორის არ არსებობს უთანხმოება, მაგრამ ამჟამად სავსებით ვეთანხმებით მოხსენებას და არ გამოვდივართ სეპარატისტული განცხადებებით„**-ო, – აღნიშნა ეროვნულ-დემოკრატმა *გიორგი გვაზავამ.*

ყრილობის დახურვისას ნოე ჟორდანიამ ხაზგასმით აღნიშნა: **„მართალია, ჩვენ დანაწილებული ვართ პოლიტიკური და სოციალური მოსაზრებებით, მაგრამ ნაციონალურ სფეროში შევერთდით და შევქმენით ერთი ნაციონალური ფრონტი“.**

ამრიგად, საქართველოს ეროვნულმა ყრილობამ მიიღო ქვეყნის სრული თვითმმართველობის, ანუ პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნა და ამით საერთო ნიადაგი მოუმზადა ეროვნული ძალების კონსოლიდაციას. ამ საქმეში გადამწყვეტი როლი სწორედ ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა შეასრულეს. მაშინდელი საქართველოს არცერთი რამდენადმე მაინც სერიოზული პოლიტიკური ძალა არ გამოდიოდა ქვეყნის სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნით. მართალია, პარტიებს შორის უთანხმოებას იწვევდა რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს სტატუსის საკითხი: **ეროვნულ-დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ თუ რუსეთი ფედერაციის პრინციპის საფუძველზე მოეწყობოდა, საქართველოს მის შემადგენლობაში უნდა ჰქონოდა ავტონომიის სტატუსი, საკანონმდებლო უფლებებით და საკუთარი პარლამენტით. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი უნიტარულ სახელმწიფოდ დარჩებოდა, საქართველო მის შემადგენლობაში 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის საფუძველზე უნდა შესულიყო. სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერდნენ ამიერკავკასიის ავტონომიას სეიმით (პარლამენტით) რუსეთის შემადგელობაში. სოციალისტ-ფედერალისტები ტრადიციულად საქართველოსთვის პოლიტიკურ ავტონომიას მოითხოვდნენ. ამ განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, ქართული პოლიტიკური ძალები მთავარში ერთ პოზიციაზე იდგნენ – მხარს უჭერდნენ დემოკრატიული რუსეთის შემადგენლობაში საქართველოს დარჩენას.**

რატომ არ აყენებდნენ ქართული ეროვნული პარტიები ქვეყნის სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოთხოვნას?

ქართველი პოლიტიკოსები ამ კითხვას სავსებით კონკრეტულად პასუხობდნენ: **დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში თურქეთი მიიტაცებს ქართულ მიწებს. ამიტომ გარკვეული დროით ჩვენ უნდა შევურიგდეთ სუვერენიტეტის შეზღუდვას და ამ გზით შევინარჩუნოთ ტერიტორიული მთლიანობა. ხელსაყრელ დროს სუვერენიტეტის აღდგენას ჩვენ კიდევ შევძლებთ, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება კი ძალზე ძნელი იქნება.**

ცხადია, ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ ქართველი პატრიოტები უარს ამბობდნენ ქვეყნის სრულ დამოუკიდებლობაზე. რუსეთისგან სრული პოლიტიკური განკერძოების ერთ-ერთ მომხრეს რომ პასუხობდა, *არჩილ ჯორჯაძე* აღნიშნავდა: **„ჩვენ უფრო უკიდურესი თავისუფლების მომხრენი ვართ, მაგრამ ჯერჯერობით იმას ვითხოვთ, რაც უფრო ადვილი მისაღწევი არისო“.**

ქართველ პოლიტიკოსთა ასეთი პოზიცია მათ წინდახედულობაზე, პოლიტიკურ სიმწიფეზე, რთულ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში სწორი ორიენტაციის უნარზე მეტყველებს. ისინი ქართულ საქმეს ისე აკეთებდნენ, რომ მთელი რუსული პოლიტიკური სპექტრის თუ არა, მისი დიდი ნაწილის კეთილგანწყობას ინარჩუნებდნენ. ამ მხრივ დამახასიათებელია 1917 წლის სექტემბერში პეტროგრადში გამართულ რუსეთის დემოკრატიული ძალების თათბირზე ქართველ მხედართა კავშირის სახელით გამოსული *ესტატე მაჩაბლის* სიტყვა: **„თუ ჩვენ, ქართველებმა, დღემდე არავითარი ეროვნული მოთხოვნა არ წარვუდგინეთ რუსეთის დემოკრატიულ მოძრაობას, ეს იმიტომ კი არა, რომ ჩვენ ეროვნული თვითშეგნება არა გვაქვს, ან კიდევ ძალა არ შეგვწევს განვახორციელოთ ჩვენი ეროვნული იდეალი. არა – ჩვენ ერთიც გვაქვს და მეორეც. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ იმ დროს, როდესაც სახელმწიფო და რევოლუცია ასეთ აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება, არ შეიძლება გავართულოთ ისედაც უკვე გართულებული საერთო საქმე.„**

ქართველი პოლიტიკოსის ამ სიტყვების შემდეგ მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ოვაცია გაუმართა ორატორს.

საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას გადამწყვეტი ხმის მქონე 324 და სათათბირო ხმის მქონე 19 დეპუტატი ესწრებოდა. ყრილობის დეპუტატები საქართველოს სრულ პოლიტიკურ და სოციალურ სპექტრს, საზოგადოების ყველა ფენას, წარმოადგენდნენ. 22 ნოემბერს ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო 66 წევრისა და 61 კანდიდატის შემადგენლობით. არჩეულთა პარტიული კუთვნილება ასეთი იყო: **სოციალ-დემოკრატები – 28; სოციალის-ფედერალისტები – 10. ეროვნულ-დემოკრატები – 9; რადიკალ-დემოკრატები – 1; სოციალისტ-რევოლუციონერები – 7; უპარტიონი – 2 კაცი. ეროვნულ საბჭოში აირჩიეს სამაჰმადიანო საქართველოს (აჭარა) – 3, ზაქათალის ოლქის (საინგილო) და სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს თითო წარმომადგენელი.**

ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ, აგრეთვე, აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედაც ნოე ჟორდანია აირჩიეს.

1917 წლის 8 დეკემბერს საქართველოს ეწვივნენ ანტანტის (აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია) დიპლომატები, რომლებმაც ქართველ პოლიტიკოსებს პირდაპირ განუცხადეს, რომ სცნობენ მხოლოდ ერთიან და განუყოფელ რუსეთს. ეს მძიმე დარტყმა იყო საქართველოს სრული დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი ეროვნელი დემოკრატების მცირე ჯგუფისთვის. თუმცა, სულ მალე, 1918 წლის იანვარში საბჭოთა რუსეთმა კავკასიის ფრონტიდან მოხსნილი ჯარისკაცების მეშვეობით ამიერკავკასიის ოკუპაცია სცადა, რამაც არანაკლებ მძიმე დღეში რუსული ორიენტაციის მომხრე ძალები ჩააგდო. იანვრის დამდეგს ბოლშევიკთა გავლენის ქვეშ მყოფმა სამხედრო შენაერთებმა ფრონტის ხაზი დატოვეს და თბილისისკენ დაიძრნენ. ზოგიერთმა მათგანმა ძალით სცადა თბილისისკენ გაჭრა, მაგრამ ახლადშექმნილმა ქართულმა კორპუსმა და სახალხო გვარდიის ნაწილებმა სადგურ შამქორთან გამართულ ბრძოლებში სასტიკად დაამარცხეს რუსული შენაერთები და მათ ბაქოსკენ დაახევინეს.

1918 წლის 6 იანვარს რუსმა ბოლშევიკებმა დამფუძნებელი კრება გარეკეს, რამაც რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის იმედები საბოლოოდ გააქრო. ამ **ახალი რეალობის გათვალისწინებით 1918 წლის 10 თებერვალს ამიერკავკასიის კომისარიატმა რუსეთში დამფუძნებელ კრებაში არჩეული დეპუტატებისგან ამიერკავკასიის სეიმი (პარლამენტი) მოიწვია. ეს იყო საბჭოთა რუსეთისგან დამოუკიდებლობის მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი, თუმცა მას ჯერ კიდევ აკლდა იურიდილი გაფორმება.**

მძიმე მდგომარეობაში მყოფმა საბჭოთა რუსეთმა 1918 წლის 3 მარტს გერმანიასთან სეპარატული ზავი დადო. გერმანიის მოკავშირე თურქეთმა ამ ზავით ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქები მიიღო. ცხადია, აღნიშნული ტერიტორიების თურქეთისთვის გადაცემა ამიერკავკასიის კომისარიატისთვის არავის შეუთანხმებია, რადგან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას არც რუსეთი, არც გერმანია და არც თურქეთი არ სცნობდა.

თურქეთი მაშინვე შეუდგა ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მინიჭებული უფლებების რეალიზაციას. ამიერკავკასიის სეიმმა უარყო თურქეთის მოთხოვნა ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქების დაცლის შესახებ. 14 მარტს ქალაქ ტრაპიზონში დაიწყო მოლაპარაკება თურქეთთან. ამიერკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა. მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ გამოიღო. 8-9 აპრილს თურქეთმა საომარი მოქმედებები დაიწყო. 15-21 აპრილს თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, ოზურგეთი, მთელი მესხეთი თითქმის ბორჯომამდე. თურქების შეჩერება ქართულმა ჯარმა მხოლოდ ჩოლოქთან შეძლო.

**ასეთ მძიმე ვითარებაში 1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმის სხდომამ ამიერკავკასია „დამოუკიდებელ დემოკრატიულ ფედერაციულ რესპუბლიკად“ გამოაცხადა. ახლად შექმნილი რესპუბლიკის მთავრობის მეთაურად სეიმმა აკაკი ჩხენკელი დაამტკიცა.**



მთავრობის წევრები. 1918 წ.

ამიერკავკასიის სამმა ქვეყანამ ფედერაციული გაერთიანება კი გამოაცხადა, მაგრამ ამ სამოკავშირეო სახელმწიფოს გადაუჭრელ პრობლემად ექცა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი. საქართველო არჩევანს გერმანიაზე აკეთებდა, სომხეთს ინგლისის იმედი ჰქონდა, აზერბაიჯანი კი აშკარად თურქეთისკენ იხრებოდა. ამიერკავკასიის ფედერაციის სიმტკიცეს დიდად ვნებდა ტერიტორიების გამიჯვნის საკითხიც. ამის მიუხედავად, სამივე ქვეყნის მესვეურებს ესმოდათ, რომ უაღრესად მძიმე სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში მათი რესურსებისა და ძალისხმევის გაერთიანება მწვავე აუცილებლობას წარმოადგენდა.

ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკა კონსტიტუციის შემუშავებასაც შეეცადა, თუმცა აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის არსებული წინააღმდეგობები ასეთი ფუნდამენტური დოკუმენტის მიღებას შეუძლებელს ხდიდა.

სამხედრო-პოლიტიკური ვითარება კი რეგიონში სულ უფრო მძიმე ხდებოდა. 1918 წლის 11 მაისს ბათუმში განახლდა ამიერკავკასია-თურქეთის საზავო კონფერენცია. ამიეკავკასიის დელეგაციას აკაკი ჩხენკელი ხელმძღვანელობდა. თურქეთი პოზიციის დათმობას არ აპირებდა. პირიქით – ახლა უფრო მეტს მოითხოვდა. ეროვნული საბჭოს სახელზე 12 მაისს ბათუმიდან გამოგზავნილ თავის საიდუმლო წერილებში აკაკი ჩხენკელი იტყობინებოდა, რომ თურქეთი ითხოვს ახალციხეს, ახალქალაქს და ერევნის გუბერნიის თითქმის ყველა მაზრას და იქვე აფრთხილებდა ეროვნულ საბჭოს, რომ საქართველოსთვის თურქეთთან ომის წარმოება დამღუპველი იქნებოდა. ჩხენკელი ერთადერთ გამოსავალს გერმანიასთან კავშირის შეკვრაში ხედავდა, თუმცა, ისიც ცხადი იყო, რომ გერმანულ საგარეო პოლიტიკურ კურსზე აზერბაიჯანი და სომხეთი უარს იტყოდნენ. 14 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ ოფიციალურად დაადასტურა გერმანული საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია. ჩხენკელისთვის გაგზავნილ მითითებებში აღმასრულებელი კომიტეტი მას გერმანიის საზავო დელეგაციის ხელმძღვანელთან, გენერალ ფონ ლოსოვთან მოლაპარაკებების წარმოებას ავალებდა.

**ფონ ლოსოვმა** საქართველოსთვის დახმარების გაწევის წინაპირობად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების საკითხი დააყენა. 15 მაისს ჩხენკელი კიდევ ერთ საიდუმლო წერილს აგზავნის თბილისში, ამჟამად უკვე ნოე ჟორდანიას სახელზე: „... **ამიერკავკასიის მთავრობის სახელით თურქეთთან საზავო მოლაპარაკება ჩიხში მოექცა. მაქვს რა გერმანიის დელეგაციის მხარდაჭერის იმედი, მე ვიწყებ დიპლომატიურ მოქმედებას საქართველოს სახელით. „საქართველოს**

გაგრძელება მე-11 გვ. ▶

## დავით ახლოური

* * *

წავიდეთ, ჩემო პატარა ქალო,
გაზაფხულისკენ გავყვეთ თოლიებს...
ამ სიყვარულში არ დამეღალო,
როცა ტაძრისკენ გაგიყოლიებ...

წავიდეთ, ჩვენთვის ვიცხოვროთ
მშვიდად,
არღუნის პირას გაგიშლი ნაბადს.
ფეხზე ჩაგაცმევ ხევსურულ წინდას,
ტანს შეგიმოსავს ჭრელ-ჭრულა კაბა.

იყავი ჩემი ფხოველი ქალი,
დღე დავუღამოთ ავსულს და აშარს.
სათიბში კოკით მიზიდე წყალი,
ხატობას სალვთო მივართვათ ლაშარს.

წავიდეთ, ღამე მოვკეცოთ ოთხად,
თორემ გულის სისხლს ველარ ვიოკებ...
ავახმიანოთ მთიელთა მოდგმა,
მტერს რომ ჯიშ-ჯილაგს
აუწიოკებს.

წავიდეთ, ვიდრე ეს მთვარე მთვარობს,
ვიდრე ეს ცეცხლი გულში მინთია...
წამო და მერე ვაჟები ვთვალოთ:
ზეზვა,
ალუდა,
თორღვა,
მინდია...

წავიდეთ, ჩემო პატარა ქალო,
ვიდრე მიჯნურობს ქსანი არაგვთან...
წამო და მერე ქალებიც ვთვალოთ:
მზეო,
ძიძია,
მზაღო,
სანათა...

როგორ მიყვარხარ, სიცოცხლევ ჩემო,
ჩემო ყველაო, შენს მეტი ვინ მყავს...
შენს გამო ახლა სამყაროს ვჩემობ
და სიყვარულიც შენს გამო მიყვარს...

ჰოდა, წავიდეთ ჩემო მზექალო,
გაზაფხულისკენ გავყვეთ თოლიებს...
ამ სიყვარულში არ დამეღალო,
როცა მთებისკენ გაგიყოლიებ!

### მწვანე თვალები

ვის არ ვუყვარდი და
ვინ არ მყვარებია,
ბევრი გამიხსენებს
ალბათ შეფერებით...
მაგრამ ერთ გოგონას,
მწვანეთვალებიანს,
ისევ ვიჩემებ და
ისევ ვეფერები.

ჩემი სიყვარული
იყო ღმერთის ნება,
ჰოდა, იწერება
ლექსად მესიჯები.

როგორ მადარდებს და
როგორ მეფიქრება,
უფალს ხელს ვუწვდი და
გულზე ვესინჯები.

მაგრამ მას რომ კითხო,
თითქოს აღარ მელის,
თითქოს სხვის გარეშე
სული ეხუთება...
ცოტა ჯიუტია,
ცოტა საძაგელი,
თორე ფიქრის იქით
გულში მეხუტება.

და მეც ოცნებებით
ისევ ავივსები,
ჩემი ფიქრის ერთა
როგორ მყვარებია...
ზოგსაც ზღვისფერი და
ზოგსაც თაფლისფერი,
მაგრამ ჩემს სიყვარულს
მწვანე თვალები აქვს.

### მარტოობის ქალწული

მეწამული ცა ღამეს მინებდა,
როგორც სწორფერი
სწორფერს და წაწალს.
ღამეა, წვები დასაძინებლად,
ბროლისფერ მკერდზე დაიშლი
ნაწნავს.

მარტო ხარ, არ გსურს არც
მიწა, არც ცა,
ამ ქვეყნის მიღმა დაეძებ
კუნძულს.
ვაჟის კოცნის და ალერსის
ნაცვლად
მთვარე გიკოცნის ხორბლისფერ
ძუძუს.

* * *

ჩემი მზე
იმ ღრუბელს ჰგავდა,
რომელზეც
მიამბე გუშინ...
არ ვიცი,
რა ვუყო ამ დარდს,
ტკივილად
რად მოხველ
გულში...

თუმცა კი
ვეძებდი დიდხანს,
სიმშვიდე
ვერსაით ვპოვე...
წადიო, -
გინდა რომ მითხრა,
თვალები
დარჩენას მთხოვენ...

არ მინდა
სხვა შეგრჩეს
ვალად,
სიცოცხლე

მას უნდა მისცე, -
ვისთვისაც
მოხვედი ქალად,
ვისთვისაც ეგ გული
გიცემს!..

### ეშმათფერა

ეშმათფერაო, -
სხვაზე არა,
შენზე თუ ითქმის...
თვალს მარიდებ და
შეხსნილ ღილებს
თითებზე ითვლი.
მკერდზე დაშლილი
დაგიეკლავს ძუძუს გიშერი...
ეშმათფერაო,
ანგელოზებს გავხარ
შიშველი...
ან იქნებ ევას გადარებენ,–
ბიბლიურ ევას,
იქნებ შენც გსურდეს,
ღმერთის ჩუმად
ადამის ძლევა...
რა მაცდური ხარ,
ულმერთოდ რომ
მარიდებ ცრემლთა...

ეშმათფერაო,
ნუღარ წახვალ,
იყავი ჩემთან...

* * *

– ვუყვარვარ?
– არა?
ეკითხები
ისევ გვირილებს,
ისევ ბავშვი ხარ,
სიყვარულო,
ბავშვივით ხარობ...
როცა ღიმილით
წამოგცდება:
,,შენი ჭირიმე,"
გვირილა
როგორ გაგიბედავს, –
,,არ უყვარხარო..."

– ვუყვარვარ?
– არა?
ყველაფერი
ღმერთის ნებაა,
ის რაც გულშია,
შენია და
გიჭირს გამხელა...

ჩემი ცხოვრება
დაკარგული
ნეკნის ძებნაა,
ნეკნის, რომელსაც
სიყვარული
ჰქვია სახელად...

* * *

როგორ ვარ?
– რა ვიცი...
არც ისე,
როგორც სურს
ძმასა და მოყვარეს.
ყოველდღე
გზას ვუთმობ
ნარცისებს,
რომლებმაც
ღიმილი მომპარეს.

როგორ ვარ?
– რა გითხრა...
ისე რაა...
ვხედავ რომ,
დღითი დღე
ვბინდდები.
ფიალა
ბალღამით ივსება,
შარბათით
სავსეა ჭიქები...

და მაინც
ფიალას გამოვცლი,
ნაწყენი
არ დამრჩეს
სუფრა რომ...
როგორმე
თუ მიწას
გამოვცდი,
კალთაზე გემთხვევი,
უფალო...
როგორ ვარ?
– არ ვიცი,
რა გითხრა...
ისე, რაა –
გილიმი ამაოდ...
აღარ მსურს
დარჩენა
აქ დიდხანს,
მე ცოდვილს,
ნუ მიწყენ,
მამაო!!!

* * *

გაშიშვლდა ხალხი,
რაც აცვია,
იმასაც იხდის,
რა გითხრა კიკუ,
ეს სიშიშვლე,
ალბათ, არ გსურდა...
ნუღარ გაიხდი,
ე, მაგ გროშებს,
რა თავში იხლი,
მაგათი ფული,
რახანია,
გაუფასურდა...

შესცოდეს კიკუ,
შესცოდეს და
ხვდებიან ვერც კი,
მუცალის ნაცვლად
ჩამოტეხეს
მხარი ალუდას...
კაცობრიობას ოცდაათიც
ეყოფა ვერცხლი,
ქრისტეს ჯვარცმიდან
შეუცვლელი,
მყარი ვალუტა!

* * *

დედავ ღვთისაო,
ჩემი ხალხის
იყავ მეოხე...
ჯერაც არ ვიცით
დღეს რა გველის
ან რა გველის ხვალ...
ლამის ფრესკიდან
გადმობრძანდეს
დავით მეოთხე,
ლამის იჭექოს
სამასივე
არაგველის ხმამ...

დედავ ღვთისაო,
დაგვიფარე
განსაცდელისგან!

* * *

იქ ყველა ტკივილი წაიშლება,
სახიდან ღიმილი ჩამოდნება...
სხეული თანდათან დაიშლება,
ხორცი ჩალპება და ჩამოჭკნება...

მიწა ისევ მიწად გარდიქმნება,
დიდი მდუმარება დაიწყება...
სული, სული ჩემი, სად იქნება,
ნეტა ცის კარი თუ გაიღება...

იქ
ყველა ტკივილი
წაიშლება?..



ფოტო სოსო მიქელაძისა

## ეთერ გელაშვილი

### ზამთარი

მზე ნისლებში ჩაესვენა,
მთვარე არ სჩანს, მე სულ
ვწევარ,
ხასიათი შემეცვალა,
ტოტებდაჭრილ ტირიფს ვგევარ.
ცრემლი გაშრა, გული ტირის,
მეც არ მინდა, მაგრამ მაინც,
გრძნობა ფიქრში აირია,
თოვლში ვეძებ ედელვაისს.
კოშმარებში ვიძირები,
თან დავყვები წვიმას ქარში,
გაყინული თოლიები
მომწივიან ღია ზღვაში.
დალმართზე ვარ, წავიჩოქე,
ვერ შევძელი წამოდგომა,
ასე მწუხრში გაილია,
ჩემი წილი შემოდგომა.
რაღას მომცემს დაზამთრება,
ბუხარს გასდის უკვე ყავლი,
ვნატრობ დღეებს, წუთებს,
წამებს,
ძველ დროს, ჩემთან ერთად
ჩავლილს.
ნიჰილიზმი მომეძალა,
მაინც ვხედავ ბნელში ნათელს,
მჯერა, დედა ღვთისმშობელი
გზას თვითონვე გამინათებს.

### თუ აყვავდება

თუ აყვავდება მინდორში ნუში,
გულს გადაიშლის თეთრი
შროშანი,
გამახსენდება რაც იყო გუშინ,
მოახლოვდება, ის რაც შორს
არის!
თუ ნაკადული იჩქარის
ზღვისკენ,
ბულბული ეტრფის
მშვენიერებას,
შენი ოცნება ისწრაფვის ცისკენ,
მზის ქვეშ დაეძებს
ბედნიერებას.
თუ იასამნის მკვეთრი სურნელი
სახეზე ნაზად მოგილამუნებს,
აღარ დაგრჩება რამე უთქმელი,
მუზა თავისით მოგიკაკუნებს.
აგიჩქროლდება საამოდ სული,
ოცნება გაშლის უსაზღვროდ
ფიქრებს,
ლამაზი გრძნობით უმღერებს
გული
ფერად ყვავილებს, თუ თოვლის
ფიფქებს.

### სინანული

შიში ვძლიე სიკვდილის და
ეს მახარებს ძალიან,
ანგელოზნი სამოთხეში
ვიცი, მრავლად არიან.

თუკი ჩემი ცხოვრების გზა
ისე რთულად წავიდა,
თუკი ჩემი სინანული
უფალთან ვერ ავიდა.

შიში მომკლავს სამოთხეში
ვერ მისვლის და ვერ წვდომის,
შიში მომკლავს ანგელოზთა,
ვერ ნახვის და ვერ ცნობის.

რა ფასი აქვს მაშინ ყოფას,
სიცოცხლეს რა ფასი აქვს,
რას წავიღებ მე იმქვეყნად,
ან განა სხვას რა მიაქვს.

იქ რა მხვდება? – ჯოჯოხეთი,
სამოთხე თუ ედემი,
უფლის ხილვას ვნატრობ
მუდამ,
ამისრულდეს ეგების.

## მამა პეტრე (კოლხი)

### ტაო–კლარჯეთი

ოთხთასავით დარჩენილო მარტო,
საცალფეხო ბილიკებსაც კარგავ,
ჩემზე მეტად ქვის სტელაზე
ვდარდობ,
დღეს რომელიც აღარაფრად ვარგა.

და ოპიზას ღვთისმშობელი უვლის,
ოშკი კივის, ტურისტად რომ მნახა,
მე საშინლად დამიმძიმდა გული,
უშატბერდოდ ქვეყანაზე რა ხარ!

და ხახულის ამტკივდება ძვლები,
შევხვდი მთაში დაყუდებულ ხანძთას,
განდეგილთა სავანეში ვრჩები,
არტანუჯის ნაბოლარა ძმასთან.

პარხალივით დარჩენილო, მარტო,
თავს ღრუბელი კლარჯეთისკენ
მიაქვს,
ჩემზე არა, იმ ფრესკაზე ვდარდობ,
ბალახებში მტვერივით რომ ყრია!

***

დავსტირი ბანას,
ათასი წლის მკვდარი სხეულით,
მის დაღლილ მკერდზე ლოცულობენ
ყაყაჩოები.
ველარ სუნთქავენ
გუმბათები ჩამონგრეული,
ცას გაჰყურებენ შერყეული
სარწმუნოებით...

ჩაშავებული დარჩენია ღიად თვალები
და მგლოვიარე სახეებით ელის
შენდობას,
ნაზარეველო, გამიცოცხლე,
გემუდარები...
და ღრუბლებივით გამიფანტე
უიმედობა...

***

რა მქონდა?! ოთხთა და შატბერდი,
ილორი, მოქვი და ბედია...
და მერე რა უცებ დავბერდი,
იკორთა დაჭრილი გვერდია...

რა მქონდა?! ხანძთა და ტბეთი და
ოპიზა, ტაშირი, ოშკი და
ქურმუხი დამყურებს ზევიდან,
ლარგვისსაც ლოცვებად მოვიტან...

რა მქონდა?! კამანის ზარები,
და ბერის უმანკო სამარე...
სამშობლო მგონია ქარები,
როდესაც გავყურებ კამარებს...

ზეცას რომ საზღვრებად ატყვია,
ვით ფრესკის უდაბნოს მარხულებს...
აფხაზეთს მივდივარ, ნატყვიარს...
კლარჯეთიც ვერ მოვინახულე...

რა მქონდა?! თვალებში ჩამხედე,
გაცდები მითებს და არაკებს...
ხვდები, რომ არაფერს ვამეტებ,
ცუდად ვარ, ნუ მალაპარაკებ...

### შენ გესროლეს და მე მომხვდა გულზე

შენ გესროლეს და მე მომხვდა გულზე,
ტყუპის ცალი ძმის ნასროლი ტყვია.
ენგურიდან შენს ხერხემალს ვუმზერ,
კუთხე არა, სიყვარულია გქვია...

ფრთამოტეხილ მაფშალიას ვგავარ,
გაკვირტული გაზაფხული ყრია.
მზე შენს ცაზე არასოდეს ჩავა,
წარმართების აღსარება გქვია...

დღეს ილორი თუ სიზმარში
მწყალობს,
როგორ გახმა შენს ფერდობზე ია,
ვიფერფლები მაღურელი გვალო
და უშენოდ უპატრონო მქვია...

ცას შეახმა თოლიების სისხლი,
ძლივს დავდივარ უძლური და ჩია.
უსახლკაროს მიყურებენ ზიზღით,
გული სკდება, რომ წარსული
გქვია...

ვეპარები შენს დასეტყვილ ველებს,
კარს თუ არა, გულს დატოვებ ღიას...
თუ ჩამიკრავ, შემახსენე მერე,
რომ უშენოდ ჯოჯოხეთი მქვია...

# თეთრო

ვუძღვნი საბჭოეთის პერიოდში ზვარაკად შეწირული, უდანაშაულო ხალხის ხსოვნას



## ბესიკ კეკელიძე

– ეს რა დრო დაგვიდგა, ავთო, რა ხდება ირგვლივ? – დერეფანში შეეგება ნუცა მეუღლეს.

– ეჰ, – ამოიოხრა მამაკაცმა, პალტო გაიხადა და საკიდზე დაკიდა. – დღეს პარკაძის ოჯახი დააწიოკეს, მამა ალექსი ცემა- ტყეპით გამოათრიეს და სადღაც წაიყვანეს.

ქალს სახეზე შეშფოთება აღბეჭდვოდა. – დრო შეიცვალა. ირგვლივ უწიგნურთა, უზნეოთა და არაკაცთა აღლუმია. დამოუკიდებლობა წაგვართვეს და სოციალიზმს ცხვირ-პირში ძალით გვჩრიან. თან ამას ვისი ხელით სჩადიან? – ვინც ვერაფერში ივარგა – ის პატრიოტად იქცა. თურმე, ისინი ყოფილან ჭეშმარიტი მამულიშვილები, – ირონიულად გაეცინა ავთანდილს, – მათთვის პატრიოტიზმი ის ხავსია, რასაც წყალწაღებული ეჭიდება ხოლმე. ნუცას ხელი მოხვია, – ნუ გეშინია, დღეს თვალში არავის უნდა მოხვდე, უხმაუროდ უნდა იცოცხლო და გადარჩები. ამათ ხელში ჩემი მტერი ჩავარდა, – მამაკაცმა მეუღლე სამზარეულოსაკენ გაიყოლა.

– ბავშვები სად არიან?

– ვაჟა ეზოში თამაშობს, თამარი და ნანა შენს დასთან გადავიდნენ და მალე მოვლენ, – ნუცამ კარადიდან თეფში გამოიღო და მაგიდაზე დადო, – დაჯექი, ისადილე. ჩაფიქრებული ავთო მაგიდას მიუჯდა: – ცუდი დროა, ცუდი, – ჩაილაპარაკა და ნავთქურასთან მოფუსფუსე ნუცას გახედა, – ფრთხილად ვიყოთ, ყველას მოვერიდოთ, გადაგვარდნენ ეს ულმერთოები. – ეკლესიაში თავლა გააკეთეს, – ნუცამ პირჯვარი გადაიწერა და მოთუხთუხე ლობიოთი სავსე ქვაბ-ქოთანი მაგიდაზე გადმოდგა, კარადიდან მწნილი გამოიღო.– თუ ქრისტიანს ჯოჯოხეთის შიშს გაუსულერთებ, მას რწმენას დაუსამარებ და ასეთი ადამიანები ქმნიან ამქვეყნიურ ჯოჯოხეთს. რა გიკვირს, რომ ეკლესია დაარბიეს და თავლა გააკეთეს, ამისთანა ეშმაკების ნამოქმედარია ეს ყველაფერი, – ავთანდილმა მათლაფაში მჭადის ნატეხები ჩაიყარა და კოვზით ლობიო მოასხა, – ანზორ შიუკაშვილი მილიციის უფროსად დაუნიშნავთ, – უკმაყოფილოდ თავი გააქნია. – ვინ, ის არაფრის მაქნისი, მთელი ცხოვრება ღობეყორეს რომ ედებოდა?

– ხავსმოჭიდებული ეშმაკების დროა, – ჩაილაპარაკა მამაკაცმა, კოვზით ლობიო ამოიღო, ტუჩებთან მიიტანა და გასაციებლად სული შეუბერა. ბინაში გოგონები შემოცვივდნენ, მამას გვერდით მიუსხდნენ.– ეზო-ეზო დადიან, ხალხს ცხენებსა და საქონელს ართმევენ. – თამარი შეშინებული თვალებით ავთანდილს შეაცქერდა, – ჩვენი თეთრო არ წაიყვანონ.

– არა, მამიკო, ერთი ცხენი და ორი თხა გვყავს, რატომ წაიყვანენ? – დაამშვიდა უფროსი ქალიშვილი.

– რომ წაიყვანონ? – ნანამ დას მხარი აუბა.

– საჭმელი ჭამეთ, არავინ არაფერს არ წაიყვანს! – გაუწყრა მამაკაცი ქალიშვილებს, შემდეგ თავს ძალა დაატანა და გაუღიმა. დიასახლისმა ფანჯარა გამოაღო და ულაყთან მოთამაშე ვაჟიშვილს დაუძახა: – ვაჟიკო, თეთროს შეეშვი და მოდი, ისადილე. ბიჭუნამ ცხენს მკერდზე ხელი მოუთათუნა და სახლისკენ გამოიქცა. სადილობის შემდეგ ავთანდილმა ტყიდან მოტანილი ფიჩხით ღუმელი დაანთო, ჭრაქი მაგიდის შუაში დადგა და ქალიშვილებს გაკვეთილების სამეცადინოდ მიუჯდა. უხასიათოდ იყო. გული ცუდს უგრძნობდა, მაგრამ არაფერს იმჩნევდა. ჯერ ნანას მიეხმარა, შემდეგ თამარს მათემატიკის ამოცანა ამოახსნევინა. ამ დროს ვიღაცამ დაუძახა. წამოდგა. ფანჯარა გამოაღო:

– რომელი ხარ?

– მილიციიდან ვართ, საქმე გვაქვს.

– ახლავე, – უპასუხა ავთომ და დერეფანში პალტოს ჩასაცმელად გავიდა.

– მამიკო, ვინ არის? – გოგონები მშობელს მიცვივდნენ.

– არ ვიცი, მილიციიდან ვართო, – მიუგო ქალიშვილებს. კარი გააღო, ზღურბლს გადააბიჯა და კიბეს დაუყვა. ჭიშკართან რამდენიმე ცხენოსანი იდგა.

– გისმენთ, რაშია საქმე? – მიუახლოვდა ავთანდილი.

– თქვენს ოჯახს ცხენი ჰყავს, ხომ?! – იკითხა ახლოს მდგომმა მილიციელმა.

– დიახ.

– ამხანაგო ავთო, თქვენი ცხენი უნდა წავიყვანოთ! – უბრძანა შავ ცხენზე ამხედრებულმა, კბილებამდე შეიარაღებულმა მამაკაცმა.

– რას ბრძანებთ? – შეცბა ოჯახის უფროსი. – ერთი ცხენი გვყავს და რატომ უნდა წაიყვანოთ? ბავშვებს მზე და მთვარე მასზე ამოსდით, ძალიან უყვართ..

– ქვეყნის მომავალს ჭირდება, როცა საბჭოეთი გაძლიერდება, შენს ბავშვებს მზე და მთვარე მაშინ ამოუვათ. მიდი, ცხენი გამოიყვანე! დამცინავი ტონით მიმართა წვერგაუპარსავმა, თავზე ბეწვისქუდჩამოფხატულმა მილიციელმა. ავთომ იგრძნო, რომ ზურგსუკან ოთხი წყვილი თვალი მისჩერებოდა და თეთროს ბედს ძარღვებაშლილი ელოდა.

– არა, ბატონებო, რაღაც შეცდომაა, ხვალ დილით ბატონ ანზორთან მივალ და ყველაფერს გავარკვევთ..

.– შენი უბედურებაც ეგ არის! – დაიღრიალა ქუდჩამოფხატულმა.

– რით ვერ გაიგე, რომ ბატონყმობა აღარ არსებობს, ახლა ყველა ერთმანეთის ამხანაგია!

_ შენ უნდა იყო სკოლის დირექტორი?! ბავშვებს რა უნდა ასწავლო?! შე ძველი დროის ნაგავო! – მათრახი მოუღერა, – მიდი, ცხენი მოიყვანე, თორემ ძალით წავიყვანთ!

სახლის კიბეზე გაქვავებული ოჯახის წევრები ეზოში გამოცვივდნენ და ავთანდილს ზურგში ამოუდგნენ.

– შენ ოგაიძე შოთა არა ხარ? – ნუცამ ერთ-ერთ მილიციელს გაოცებულმა ჰკითხა.

– ჰო, ნუცა, შოთა ვარ, – უნაგირზე გასწორდა მამაკაცი, – ბრძანება გვაქვს და ცხენი უნდა წავიყვანოთ.

– ვერაფერსაც ვერ წაიყვანთ! – გაწიწმატდა ავთანდილი და ღობის ძირში მიგდებულ ქვას ხელი წაავლო. შოთამ ცხენი მასზე მიუშვა, ჩექმა მკერდში ჩააზილა, მხარზე გადაკიდებული კარაბინი მოიხსნა და გადატენა:

– მოიყვანე, თორემ ცოლ--შვილის თანდასწრებით სულს გაგაფრთხობინებ!

ბავშვები მამას წამოდგომაში შეეშველნენ, ცრემლი ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდათ და თაგვებივით დამფრთხალნი ხმას ვერ იღებდნენ. ნუცამ დრო იხელთა, სახლის უკან გაიქცა და თეთრო მოიყვანა: – რამ გაგამწარათ, რამ გადაგრიათ, თქვე ულმერთოებო! – ერთი და იგივეს უაზროდ ბუტბუტებდა. თავდახრილმა აღვირი მილიციელებისკენ გაიშვირა.

– აი ცხენი, მესმის, ამ ოხერ მესხიშვილებს რა კარგი ულაყი ჰყოლიათ, შავი ცხენიდან ჩამოხტა მამაკაცი და ქალს მიუახლოვდა, – უნაგირიც მოიტანე! – უბრძანა ავთანდილს.

– მიდი, ავთანდილ, უნაგირი მოუტანე, – ნუცას თავი არ აუწევია, ისე შესთხოვა მეუღლეს.კაცმა ბავშვებს ხელი მოხვია და სახლისკენ გაემართა.

– ამ გარეწარს ცოლად რა კარგი ქალი ჰყოლია, – აღვირში ჩავლებული ნუცას ხელი თითებში მოიქცია მილიციელმა, მათრახის ტარი ნიკაპზე ამოსდო, თავი ააწევინა და სახეში ვნებით ჩააშტერდა.

– აბა! – სიცილით დაეთანხმა შოთა.

– ოთარ, ასეთი კარგი ცხენი, ასეთი კარგი ქალი, ნამეტანი ბევრია, – ჩაიხითხითა მამაკაცმა. ავთანდილმა ბავშვები კიბესთან მიიყვანა, ბინის კარამდე მზერით მიაცილა, კიბის მოაჯირზე მიყუდებული უნაგირი აიღო და მომხდურებისკენ წაიღო. დაინახა ოთარს მათრახის ტარით როგორ ჰქონდა ნუცას ნიკაპი აწეული, როგორ ჩაჰყურებდა ამღვრეული თვალებით სახეში, დანარჩენები როგორ თქარათქარებდნენ. შეტორტმანდა, ისე ლონივრად დაუარა ჟრუანტელმა, თითქოს მეხმა დაარტყაო, ნაბიჯს აუჩქარა, უნაგირი ფეხებთან მიუგდო და გამწარებულმა მუშტი დაუნდობლად უთავაზა. ოთარმა გონი დაკარგა და მიწაზე მოწყვეტით დაენარცხა. ამის შემხედვარე მილიციელები ცხენებიდან გადმოეშვნენ, მასპინძელი შუაში მოიქციეს და კონდახებით ცემა დაუწყეს. ნუცა, რაც შეეძლო, ქმარს ეფარებოდა, ერთი-ორი მასაც მოარტყეს, შემდეგ თეთროს უნაგირი დაადგეს, თასმები გადაუჭირეს. ოთარს ხელი შეაშველეს, ფეხზე დააყენეს. – მიწაზე დაგდებულ ავთანდილს, რომლის თავი ნუცას ხელებში მოექცია და ზედ გადაფარებოდა, მიაფურთხა ოთარმა და წიხლი ჩააზილა. თავისი ცხენის აღვირი შოთას მიაწოდა, თეთროს უზანგში მარჯვენა ფეხი გაუყარა და ზედ ამხედრება მოინდომა. ულაყმა დაიფრუტუნა, გვერდით გადახტა, რათა მამაკაცი უნაგირზე არ შემჯდარიყო. ოთარმა აღვირი მოქაჩა და მთელი ძალით მათრახი გადაუტყლაშუნა. ტკივილისაგან ცხენი ერთი წამით გახევდა, რითიც ისარგებლა მილიციელმა და ზედ მოექცა. თეთრო ყალყზე დადგა, წინა ფლოქვები მაქსიმალურად ზემოთ აყარა და მოძალადის გადმოგდებას შეეცადა. რამდენიმე მათრახმა ერთდროულად გაიზუზუნა და თეთროს გულ-მკერდზე გაიზაპაზუპა. ულაყი გასწორდა და უკანა ფეხები ისე გაიქნია, რომ მხედარი კისერზე გადაემხო. საცოდავი ცხენი ახლა გავაზე გადაშოლტეს.

– შეხედე ამას! – დაიყვირა ოთარმა და ჩამოქვეითდა. თეთროს აღვირი თავის ცხენს გამოაბა, ზედ შეჯდა და იქაურობა ყველამ დატოვა. ნუცამ მეუღლე წამოაყენა და ორღობეში ფრუტუნით, თავის ქნევითა და ქვექვევით მიმავალ ცხენს თვალი გააყოლა. სახელოთი ცრემლი გაიმშრალა, ავთანდილს ხელი მოხვია და სახლისკენ წაიყვანა. შიშისაგან აცახცახებული ბავშვები კარებთან ელოდნენ.

– შვილებო, დამშვიდდით, ხვალ მილიციაში ყველაფერს გავარკვევ, – დასიებული ტუჩებიდან ძლივს ამოღერღა ავთანდილმა. მთელი ოჯახი მოგუზგუზე, მოტკრციალე ქურას შემოუსხდა. ნუცას პერიოდულად ცივი საფენები მოჰქონდა და მეუღლეს სახეზე ადებდა. დარდი, შიში, გაურკვევლობა ერთმანეთში არეოდათ და მოზღვავებული ნაღველი ხმის ამოღების საშუალებას არ აძლევდათ.. თეთროს წართმევას ყველა თავისი გადასახედიდან აღიქვამდა და საკუთარ ფიქრთა მორევში ჩაძირულიყო. კარზე კაკუნი გაისმა. ნუცა ოთახიდან გავიდა.

– ვინ არის? – მეუღლეს გასძახა ავთანდილმა.

– თეკლეა. – დიასახლისი სტუმარს შემოუძღვა. მამიდის დანახვაზე ბავშვებს სახეზე ღიმილი მოეფინათ, სკამიდან წამოხტდნენ და შემოეხვივნენ. ქალმა თავშალი მოიხსნა, პატარებს მიეფერა და ძმას გვერდით მიუჯდა:

– რა მოხდა, ასე ვინ გაგიმეტა? – სახიდან ტილო მოხსნა და ჩალურჯებულ თვალსა და ტუჩებზე დააცქერდა.

– თეთრო წაგვართვეს, – მოკლედ მოუჭრა ავთანდილმა.

– რატომ?

– საბჭოეთს სჭირდებაო, – გამწარებულმა მიუგო ნუცამ, ქმარს საფენი მოხსნა და დასასვენებლად სამზარეულოსაკენ გაეშურა.

– საბჭოეთს? – ჩაფიქრებულმა ჩაილუღლუღა თეკლემ, – ჩვენ ძროხა წაგვართვეს, კოლმეურნეობა უნდა ჩამოვაყალიბოთო, რასაც უნდა, იმას აკეთებენ.

– ეჰ, – ოთახში დიასახლისი დაბრუნდა, – საშინელი დროა, განუკითხაობის დღესასწაულია...

– არა, ხვალ დილითვე მილიციაში მივალ და უფროსს ყველაფერს მოვახსენებ, – დარწმუნებით თქვა ავთანდილმა და ბავშვებს მიუბრუნდა, – მამიკო, უკვე ღამდება, დაიძინეთ..

– წავედი, წავედი, – წამოდგა თეკლე, – მილიციის უფროსიც ისეთივე უვარგისია, როგორიც თანამშრომლები ჰყავს.

– ასეა, – დაეთანხმა ნუცა – შიუკაშვილი ანზორისგან რას უნდა მოელოდდო? თამუნა, საძინებელში შედით, საწოლები გაშალე, მე მამიდას გავაცილებ და ახლავე მოვალ,. – ქალმა მული კარებამდე მიაცილა და დაემშვიდობა. გიორგობისთვის ერთი დღეც მიილია. უმთვარო ღამე ქვემო ჭალის თავზე დაეკიდა და მომავალი ზამთრის სუსხმა ლეხურის ხეობაში გაუხედნავი ბედაურივით გაინავარდა. შემაწუხებელ სიჩუმეს ძაღლების ყეფა და ორღობეში მოსიარულე ხალხის საუბარი არღვევდა. ავთანდილი ღუმელთან გაუნძრევლად იჯდა და გათენებას სულმოუთქმელად ელოდა. ნუცამ დაწოლა შესთავაზა, მაგრამ მკვახე უარი მიიღო.

– არც მე დავიძინებ, – ქმარს ცხვირწინ ჩამოუჯდა,

– ნუ ნერვიულობ, თავსზევით ძალა არ არის, მაგათ ვერ მოვერევით.. ოცდათვრამეტი წლის კაცი ვარ და ასეთი შეურაცხყოფა არავის მოუყენებია, ავთანდილმა გამშრალი ტილო სახიდან მოიხსნა და ღუმელში შეაგდო.

– გეხვეწები, დამშვიდდი, ბავშვების გულისთვის ყველაფერი უნდა მოითმინო. ნუცა წამოდგა, დასიებულ თვალზე ხელი მოუსვა, აკოცა, – ჩვენი სიყვარულისთვის ყველაფერი უნდა მოითმინო. იმ ხალხს, ვინც ტაძრის გუმბათიდან ჯვარს გადმოაგდებს, ხატებს დაწვავს და შიგნით თავლას გააკეთებს, რა უნდა მოსთხოვო?

– ანზორი უნდა ვნახო, ყველაფერს ავუხსნი და ცხენს დამიბრუნებს.

– ავთო, არა მგონია, იმ ნაძირალამ თეთრო დაგიბრუნოს.

– დაგვიბრუნებენ, სულში ჩაფურთხების უფლება არავის აქვს, – ავთომ მეუღლეს ხელი მოხვია, მიიზიდა და აკოცა, – ჩემო სიცოცხლევ, წადი, დაიძინე,

– არა, მარტოს არ დაგტოვებ, რა დამაძინებს, – ნუცას ცრემლი მოერია, ყელში გაჩხირული ბოღმა სუნთქვაში ხელს უშლიდა. ირიჟრაჟა თუ არა, ავთანდილმა პირი გაიპარსა, ნაჩქარევად ისაუზმა და მილიციისკენ გაემართა. ეკლესიის გვერდით, ორსართულიანი შენობის კიბეზე ავიდა და უფროსის კარზე დააკაკუნა. ოთახიდან სიცილ-ხარხარის ხმები ისმოდა. მეორეჯერ დააკაკუნა.

– ვინ არის? – გაისმა შიგნიდან.

ავთანდილმა კარი გამოაღო და შეაბიჯა:

– ბატონო, – უნებურად წამოცდა და უცოდინარი მოწაფესავით თავი გააქნია,

– ამხანაგო ანზორ,

➔

# თეთრო

თქვენთან საქმე მაქვს, – იქაურობას თვალი მოავლო. მილიციის უფროსის თავს ზემოთ, კედელზე ლენინისა და ძერჟინსკის სურათები ეკიდა. იქვე წითელი დროშა იყო მიყუდებული. მაგიდაზე უწესრიგოდ მიყრილ--მოყრილ ფურცლებზე „ნაგანი“ იდო. ფანჯარასთან მიდგმული ღუმელი გუზგუზებდა. წინ ის მამაკაცები ესხდა, რომლებმაც თეთრო წამოიყვანეს.

– ჩემთვის ყველაფერი ცნობილია, – ანზორმა მაგიდაზე მუშტი დააბრახუნა, – კაცი სკოლის დირექტორი ხარ და იმდენი არ იცი, რომ ქვეყნის აღმშენებლობას ხელი არ უნდა შეუშალო?! მილიციას წინააღმდეგობას რა უფლებით უწევ?!

– არა, ცხენი წამართვეს, – ავთანდილმა დაბნეულმა წაიბურტყუნა.

– ხომ იცი, რომ ჩვენ ვერავინ მოგვერევა, წინააღმდეგობა გაუწიე და სახეც მაგიტომ გაგილამაზეს, – ჩაეცინა მილიციის უფროსს, – ერთი მითხარი, ირგვლივ მომრავლებულ ყაჩაღებსა და ქვეყნის მტრებს ფეხით ვდიოთ?! სოციალიზმის წინსვლას შენნაირები უშლიან ხელს! – ნება რომ მომცენ, ტყვიას დაგაჭედებდი! ამოიხროტინა ოთარმა და მტკივან ყბაზე ხელი მოისვა. – წადი, აქედან გაეთრიე, თვალით აღარ დამენახო! ერთ ადგილზე გაქვავებულ სკოლის დირექტორს ანზორმა დამცინავად მიმართა და თავისი მრისხანების დასამტკიცებლად მაგიდას მუშტი ისევ უთავაზა. ავთო უსიტყვოდ შემობრუნდა და ოთახიდან გამოვიდა. პალტოს საყელო აიწია, თავჩაქინდრული კიბეს აუყვა და სკოლის გზას დაადგა. ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სული ამოეცალათ და ხორცი საჯიჯგნად ძაღლებისთვის მიეგდოთ. ვერავის და ვერაფერს ამჩნევდა, ნაბიჯს მექანიკურად ადგამდა. სასწავლებლის შენობაში შევიდა, თავისი კაბინეტის კარი ჩაკეტა, მაგიდას მიუჯდა, თავი ხელებში ჩარგო და ჩუმად, გვერდით ოთახში რომ არ გაეგოთ, აქვითინდა.

მოსაღამოვდა. მესხიშვილების ოჯახში სევდას ღრმად გაედგა ფესვი და დაუპატიჟებელი სტუმარივით ლაღობდა. ერთმანეთს ზედმეტად ხმას არ სცემდნენ, ღუმელთან გაბუტულებივით ისხდნენ და მოტკრციალე ფიჩხის ტკაცატკუცს გულისყურით უსმენდნენ. ვაჟა მამის ფეხებთან ჩაცუცქულიყო, თავი მუხლებზე დაედო, თამარს ნანა მიეხუტებინა და იატაკს ჩაშტერებოდა. ფანჯარასთან მდგომი ნუცა საღამოს ბინდბუნდში უაზროდ იცქირებოდა. ჭიშკართან ჭიხვინი გაისმა.

– თეთრო, თეთრო მოსულა! – შესძახა ნუცამ და კარისკენ გაიჭრა. ყველანი დამდუღრულივით წამოხტნენ და ცხენის შესაგებებლად ჭიშკრისაკენ გაიქცნენ. თამარმა იმარჯვა, ჭიშკარი პირველმა გამოხსნა, პატარა ხელზე ლაგამი დაიხვია და ულაყი ეზოში შემოიყვანა:

– აუწყვეტია! – მამას აღვირი დაანახა. ცხენი ისეთი მეტყველი თვალებით შესცქეროდა ბავშვებს, ისე საყვარლად ფრუტუნებდა, თითქოს დალაპარაკებას აპირებსო. კისერს ხან ერთ, ხან მეორე და ხანაც მესამე პატარას მიუშვერდა და თავისებურად ეფერებოდა. ნუცამ შუბლზე ხელი რამდენჯერმე გადაუსვა, შემდეგ თავლისკენ წავიდა. პეშვში შვრია დაიგროვა, მოუტანა და გაუწოდა. თეთრო ტუჩების ნაზი მოძრაობით, ისე რომ დიასახლისს ხელი არ სტკენოდა, ულუფას შეექცა. ავთანდილს დიდრონ ყელზე ორივე ხელი მოეხვია და ადგილზე გახევებულს თავი ფაფარზე დაედო. შორიდან ცხენების ფლოქვების თქარათქური გაისმა, ყვირილი და გინების ხმები მათ ჭიშკარს უახლოვდებოდა.

– მამიკო, თეთრო დავმალოთ, – მშობელს ახედა თამარმა.

– სად, მამა? – საცოდავად ჩაელიმა ავთანდილს, – ნემსი ხომ არ არის, სად დავმალოთ? – შეხედე, აქ მოთრეულა! – გაისმა ოთარის ყვირილის ხმა.

– ნუცა, ბავშვები სახლში შეიყვანე! – მარტოს არ დაგტოვებთ. – სიმწრისგან ქალს ცრემლი მოერია. ცხენოსნები ჩამოქვეითდნენ და ეზოში დაუკითხავად შემოლაგდნენ. ოთარმა თამარს ლაგამი გამოგლიჯა და თეთროს გამეტებით გადაუჭირა:

– დახე, ამ უჯიშოს! – მეორეჯერ გადააწნა მათრახი. ცხენმა სიმწრისაგან უკანა ფეხები აიქნია და იქვე მდგომი შოთა მიწაზე დასცა. მამაკაცი მკვირცხლად წამოხტა და თეთროს ცემა დაუწყო. ავთანდილი გამგელებულ მილიციელს მიეჭრა და ჰაერში მოქნეული მათრახიანი ხელი დაუჭირა:

– ნუ ურტყამ! – დაუყვირა შოთას. ყველანი ერთი წამით ოჯახის უფროსს შეაჩერდნენ. ნუცამ დრო იხელთა და წინ გადაეღობა.

– არ მეჩქარებოდეს, ყოფას გიტირებდი! – დაიხავლა ოთარმა, აღვირი მოქაჩა და ეზოდან გავიდნენ. თეთრო თავისი ცხენის უნაგირს გამოაბა და ორღობეში გათქარათქურდნენ.

– წავედით, – ჩაილაპარაკა ავთანდილმა, თამუნას ხელი მოხვია და კიბის მიმართულებით გადააბიჯა. ცოტა ხანს ღუმელთან ისხდნენ, შემდეგ ნუცამ ბავშვები საძინებელში შეიყვანა, დაამშვიდა, ძილი ნებისა უსურვა და მეუღლესთან დაბრუნდა:

– რა წყალში ჩავვარდეთ, რა ვქნათ? თეთროს წართმევას ბავშვები ძალიან განიცდიან. იცი, თამუნამ რა მითხრა?

– რაო? – ავთანდილმა ყურადღება მეუღლეზე გადაიტანა.

– ღამე არ დავიძინებ, ცალი ყური გარეთ მექნება, იქნებ თეთრო მობრუნდესო.

– მამა ენაცვალოს, – ჩაილაპარაკა ავთანდილმა და ღუმელს ფიჩხი შეუკეთა, – აღარაფრის ხალისი არ მაქვს, ამ ნაძირლებმა სიცოცხლე შემაზიზღეს. ნუცა მეუღლეს მიუახლოვდა, ჩაიმუხლა და მოეხვია:

– რას იზამ, ყველა ასეთ დღეშია, ცუდი დრო დაგვიდგა, მაგრამ ბავშვების გულისთვის ბევრი რამე უნდა მოვითმინოთ. წამოდი, ავთო, დავწვეთ, – მეუღლე გაჭირვებით წამოაყენა და საძინებელი ოთახისკენ წაიყვანა. როდესაც ავთანდილმა გამოიღვიძა, ნუცა ბავშვებს ასაუზმებდა. თვითონაც უგერგილოდ წაიხემსა და გოგონებთან ერთად, სკოლისკენ გაეშურა. ბავშვები კლასებში დააბინავა. სამასწავლებლოში შეიხედა, პედაგოგებს მიესალმა, შემდეგ თამარის კლასში გაკვეთილის ჩასატარებლად შევიდა. შუა გაკვეთილის მიმდინარეობისას, ოთახში მასწავლებელმა კარი შემოაღო:

– თქვენ გკითხულობენ.

– ვინ არის?

– მილიციელია მოსული.

– ეთერი, შენ ბავშვებთან დარჩი, მე ახლავე დავბრუნდები, – ავთანდილი დერეფანში გავიდა. სამასწავლებლოსთან ოთარი ელოდა.

– რაშია საქმე?

– უფროსი გიბარებს, მილიციაში წამომყევი!

– ხელში ჩაბღუჯული ბეწვის ქუდი ჩამოიფხატა, ავთანდილს მკლავში ხელი წაავლო და თავისკენ მოქაჩა.

– ცხენი ხომ არა გგონივარ?! – ხელი გაიქნია დირექტორმა, – ჩემით რა, ვერ წამოვალ?

როდესაც უფროსის ოთახში შეიყვანეს, ანზორმა დაიღრიალა: – დაადეთ ხელბორკილი და დანარჩენებთან ერთად ვირის აბანოში მიაბრძანეთ! ავთოს ხმის ამოღებაც არ აცადეს, რამდენიმე მამაკაცი მისცვივდა და ბორკილები შეაბეს. ოთარმა ოთახიდან გამოიყვანა და მჯიღის კვრით სატუსაღოში შეაგდო. ცივ, ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში ძმები, გივი და ალექსანდრე ამილახვრები და მღვდელი პარკაძე შეეკრიბათ.

– რა უნდათ? – გივის მიუჯდა ავთანდილი.

– თურმე ქაქუცა ჩოლოყაშვილთან გვქონია ურთიერთობა და წყობის დამხობას ვაპირებთ, – ირონიანარევი ღიმილით უპასუხა გივიმ.

– ქაქუცასთან? – გაიკვირვა ავთანდილმა.

– აბა! – თავი დაუქნია ცემისაგან სახედასიებულმა მამა ალექსიმ.

– მთელ მილიციაში ერთი კაცი არ მოიძებნება, რომ ახსნა-განმარტება დაგვაწერინონ. ამათ რა უნდა ელაპარაკო, ან რა უნდა შეაგნებინო? – სიმწრით ჩაილაპარაკა ალექსანდრემ.

– გორის მაზრაში გვიპირებენ გადაყვანას და ყველაფერს იქ გაარკვევენო, – ჩალურჯებულ ტუჩებზე ხელი აიფარა მღვდელმა. სატუსაღოს კედლებს მიღმა ქალების ყვირილი გაისმა. აყალ-მაყალში ავთანდილმა მეუღლის ხმა ამოიცნო :– ნუცა, წადი, ბავშვებს მიხედე, ჩემზე ნუ დარდობ! – გასძახა ქალს. წივილ-კივილისა და მოთქმის ხმები მილიციელთა გინებამ და ღრიალმა ჩაახშო.

– ოთხივენი გამოათრიეთ და მაზრაში გადაიყვანეთ! – ანზორის პირმოხეული დაყვირება გაისმა. ოთხივე პატიმარი სატუსაღოდან დერეფანში გამოყარეს, კიბე-კიბე ქვემოთ ჩაარიხინ-ჟღარუნეს და სათითაოდ ურემზე მიაბეს. მთელი სოფელი აჭალბუჭულიანად მოედანზე შეკრებილიყო, არაფრისმთქმელ დუმილში გაქვავებულიყვნენ და მათ უბედურებას, როგორც კარგ სანახაობას, თვალებით შეექცეოდნენ. ავთანდილმა ნუცა შენიშნა, რომელსაც ვაჟა ჩაეხუტებინა და თვალცრემლიანი ქმარს მიშტერებოდა. დედას ქალიშვილები ამოფარებოდნენ და შეშინებულები მამას უმზერდნენ. ავთანდილმა თავისდაუნებურად, ოთხივეს გაუღიმა, ახლოს რომ ყოფილიყვნენ, სათითაოდ ჩაიკრავდა, ანუგეშებდა და მიეფერებოდა.

– უკლებლივ ყველა, დიდიან-პატარიანად ამათ ბედს გაიზიარებს, ვინც ქვეყნის მტრებს ხელს მოუმართავს, ვინც წინ გადაგვეღობება!

– მოსახლეობის გასაგონად ყვიროდა მილიციის უფროსი. შემდეგ თავის თანამშრომლებს მიუბრუნდა, – სოფლის ბოლომდე რვა კაცმა გააცილეთ, ოთარ! შენ, ობგაძე შოთა, სომხიშვილი ტარიელი და უზნაძე გიორგი მაზრამდე ჩაიყვანეთ, დანარჩენები უკან მობრუნდით! ოთარ, ფრთხილად იყავით, რამე საეჭვო თუ შენიშნეთ, ადგილზევე გაანადგურეთ! გასაგებია?! – დიახ, ამხანაგო ანზორ, – მიუგო უფროსს ოთარმა და თეთროზე შეჯდა, – ტარიელ, შენ კოფოზე დასკუპდი და ისე გამოგვყევი, – ულაყს დეზი ჰკრა და წინ გაიგდო. ტარიელმა ხარებს მათრახი გადაუტყლაშუნა. ურემი ხრჭიალ--ხრჭიალით მძიმედ დაიძრა, მოედანი აათავა და ორღობის ყელში ნება-ნება შეგორდა. აქეთ-იქიდან ცხენებზე ამხედრებული მილიციელები ადევნებოდნენ. ავთანდილის თვალთახედვიდან გაოგნებული ცოლ--შვილი თანდათან იკარგებოდა, ნუცას სევდიანი შეჰყურებდა და უსიტყვოდ ემშვიდობებოდა. შეამჩნია, ბრბოს თამარი როგორ გამოეყო და მალვით, ნელ--ნელა უკან გამოჰყვა. თავი გაუქნია, ანიშნა – ნუ მომდევო, მაგრამ გოგონა ჯიუტად მიაცილებდა. დაძაბულობისაგან სახის ყველა ნაკვთი გახევებოდა, შიშნაჭამი მიმიკა მიყინვოდა, მამას თვალს ვერ წყვეტდა, წელში მოხრილი, ქურდულად ადგამდა ნაბიჯს.

– „უფალო, შეიწყალე ჩემი ცოლ--შვილი“, – ჩაილაპარაკა ავთანდილმა და თავი ისევ გაუქნია. საპასუხოდ თამარმა ხელით ანიშნა – არსად არ წავალო. შეშინებული ხან ბუჩქს და ხანაც ხეს ეფარებოდა, უხილავ აჩრდილად ქცეულიყო და ნაბიჯ-ნაბიჯ მამას მიყვებოდა. სოფელს გასცდნენ. ოთარმა თეთროს ლაგამი მოზიდა, შეაჯერა და შემობრუნდა: – თქვენ ოთხნი უკან დაბრუნდით! – მიმართა მილიციელებს. ცხენოსნები შემოტრიალდნენ და სოფლის გზას დაადგნენ, დანარჩენებმა ნელი სვლით მოძრაობა განაგრძეს. უზნაძე გიორგიმ ცხენს დეზი ჰკრა და ოთარს გვერდით ამოუდგა: – დღეს, საღამოს, მაგარ პურ-მარილზე ვართ დაპატიჟებულნი, ასე თუ ვიარეთ, გორიდან დილამდე ვერ ამოვალთ.

– აბა, რა ვქნათ? – იკითხა ოთარმა.

– მივახვრიტოთ, ეს ძაღლის შვილები...

– მერე, ანზორს რა ვუთხრათ?

– ვითომ, უცნობი ცხენოსნები აგვედევნენ და იძულებულები გავხდით, რომ თავიდან მოგვეშორებინა. რა, არ დაიჯერებს?

– როგორ არ დაიჯერებს, ქვეყანა ყაჩაღებითაა სავსე, – ოთარს გიორგის აზრი ჭკუაში დაუჯდა, – ვისთან ვართ დაპატიჟებულნი?

– ჩემს ბიძაშვილს, კახა უზნაძეს, ბიჭის ნიშნობა აქვს.

– ოო,– ულვაშებზე ხელი გადაისვა ოთარმა, – როგორ, ალიბეგაშვილ ოთარს კარგი პურ-მარილი არ ეკუთვნის თუ რა?! სიამოვნებით ვიქეიფებ, მაგრამ ამათ ბოლო სად მოვუღოთ?

– ამ ბექობის შემდეგ, ტორტლას ნაპირზე, ჭაობია და მაგათი ადგილი სწორედ იქ არის, – სიცილით უპასუხა გიორგიმ.

– კარგი, ახლა ყვირილი ატეხე, ვითომ ცხენოსნები დაინახე და საქმეს მივხედოთ.

პროცესიამ რამდენიმე მეტრი გაიარა, ბექობისკენ შეუხვია: – თოფები გადატენეთ, იმ მთაზე ვიღაცა ცხენოსნები შევამჩნიე! – მთის კალთისკენ ხელი გაიშვირა გიორგიმ და კარაბინი მოიხსნა.

– მდევარია? – გაიკვირვა ოთარმა და აღვირი მოქაჩა. თეთრო ყალყზე დადგა, წინა ფეხები ჰაერში აისროლა, – გაჩერდი, შე პატრონმკვდარო, – მათრახი გადაუჭირა მილიციელმა, – ურმიდან გადმოსვით, ყურადღებით იყავით, ალყაში არ მოგვაქციონ!

– არე-მარეს გაფაციცებული ათვალიერებდა. ოთხივე ტუსაღი ბორკილების ჟღარუნით ძირს ჩამოსვეს. გიორგიმ მღვდელს ზურგში კონდახი გამეტებით ჩასცხო: – რა ვირივით გაგიფშეკია ფეხი, ნაბიჯი გადაადგი! – და, ჭაობისკენ უბიძგა.

– ქაქუცა ვერ გიშველით! – ცხენიდან ჩამოხტა ოთარი, ავთოს ბორკილის ჯაჭვში ხელი ჩაავლო და თავდაღმართზე, ტორტლას მიმართულებით, ჩაარბენინა. დანარჩენებმაც იგივე გაიმეორეს. ოთხივე დაპატიმრებული ჭაობში მუხლამდე შეყარეს და ერთ რიგად ჩამოამწკრივეს.

– ეს მასწავლებელი ჩემია, თქვენც ამოირჩიეთ, კარგად დაუმიზნეთ, თითო ტყვიის მეტი არ დახარჯოთ! – ბრძანება გასცა ოთარმა და ავთანდილს თოფი დაუმიზნა. თამარი ურემთან მიპარულიყო, თვალთან ჩაცუცქულიყო და შემზარავ სურათს მიშტერებოდა. რომ არ ეყვირა, მარცხენა ხელისგული პირზე აეფარებინა, ცრემლად ჩუმად იცლებოდა და გაყინულივით ძაგძაგებდა. მამას, რომელიც ქალიშვილს ჩაღირღიტებდა და დასამშვიდებლად უღიმოდა, თვალს ვერ წყვეტდა. გასროლის ხმა არც გაუღია, დაინახა, მშობელი ჭყანტობში როგორ ჩავარდა, შემდეგ როგორ მისცვივდნენ და ოთხივეს ხიშტები გამეტებით ჩასცეს.

– ბორკილები ახსენით, აღარსად გაიქცევიან! – ოთარმა ბრძანება გასცა, – გიორგი, მასწავლებელს კარგი ჩექმა აცვია, აღარ დასჭირდება და გახადე, ზამთარში ფეხი თბილად მექნება, – შემობრუნდა და აღმართზე ამოსვლას შეუდგა. თამარმა ძალა მოიკრიბა, თეთროსთან მიიპარა, აუშვა, ზედ შეჯდა და სოფლისკენ გააჭენა, თან არაადამიანურ ხმაზე ღრიალებდა. ულაყი ჭიშკართან გააჩერა, ეზოში შეიყვანა და სახლში გიჟივით შევარდა. – მამა მოკლეს! – დაიბღავლა და ნუცას კალთაში თავი ჩარგო.

– რაა? – ქალმა ქალიშვილს ნიკაპი აუწია და ფერწასულ, ცრემლში გალუმპულ სახეში შეაცქერდა, – რატომ, ვინ? – ჩურჩულით იკითხა. გვერდით მჯდომმა თეკლემ სახეზე ხელები აიფარა და აქვითინდა. ხმაურზე მეზობლები შემოცვივდნენ, ავთანდილის უბედურება ქალებმა ცრემლითა და ვაი-ვიშით გაიზიარეს, ხოლო მამაკაცები მეხდატეხილებივით ერთ ადგილზე იდგნენ.

ეზოდან ყვირილისა და გინების ხმა გაისმა:

– ვინ მოათრია აქ ეს ცხენი?! – ღრიალებდა ოთარი.

გაცამტვერებული თამარი წამოდგა და მამის სიცოცხლის მომსპობს ფანჯრიდან შეაცქერდა, რომელმაც თეთროს ლაგამზე ხელი წაავლო, მოქაჩა, გარეთ გაიყვანა და ზედ ამხედრდა. დეზი რამდენჯერმე ჰკრა, მაგრამ ცხენი ადგილიდან არ დაიძრა, გაქვავებული დამდგარიყო და თავს აქეთ--იქით იქნევდა. ოთარმა რამდენჯერმე მათრახი გადაუზუილა, მაგრამ ძვრაც ვერ უყო:

– დავცხრილავ, ამ ჩათლახს! – საზიზღრად დაიბღავლა, მაუზერი ამოიღო და ცხენიდან ჩამოხტა. თამარი თვალისდახამხამებაში თეთროსთან გაჩნდა, მილიციელსა და ცხენს შორის დადგა და ულაყს სახეზე ხელი ჩამოუსვა:

– თეთრო, წაყევი, თეთრო, წაყევი, – ტიროდა და სიტყვებს სლუკსლუკით ძლივს გამოთქვამდა. – გადი, გოგო! – ზურგიდან ოთარის ბრძანება შემოესმა. – წა-მოგყვე-ბათ, – ცხენის სახე ხელებში მოიქცია და მთელი ძალით ჩაიკრა. საპასუხოდ მადლიერი ფრუტუნი გაისმა.

– არ წამოვა და მაგისი აჯობებს, – მილიციელმა იარაღი კაბურაში აიცურა და თეთროს ზურგზე მოექცა, – გაიწი, გოგო! – აღვირი მოქაჩა თუ არა, ულაყმა ერთი დაიჭიხვინა და მხედარს დანებდა. ძალაუნებურად თვალი უნაგირის ხტომას აყოლილი ოთარისკენ გაექცა, საზარელი სურათი გონებაში ისევ ამოუტივტივდა, ერთი ხმამაღლა დაიზმუვლა და სახლისკენ გაიქცა. გოგონამ მეზობლის ქალებში გზა გაიკვლია, სკამზე მისვენებული, ცოცხალ-მკვდარი ნუცა მონახა, რომელსაც თავი თეკლესთვის მხარზე დაედო, ფეხებთან იატაკზე ჩამოუჯდა, ორივე ხელი მუხლებზე დაადო და აზლუქუნდა. მეზობლის კაცებმა ითავეს და ავთანდილის ცხედარი სახლში მოასვენეს, ხოლო მეორე დღეს, სოფლის განაპირას, მშობლების გვერდით, დაკრძალეს. თეკლე ნუცასთან გადმოსახლდა. უზარმაზარ დარდს ორივე ქალი გუთანში შებმული კამეჩებივით წყვილად ეზიდებოდა. უმამობა ბავშვებსაც გულზე მძიმე ლოდად დააწვათ. ავთანდილის საფლავზე ყველანი ყოველდღე გადიოდნენ, ნუცა და თეკლე სანთლებს უნთებდნენ, ხოლო პატარები გვიანი შემოდგომის ყვავილებით მიწას რთავდნენ.

*გაგრძელება იქნება*



# რეზო ადამია – 80

ჩვენო დიდო და ერთგულო მეგობარო, ბატონო რეზო, მეოთხმოცე გაზაფხულის ნათელი დღეები გიდგას. 80 ყვავილობას შეხვდი დიდად ამაღლებული, ვალმოხდილი როგორც საკუთარი ოჯახის, ასევე თქვენი საყვარელი სამშობლოს წინაშე. თქვენ არა მარტო ღვთივკურთხეული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული დიდი მხატვარი და ბრწყინვალე პროზაიკოსი, არამედ ზნეკეთილი, უაღრესად თავმდაბალი, სულით ძლიერი ადამიანი ბრძანდებით.

გვიხარია, რომ ჩვენ თქვენი არა მარტო თაყვანისმცემლები, არამედ უმცროსი მეგობრებიც ვართ და ყოველი ჩვენი შეხვედრა მხოლოდ დიდ ადამიანურ გრძნობებსა და სიყვარულში გამოიხატება, სხვის მიმართ მეტ სიკეთეს რომ გასცემთ და სამაგიეროს არაფერს ითხოვთ, ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს თქვენს დიდ კაცობაზე.

მიიღეთ ჩვენი გულითადი მილოცვა, რეზო ბატონო და გვინდა გისურვოთ ჯანმრთელობა, კიდევ და კიდევ დიდხანს, ძალიან დიდხანს სიცოცხლე, უპირველესად, თქვენი საყვარელი ოჯახის, ახლობლების, მეგობრების გულის გასახარად და სამშობლოსათვის კიდევ მრავალი დიდი საქმეების გასაკეთებლად.

მადლობელი ვართ, რომ თქვენნაირი მისაბაძი ადამიანები კიდევ გვყავს, ღმერთმა სიკეთე და სიხარული ნუ მოგაკლოს.

*გაზეთის რედაქციის სახელით,*
ავთანდილ ბერიძე

# მსხვერპლი

*(ექღვნება ტერენტი გრანელს)*

რიგით მერამდენე მოთხრობა, ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილი, გულდათუთქული მიახლოებაა მგოსნის ტრაგიკულ ბუნებასთან, რასაც დაერქმევა „მიწიერი გაუცხოება – მსხვერპლი და დაბადება“, ჩემეული მართალი წინასიტყვაობაა მოთხრობისა, რომ რამდენიმე წელია ამ თემაზე ვმუშაობ: მწარე და მძიმეა სამყარო და სიცოცხლე. უკიდურესად რთული იყო ტერენტი გრანელის შემოქმედებითი მოღვაწეობა. ამ ნაწარმოებში მძფრადაა გაშლილი ის ურთულესი სულიერი ფორმის შინაგანი უხილავი სურათები, რომლებიც აღტყინებულ-მგოსნურად გაიარა პლანეტარიუმის ცოცხალმა საკვირველმა მოვლენამ. ის შინაგანი დრამა და ტრაგედია, რომელსაც უმძიმეს მდგომარეობაში ატარებდა გრანელი, ძალიან ბევრისათვის გაურკვეველი იყო, რომ არა, აგრე ველურად არ გაწირავდნენ ღრმად მორწმუნე მგოსანს და სულიერად წმიდანს...

* * *

გრანელი რომელიღაც კეთილისმყოფელი ციური მანათობლის სახით განკაცებული ჩამობრძანდა დედამიწაზე, იტანჯა, იწვალა, იღვაწა, იყო სამაგალითო მართლმადიდებელი, მიწიერ-ზეციურად იაზროვნა და იოცნება, შეთხზა შეუდარებელი პოეტური და პროზაული შედევრები.

ვერა და ვერ შეეგუა დედამიწას და გაბოროტებულ დედამიწელებს, მხოლოდ ტკბებოდა საერთო სილამაზით და მშვენიერებით, რომელთაც კანტიკუნტად ეხებოდა. დადიოდა მარტოხელად უცხოპლანეტელივით და სრულიად გაუცხოებული ჩვენგან წავიდა, თავისი ძალიან მოკლე შემოქმედებით დროში თანამედროვეთათვის პატიოსანი, მაგრამ უცხო წეს-ზნეობით იცხოვრა. წარმოუდგენელი იყო მისთვის ღალატი, სიძულვილი, ულმერთობა; სამშობლო კი მგოსნისთვის ულამაზესი, მარად მანათობელი პლანეტა იყო ზეციური ღირსებით. ვერ იგუა ორგულობა და ის ზედმეტად წმიდა იყო დედამიწელებთან, თავის თანამედროვეებთან შედარებით, ამიტომაც უკვირდათ მისი და სძულდათ კიდეც, მათთვის უცხო სხეული იყო გონებით, ნიჭით, შემართებით და მიუკარება უცნაურობებით. გარემოსაგან იღლებოდა ხშირად...

მთელი არსებით პოეტი რატომღაც ყველაზე უფრო კოსმოსურ უხილავ ხაზებს, განწყობილებებს და ზეციურ მისტიკურ ელემენტებს გრძნობდა საფლავებთან ურთიერთობით, მათთან სულიერი გავლით პლანეტარიუმს პოეტურად აღიქვამდა და იქ ეძებდა, აკვირდებოდა მარად ჩაუქრობელ იდუმალებებს. მართლაცდა ღრმად მგლოვიარე ჭირისუფლებს არამიწიერი იერ-სახე აქვთ, ისინი, ძალაუნებურად, გრანელის არ იყოს, ინტუიციურად მიიზიდებიან გარე სამყაროსაკენ. მიზიდულობის წყარო მათი გარდაცვლილებაა. გრანელი კი ამ ჩვენგან ძალიან შორეულ განწყობილებებს დიდი მეცნიერის, აინშტაინის და მხატვარ-აბსტრაქციონისტის, კანდინსკის დონეზე აღიქვამდა და რა ნიჭიც არგუნა უფალმა, იმ ნიჭითვე ჭეშმარიტად გამოხატავდა ყოველივეს. პოეზია იყო მისი უდიდესი კალეიდოსკოპი – ვარსკვლავი. ტერენტი გრანელი მეცნიერად რომ მოვლენოდა დედამიწას, უთუოდ ოკეანეში ჩაძირულ ატლანტიდელებზე არანაკლებ ასტრონომიულ გამოკვლევებს დაწერდა. იმ სასწაული ცივილიზაციის დარად, უნიკალური სამოცდაათიათასამდე წიგნი ფანატიკოსმა ბერებმა ალექსანდრიის ბიბლიოთეკის ხანძარს რომ შთაანთქმევინეს.

ეს უკვე ადამიანზე, დედამიწაზე და უფალზე, შეუგნებელთაგან ჯვარცმის დონეზე უსასტიკესი ჭრილობის მიყენება იყო...

ყველასგან განსხვავებული მგოსანი გრანელი კი უხილავში პოულობდა ხილულზე უახლოესს, დიდი ნიჭი ჰქონდა კოსმოსური საოცრებების შეგრძნება-დანახვის...

– საფლავები! მართლაც ძალიან განყენებული და შორეულია ჩვენგან, ამიტომაცაა დედამიწა უცნაური ჩაუწვდომლობა, ის ხომ მილიონობით წლიდან მოყოლებული დიდი სასაფლაოა, სიცოცხლის და გარდაცვალების კოსმიური ურთიერთობაა, რაშიც მიუწვდომელი იდუმალებებია ჩაწნული. ორი უკიდურესად განყენებულობაა დედამიწაზე სიცოცხლე-გარდაცვალება და მათ შუა დუმილ-საფლავი. ამ უსასრულო დროთა ჟამში დედამიწა – ჩვენი პლანეტა გარდაცვლილთა გამანოყიერებელ ფერფლადაა ქცეული – დაფარული, როგორც მიწის ქერქი, ასევე ზღვათა და ოკეანეთა ფსკერიც...

* * *

მარტოობისა და უიმედობის სევდაში ჩაფლული გრანელი ტყუპთა მშობიარე ქალივით იტანჯებოდა, მაგრამ სამყაროსეული სიახლოვე თავშეკავებას და გამძლეობას მატებდა, რადგან იბადებოდა სრულიად უცხო რაღაც საოცრება, ზეციური საუფლო თუ ნებისმიერ ცოცხალთათვის მიუწვდომელი?! სამწუხაროდ, მგოსანი მაინც მსხვერპლი იყო და მიწიერ განუმეორებელ სიცოცხლეს ეთხოვებოდა, უთუოდ ბევრად უკეთეს – მრავალფორმიან ვარსკვლავეთურ სივრცეში მიემგზავრებოდა, მაგრამ არამიწიერი მშობიარობა და შორეულში გადასვლა უმძიმესია, უცნაურია და ამოუხსნელია თურმე. ადამიანთა უმეტესობა ბუნდოვანი მორჩილებით თანდაყოლილია ამ აღუწერელ პროცესთან. დიდი ხელოვანნი თუ გენიოსები ყოველ უმცირეს ნიუანსებს, მოვლენებს ღრმად განიცდიან და სხეულის ან სულიერი უკიდურესი გაცემით ტრაგიკულად ეთხოვებიან ჩვენი პლანეტის უმთავრესს, ხოლო მშობლიურ მიწას, თავთავიანთ სხეულს უტოვებენ უზენაესთან აუცილებელი ხარკის გაღებით.

უკვე მოსულიყო ჟამი – გრანელთან, უმაღლესი სიწმინდის, უმძიმესი, უკეთილშობილესი, უდრეკი – ვაჟკაცურის, უსაზღვრო შემოქმედის და ეპოქისაგან უკიდურესად განწირულის საბოლოო ზეკანონებთან ანგარიშგებისა.

ტერენტის თანამგრძნობი და მზრუნველი უახლოესი და, ზოზია, წმიდანივით მწარედ მარტვილობდა და ვერ უძლებდა უმძიმეს მოვლენებს. ქალბატონ ზოზიას თვალწინ ვარსკვლავეთიდან მარადიულობით დაკანონებულ ცვლილებათა მიმდევრობითი გადასვლები ნათელ სახედ ვლინდებოდა უსასრულობის წესთა უმკაცრესი ფონით, მუქი ლურჯი ფერების ნისლით და აწიოკებული – უნაზესი სულით. მაინც კაცთა მოდგმის პირველადი ველური სული მბრძანებლობდა ყველაფერს და ურთულესი პროცესი მათემატიკური ზუსტი გაანგარიშებით სრულდებოდა. მგოსნის მიმართ გაბოროტებულ გარემოს ამ მოვლენებთან შეღწევა არ შეეძლო, მხოლოდ სიკეთისმყოფელი ადამიანები განიცდიდნენ კანტი-კუნტად...

ამქვეყნიური, მეოთხე თუ მეხუთე შავი ფორმა სიკვდილი – უხილავი, მაგრამ ის ხომ ნებისმიერ ხილულზე უმძიმესი ტკივილმიმყენებელია. უბოროტესი გზით მოგზავნილი ბნელის მოსვლა უფრო და უფრო უახლოვდებოდა ტერენტი გრანელს და ახალი სამყაროსეული ურთულესი ფორმითი მისტიკური პროცესი მშობიარობდა.

მრავალმხრივი იდუმალებით შემოსილი ნაცრისფერებით დაბინდული საფლავი კი ათივე მცნებასავით გრანელის წინ გადაშლილიყო. არავინ იცის ან ვინ უნდა ჩაწვდეს ნებისმიერი საფლავის ზეციური საიდუმლოს შემოსილ უმთავრეს მცნებას: შესაძლოა ჩვენი უახლოესი გალაქტიკის უხილავი ძაფებით ურთიერთკავშირიც იყოს დედამიწის სხეულზე განთავსებულ საკვირველება






საფლავებთან.

ათასწლეულების წინანდელი სამარხები ჩვენთვის უფრო და უფრო მიუწვდომლობაში არსებობენ. მაგალითისთვის – დიდი აიეტ მეფის, მისი შვილის მედეას, ფარნავაზ მეფისა და მათ თანამედროვეთა გახსენებაც კმარა. ჩვენს დროშიც უთუოდ ყველას თვალწინ პირველი კოლხი მგოსნის ან ასტრონომის საფლავის მტვერსაც ქარი ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაჰყრის ხოლმე. უძრავად გასუსული შემდგომ მოძრავ, ანუ მოხეტიალე მარადიულ ჰაეროვან საფლავად გარდაქმნილი. ამდაგვარია სამყაროსა და დედამიწის უხილაობათა შეუვალი ურთულესი დინამიკა.

როგორც ზეცაში სულთა სიუხვის უსასრულობაა, ასევეა დედამიწაზე საფლავთა აურაცხელობა, რომლებიც შემოდგომის ფოთლებივით კვებავენ მიწას...

ყოველი საფლავი ურთულეს, ინდივიდუალურს და სამყაროსეულ ბნელეთის შინაარსს გადმოსცემს, მხოლოდ შინაგან ფარულს და ღვთიურ ნიჭ-ბუნებას შეუძლია მისი წაკითხვა. ტერენტი გრანელი, დიდი მგოსანი და მოა – ფორმალისტი მხატვარი ამ სახის ფუნქციით და უცხო ნიჭით სტუმრობდა ნებისმიერ სამარხს. განმარტოებული საფლავებიდან კი ამოდიოდა ცისფერი დუმილი და შორეული აზრები, მარადიულობის უხილავი ხედვით... გრანელი ნოსტრადამუსივით კითხულობდა საფლავთა კოსმიურ საიდუმლოებას და ასე შორეულში მგზავრობდა.

* * *

გრანელის უცხო გენია გასცდა მანამდე ტრადიციულ მსოფლიო გენიათა სახე-ხასიათს და დამოუკიდებლად, თავგანწირვის ფასად, გაიჭრა პლანეტარიუმის მოკაშკაშე სივრცისაკენ. საკვირველება, მისდათავად მოსვლაა პიროვნების – ნიჭის გამდიდრება და გარდაქმნაა ვარსკვლავეთთან, დაქვემდებარებით გამოწვევა იყო ზეციური და შეწირვა, მას არ ჰქონდა უფლება დიდი მთლიანობის იდეა-ინტელექტიდან გამომდინარე გამძვინვარებულ დიქტატორსაც დამორჩილებოდა ან საქვეყნოდ აღიარებულ პარტიულ პოეტებს, ის პლანეტების წეს-თვისებით მარადიულად სიმართლეს განუმარტოვდა, რაც სრული მსხვერპლშეწირვაა. ამდაგვარ უერთგულეს ზვარაკს ვერცერთი ძალა და ავტორიტეტი ვერ გამოიყვანდა უჩვეულო არეალიდან. პოეტი აქ წამებული იყო, უმაღლესის მეხოტბეობით და მიწიერი უბედური... ხოლო სამყაროს უხილაობის სივრცეში შემგრძნობ-უბედნიერესი, ის სრული ცოცხალი, სულიერი, გონიერი და გულითადი ნაწილი იყო მთვარეული სიშორის დიდ იდუმალებაში შემავალი.

* * *

გრანელი ნაღდი ფსიქოლოგიური ფორმა იყო დიდი მოაზროვნის ხატისა – „ადამიანი არის ჩამოვარდნილი ღმერთი, რომელსაც ახსოვს ზეცა“ (ლაროშფუკო).

უთუოდ, უშორესიდან დროებითი შემოწირულობა იყო დედამიწაზე, რითაც კოსმოსური ურთულესი განცდები აფორიაქებდა...

* * *

ქალბატონ ზოზიას მოეჩვენა უმოწყალოდ გან-

→

# და დაბადება

← დევნილი ტერენტი შუბლსისხლიანი, დაღარული და სანთლისფერი სახით ცისკენ მიფრინავდა, საფლავებიდან კი შავი ფერის ჩონჩხები ამოიყარნენ და გაძევებულს კბილების ხრჭიალით და ხელის მტევნების ჩხაკუნით აცილებდნენ.

მერმე უფლის სიკეთის ეკლესია გალურჯდა, სასაფლაოს ირგვლივ კი უცნაურნი წრეს უვლიდნენ და საშინელი უცხო ხმაური მოდიოდა მათგან.

შემდგომ თეთრი მხსნელი ანგელოზი ოქროს ჯვრით სიახლოვეს გამოჩნდა და უმალ მოჩვენებები გაქრნენ. მერმე ირგვლივ იისფერი ნისლი ჩამოწვა, მას ბინდი მოჰყვა საშინელი. სუნთქვაშეკრულ ზოზიას გული წაუვიდა და უღონოდ ჩაიკეცა. ვიღაცამ, – წყალიო, – იკივლა და იქაურობა მწარედ შეიძრა. ზოზიას თავზე ბნელი სივრცე, აღელვებული მღვდელი და დიდი ჯვარი ადგა... ტერენტი ადამიანთა ძვლების ნაკრები და ანგელოზი მათ სიახლოვეს არ ჩანდა, მიცვალებულის ფერშეპარულ ზოზიას მოძღვრის ლოცვის და ხალხის ნერვიული ფუსფუსი ჩაესმოდა და თან მიკნავლებული ხმით ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა.

– ძმა! – საცოდავი! – დავკარგე!..

მოციქულივით გარინდულ და გაოგნებულ ეკლესიას უკვირდა, ამ ცოდვილიან მიწაზე რომ იდგა...

* * *

სამყაროსეული მრავალთვისებიანი ძალები ადამიანზე ხშირად მოქმედებენ დამანგრევლად. იმავე ზომით ღრმად დადებითნი აღმშენებლადაც. ამჟამად უარყოფითისაკენ მიექანებოდა მიწიერთაგან გრანელის დასუსტებული სული და საფშვინველი. მარქსისტული გარემო მის ირგვლივ უკვე გამანადგურებლად მოქმედებდა, ჭლექისგან შეჭმული ცხოვრებიდან გამოსვლა მხოლოდ სიკვდილით შეიძლებოდა, მიწიერი წუთისოფელი მარადიულობის უსასრულობაში გადადიოდა, ყოველივეს ამის ამოცნობას გრანელი საფლავის უშორესის ფენომენიდან ცდილობდა. აქ საფლავი იყო საფეხურები სამყაროს შეცნობისა და სიკვდილის წაკითხვა – მარადიული გამოუცნობის, ანუ მატერიალური კოსმიურობიდან იდეალისტური უხილავი აკადემია და მიუწვდომლობა. დანარჩენი – ირგვლივ ბინა, სახლი, დარბაზები, კლუბები, სურამის საავადმყოფოს ოთახით დამთავრებული, სულთამხუთავ ჩაბნელებულ, ჩაჟანგულ, უსაშველო ციხედილეგად ეჩვენებოდა. ამჟამად გრანელი სამყაროსეულ ცოცხალი ნერვებმფეთქავი მწარე სინამდვილის წინ იდგა – იბრძოდა, ეძებდა, აზროვნებდა ზეადამიანური სევდით და წმიდანური განცდით. მიწიერი სივრცე, ვიწრო სულთამხუთავ დერეფნად გადაქცეულიყო, რომელსაც გაჰყავდა მიუწვდომელსა და უხილავ სამყაროში, სადაც მისი მოძრაობის სიჩქარე განუსაზღვრელი იქნება... გრანელი სულიერად იმდენად განსხვავებულად გაძლიერებულიყო, მას არაფრისა არ ეშინოდა და მიწიერ კეთილდღეობაზე ნამცეცზედაც არ ფიქრობდა. ის უკვე ადგა წამებულ წმინდანთა უპატიოსნეს გზას. ენანებოდა ციდან მოგზავნილი ლექსების დატოვება და ახლობლებზე კეთილი ფიქრი შერჩენოდა უკვე გონმიუწვდომელი სამყაროსკენ მიმავალ მოგზაურს...

აწეწილი მზისფერი მგოსნის მიერ შექმნილი და შეუქმნელი ლექს-შედევრები ბიბლიური, დამფრთხალი ჩიტებივით დაფარფატებდნენ და ადგილს ვერ პოულობდნენ, თითქოსდა გაურბოდნენ საკაცობრიო უსაზარლეს მომავალ ხანძარს...

* * *

ურთულესია, ტრაგიკულია მისტიკოსი ხელოვანის სიცოცხლე. ის ისწრაფვის ზეცისაკენ, პლანეტებისაკენ, რომლებიც მიუწვდომლობებშია, ფანტასტიური მანძილია მასსა და ციურ სხეულებს შორის. უსასრულობის ძაფები მოდის და უხილავად გაბმულია, რომელსაც მოჰყვება ხილვები, წარმოსახვები, ოცნებები, მუზები და პოეტური მუსიკალური, ფილოსოფიურ-მისტიკური გააზრება. მაგრამ ობიექტური, ანუ ფაქტი – უხილავია და უშორესი. პლანეტარისტი გამოუვალ მდგომარეობაშია. მიწას და გარემოს ვერ ჰგუობს. მიწა მაინც პატრონია მისი, რადგან ის ხომ ცოცხალი პლანეტაა, ყოველმხრივ განსხვავებული და სამყაროს გარკვეული უძლიერესი სამოქმედო პროგრამაა ჩადებული, რომლის მოქცევაშია მისტიკოსი და მგოსნის შინაგანი გენეალოგიის ხაზების ბადეშია შეღწეული ვარსკვლავთა მაგნიტური ძალები, რომლებმაც, კერძოდ, ამ სხეულში უფრო განავითარეს უცხო სვლა და მოქმედება. ამ დროს ადამიანი იტანჯება, რაღაც შორეულის, მიუღწევლის გრძნობები ჭამს. ამდაგვარ სრულ პროგრამას ზოგიერთი გენიოსიც ვერ სწვდება, რადგან უდიდესი კოსმოსური წინააღმდეგობებითაა სავსე. პლანეტარიუმის გამორჩეული მგოსნის ირგვლივ თავს იყრიან ზეციური ძალები და მისუსტებული სხეულითვე ექაჩებიან, მაგრამ მისი ფიზიკური არსება ხომ მიწა-პლანეტის საკუთრებაა და ამ ფორმით ორად იწეწება განწირული პიროვნება, მიწისა და ზეციური სამეფოს ქარბორბალას არამიწიერ წესრიგში აჰყავს და მგოსანი იტანჯება. ის უკვე სულიერად არამიწიერია და მისი ჯადო საფშვინველი ძალიან შორეულია და ეს პროცესი საერთოში უმძიმესი ტკივილის მომგვრელია. სამყაროში – ჩვენი მზის სისტემაში, დედამიწის მარადიული, მიუწვდომელი პლანეტისეული კვნესის ხმა გაისმისო, თურმე!..

* * *

– ამ ბოლო დღეებში უცნაური სუნი ამდის ტანზე. ეს არაა ჭუჭყის, ოფლისა თუ დაუბანლობის, უფრო სიკვდილის მარადიული სუნი, რომელსაც გააჩნია მკვდარი პლანეტების და საფლავების, ანუ იმქვეყნიურ ურთიერთობათა მთლიანობის შეგრძნება.

წარმოიდგინეთ, ტერენტი ამ დროს თავის თავსაც არ ელაპარაკებოდა... გაურკვეველია, ვისთან ჰქონდა დიალოგი.



* * *

შემოქმედის ერთ-ერთი შეუცნობელი ტრაგედიათაგანი ისიცაა, რომ უსახო სიკვდილი უკაფავს უკვდავებისაკენ გზას, თითქოსდა თავისი მიწიერი „მე“ უშლიდაო ხელს მის მაღალწარმოსახვით ქმნილებებს...

საფლავების უცნაური შეგრძნება, მიწის დამოუკიდებელი, კეთილი სურნელი და მთვარის ღამეულობა ტრიალებდა ირგვლივ.

* * *

მგოსნის ასტრონომიულ-ასტროლოგიური, მისივე კუთვნილი ღამე მჭიდროდ აედევნა გამოუცნობი ფუნქციებით. გარემოს, დროის და სივრცის მიმართ ზედმეტად მგრძნობიარე ადამიანი, უცხო ძალებისაგან უკიდურესად ნერვიული აფეთქებით დამუხტულიყო და სრული გაუცხოებაა... მეზობელი საფლავიდან ზანტი სრიალა გველი გამოდის, მის ულამაზეს სხეულს სიკვდილის და საფლავის ფერთგანწყობილება, თეთრებში მოხატულით მოჰფენია, რენტგენული მომწვანო-მოცისფრო ფოსფორული გამოსხივებით. გრანელს კი არ ეშინოდა მისი, მხოლოდ უკვირდა. შეუვალი და მძაფრი საფიქრალი გააჩნდა, თითქოსდა ფიზიკურად სუსტ ქვეწარმავალს. გაოგნებულ მგოსანს დაავიწყდა ყოველი საკუთარი და უახლოეს მიწიერ გარემოსთან მეტად ვარსკვლავეთური გახდა. ამასობაში პოეტის დაბინდული ვერცხლისფერი ფიქრი გაედევნა არამიწიერს, დასაშვებია (საოცრებავ) არაკოსმიურსაც. ამ წუთას რატომღაც ია-იას ფერებმა იმძლავრეს მის სხეულზე და სულმა იმძლავრა თითქოსდა ყოველგვარი შიშის და ტკივილის შეგრძნება გაქრა მისგან, ადამიანური. ფიქრზე უფრო სხვა ძალა მოაწვა სულმტკივნეული, არასამყაროსეული (რა იყო ეს ასეთი?!) მართლაცდა ღმერთი ხომ არ სტუმრობდა ამ უცნაურ კაცს. დუმილს მიღმა იდუმალი გარემო შემოუვიდა სანთლისფერ დალეულ სხეულში – უცხო იყო ის და უფორმო...

* * *

მსოფლიოს კაცობრიული პოეზიის თითქმის უმეტესობა სიმღერაა სიცოცხლეზე, სიყვარულზე, მშვენიერებაზე, ან ლექსთა თქმა პატრიოტიზმის, ისტორიისა, ტრაგედიისა, ფიქრია მომავალზე ოცნება და ლეგენდა-ზღაპარი არის ლექსი ქებათა ქება-ხოტბა, ლოცვად თქმულიც არიან ლექსები უამრავი – რელიგიური, პოლიტიკური და საწინააღმდეგო. მრავალი ლექსი ამქვეყნად იუმორისტული და გასართობიცაა, ლექსი-კაფიაობა, სალანძღავიც გახლავთ მრავალი და ლექსი, დიდი პოემა, საოცრება „ვეფხისტყაოსანი“ სიბრძნის და ადამიანური ყველა თვისების კრებული „ფაუსტი“, ნიკორწმინდა, ლექსი „ვასაკა“, „მერანი“, ანუ სულიკო“... მაგრამ სხვაა მათ შორის გრანელის პოეზია, გრანელის ლექსად თქმა ამ ქვეყნიური ტანჯვა და წამება სიცოცხლეშივე სიკვდილთან სინქრონული მიახლოებაა – სიკვდილის ზეციურ-მიწიერი დასურათებაა. გრანელის პოეზია ვარსკვლავთა მოძრაობის – მათი გადაადგილების სამყაროს სივრცეში აურაცხელი ტრაგედიების მინი ლურჯფორმიანი ფილმია – სახეა, პორტრეტია, გრანელის პოეზიის ის განცდაა, რომელიც ნებისმიერმა ცოცხალმა არსებამ უნდა გაიაროს და ბოლოს იმქვეყნიურობად იქცეს – სამარე – მიწაა, მაგრამ უძიროობის ტევადობის, ბნელზე უფრო იდუმალება და უსასრულო სევდა, რომელშიც შეჭრილია ჩვენთვის უხილავი და საიდანისეული უცნობი სხივები, როგორც თვალთშეუვალი და მარად უცნობი გალაქტიკა; საფლავი გოლგოთაა – მიწის ჭრილობამიყენებული ტკივილია, დარდი და ფიქრია, განაჩენი და უსაზღვრო სიკეთეა; სამარხი – შეუცნობადი ღვთიური მადლიერება-სამყოფელია მარადიული სიკვდილით გამოგონილი და უთვალავი რაოდენობის ბნელზე ბნელი სადარბაზო, ცრემლის ნაკადული, უიმედო ფიქრი და ღამეული შავი კვადრატი, გამქრალი წერტილი, ტერენტის უკანასკნელი ჭეშმარიტება, სახარების დონეზე თქმული...

* * *

ადამიანს მილიონობით წელი დასჭირდა ევოლუციურად განევითარებინა ხელოვნება, მეცნიერება, კულტურა და შინაგანი ინტელექტი, რომლებმაც ათასწლეულების სხვადასხვა მონაკვეთში უზარმაზარი ცივილიზაციები შექმნეს; უძველესი განვითარებები ბევრად უფრო კოსმიურია, ვინემ გვიანდელის გზის ნაპირებში შექმნილები. ადამიანი ნელ-ნელა ავითარებდა აზროვნებას, ლიტერატურას, ფილოსოფიას, მეცნიერებას და იქმნებოდა ფუნდამენტური ნაშრომები. დღევანდელი მოაზროვნის ბედი კი რთულზე რთულია, მთელი ეს სწავლებები აზრობრივად თუ სულიერად თავისთავში უნდა გამოატაროს, გადაამუშაოს, შემდგომ ახალი უნდა შვას (ხელოვანთ და მეცნიერთ ეხება). ურთულესი სვლაა პიროვნების ისედაც მოკლე ცხოვრებაში. ხსნა?! – ისევ ვარსკვლავეთშია უცნაური გზავნილები, რომლის ნაკადი რჩეულია, ხედვა თუ ნიჭის შემადგენლობა ერთი და იგივეა, ოღონდ პიროვნებათა ადამიანური ვალდებულება და ფუნქცია იცვლება. ის სხვადასხვა ევოლუციური სასწაულები, რომლებიც დედამიწის უპირველესმა შვილმა შექმნა, მაინც ერთიანი მთლიანობაა. სამყაროსათვის უთუოდ ნიუანსური თანმიმდევრული ზრდაა ან სხვადასხვაობაა, მაგრამ ეს განსხვავებულობა ხომ ერთეულებმა მოიტანეს თავიანთი სიღრმისეული გონებრივი უღლით, მერმე იქმნება უდიდესი ინდივიდუალური სკოლები. მაგრამ ის ყოველი დროის ერთეულები – ინდივიდები ხომ მარადიული და სრულიად განსხვავებული ჩაუქრობელი ვარსკვლავებია.

ამ ზეციური სასტიკი ტვირთის ტარება გრანელს სამყაროს უსასრულობამ, მისმა განაჩენმა დააკისრა. მასთან ერთად ჩვენი პლანეტის ირგვლივ სივრცეში ერთეულებს თუ შეხვდა ეს ბედნიერი, საამო და უსასრულო წამებით – კოსმიური ჯვარცმა.

* * *

თითქმის ლანდად ქცეულ მგოსანს, ყოველთაგან განწირულის, ნერვების წრიალი, წკმუტუნი, წკავწკავი და წამი-წამზე წრიულითი სვლა-წამება დაეწყო. აუტოკდა ძარღვები, კაპილარები და ყველასაგან მიტოვებულის სიახლოვეს მხოლოდ საფლავთა ბნელი ფიქრმწოლიარე ფონი ჩანდა.

უცხო, შორიახლო შიშინი და შრიალი შემოდიოდა შთენილ სხეულში.

ადრე თუ ღრმა, ალიონის ნისლისფერი სევდა სრულიად სივრცეს სასოწარკვეთით სერავდა, მხოლოდ-ღა ძლიერი პოეტური საფშვინველით იკვებებოდა მგოსნის სხეული და მიწიერი ტანჯვა იწურებოდა.

უკვე განგრინებული გონება, გორად გარდასახული გული – განგება, გაუთავებელმა გოლგოთამ და გარემოსაგან დაუნდობლობამ თანდათან დაღალა და გამოფიტა ტერენტი, დღე-დღეზე ილეოდა კაცი, გონებით ბრმათაგან – განწირული.

მერმე სიკვდილმა, ჰოი საკვირველებავ, საკუთარი მკვდრის სხეული დაკარგა და, მისდა დაუკითხავად, შეწირული მიწის კუთვნილება გახდა. კუთხე-კუნჭული უმაგისოდ არ მოიძიებოდა და ყველგან მგოსნის მარტოხელა უდანაშაულო სული ალიაქოთად დაძრწოდა, მარდი და მაგარი მუხლებით კი მოუსავლეთისკენ განგაშაყრილი მიემგზავრებოდა. მგოსნის მტანჯველი მართალმოლანდებები და მიუკარება მონობა მთლიანად მორჩა...

უსაშველო და უახლოესი ტანაჯორკილი ურჩხული უგვანოდ უგრეხდა ხელ-ფეხს და ზეცისაკენ ამგზავრებდა, რითაც მგოსნის მიწიერთაგან განწირვა-გამეტება დასასრულს უახლოვდებოდა.

გრანელის მკრთალი მზერა, მიწისძვრის მომლოდინე, მღვრიე წყლის აკვარიუმის ცისფერი თევზებივით წრიალებდა. მხოლოდ პოეზია იყო აქ ღმერთივით მარადიული, ნათელი, მართალი და მუდმივი: გარდამავლობა ვარდისფერი ვარსკვლავივით კოსმიურ სივრცეს მოწყვეტილიყო, დაუსაბამო მომავლის მთლიანობა მედგრად მოემართებოდა.

დაუდგრომელი დიდების დუმილი, დაუმორჩილებლობა და კაცთაგან დევნილის განწირვითი დაუნდობლობის დევნაა უწყვეტი...

უმკაცრესი მბრძანებელი, სიყვარულსიკეთისადმი სიძულვილი, საშინელ და სასტიკ სარბიელს არ ტოვებდა და ყოვლის მძლე სიკვდილს გამანადგურებელი ძალა მოეკრიბა...

ყოველთა მზე მზიურად მზეობდა, მზესუმზირები მოელვარე მანათობელს მიფერებოდა. მათგან ზოგს თავი დაეხარა, თითქოსდა, მიწას ებოდიშებოდა.

ეშმაკეული ერთსახეობა, ერთკბილა და ერთრქიანი ელამი, ელვად ეკვეთა ეულ, მხოლოდ ერთს...

გულცივი გაცვეთა, გონების გადაგვარება, უსაშველო ეპოქის გოლიათური გესლი, გველ-გუნდთა გორგოლაჭობა, გამცემლობა და გადაგვარება გალეულიყო. ყოველთა სისავსე და ახალი დრო, მოგუდულ პოეტთან ჯვარცმაგამოვლით, ზეციური უსასრულობისკენ მარადისობით მიამგზავრებდა. სამყაროს უსასრულო ძალა-განაჩენს კი, უიმედობა შეჰყროდა გაურკვეველი...

მხატვარ-მწერალი

**რეზო ადამია**

# სტამბოლის ქართული სავანის მატიანე

*„სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამის, ეს სამშობლოსია“!*

*სიმონ ზაზაძე*

## ბონდო არველაძე

გამოვიდა კრებული — **„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“** (2017). რედაქტორი პროფ. **შუშანა ფუტკარაძე.** ავტორები: პროფ. **როინ მალაყმაძე,** უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი **თამილა ლომთათიძე,** პროფ. **ელზა ფუტკარაძე,** რეცენზენტები: პროფესორები: **იზა ჩანტლაძე, ტარიელ ფუტკარაძე, ავთანდილ ნიკოლაიშვილი.**

ამასთანავე, მსურს ვთქვა — ავტორთა კოლექტივს, პროფ. შ. ფუტკარაძის ხელმძღვანელობით, გრანდიოზული შემკრებლობითი და კვლევითი მუშაობა ჩაუტარებიათ. კრებული შედგება 7 კარისაგან და მოიცავს 1032 გვერდს, რომელსაც თან ერთვის 50-ზე მეტი ფოტო-ილუსტრაცია.

კრებულში წარმოდგენილია (ქართულ ტიბიკონზე მდგომი) ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტრების (სტამბოლის ქართული სავანის) ბიბლიოთეკასა და არქივში დაცული პუბლიცისტური წერილები, მემუარული ჩანაწერები, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს დემოკრატიული მთავრობის საქმიანობის ამსახველი მასალები, სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების მქონე ისტორიული წყაროები. აქვე უნდა შევნიშნოთ, — ეს ყველაფერი მხოლოდ მცირე ნაწილია იმ სულიერი საუნჯისა, რომელსაც ინახავს სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებული ბიბლიოთეკა და არქივი.




კრებული საინტერესო იქნება როგორც ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის, ისე ისტორიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, საქართველო-თურქეთის კულტურული ურთიერთობის საკითხებით დაინტერესებული მკვლევარებისათვის.

ვიდრე კრებულს მიმოვიხილავდე, ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა პროფ. შუშანა ფუტკარაძის მოღვაწეობის შესახებ. გულახდილად ვამბობ, ჩემი ცხოვრების მანძილზე იშვიათად მინახავს მშობლიური ქვეყნის ისეთი გულანთებული პატრიოტი და ეროვნული მოღვაწე, როგორიც გახლავთ ქალბატონი შუშანა. იგი დაუღალავი ენერგიითა და საოცარი ნიჭიერებით, ყოველდღიურად იღწვის ტაო-კლარჯეთის ტანჯული ისტორიის წარმოსაჩენად. ამის ნათელი დასტურია ამ რამდენიმე წლის წინ მის მიერ გამოცემული ვრცელი კრებული — „ჩვენებურები“ ამ წიგნში წარმოდგენილია მის მიერ ტაო-კლარჯეთში სამეცნიერო ექსპედიციის დროს რუდუნებით შეგროვილი და ჩაწერილი ფოლკლორული, ეთნოგრაფიული, დიალექტური უნიკალური მასალა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ **ნიკო მარის** „შავშეთის დღიურის“ (1911) შემდეგ ეს კრებული ყველაზე მოცულობითია და ქართველ მეცნიერებს უხვ მასალას აძლევს კვლევა-ძიების ჩასატარებლად.

აღნიშნული კრებულის გამოცემა ქალბატონ შუშანას კიდევ ერთი დიდი მეცნიერული გამარჯვებაა. დავიწყოთ თუნდაც მისი და **პაულა ზაზაძის** სტატიით — ***„პეტრე ხარისჭირაშვილი — ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო და სასულიერო კერების ფუძემდებელი უცხოეთში“.*** ზოგიერთი შეიძლება შემომედავოს, მაგრამ, ვფიქრობ, **პეტრე ხარისჭირაშვილის** მოღვაწეობა ერთგვარად ჩრდილშია მოქცეული. რამდენადაც **მიხეილ თამარაშვილის** ცხოვრება და მოღვაწეობა ქართველი საზოგადოებისთვის ცნობილია და სათანადოდაც დაფასებული, პეტრე ხარისჭირაშვილის, ამ უდიდესი ქართველის ცხოვრება და მოღვაწეობა, ნაკლებადაა შესწავლილი და, აქედან გამომდინარე, ქართველ მკითხველ საზოგადოებას მწირი ინფორმაცია აქვს მის შესახებ. ამ ნაკლს ავსებს პროფ. შუშანა ფუტკარაძისა და პაულა ზაზაძის ზემოხსენებული წერილი. მასში გამოყენებულია არაერთი უცნობი და ნაკლებად ცნობილი საარქივო მასალა. ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისათვის, თუ თვალს გადავავლებთ პეტრე ხარისჭირაშვილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

პეტრე (ლუკა) ხარისჭირაშვილი დაიბადა ახალციხეში, კერძოდ რაბათში, 1818 წლის 20 აპრილს. წერა-კითხვა პატარა პეტრეს შეასწავლა თავის დროზე ფრიად განათლებულმა პიროვნებამ, **სტეფანე აბინაშვილმა,** რომელიც მისი ნათლია იყო. სწავლის გაგრძელება მოახერხა რომში, ვატიკანში. 1840 წელს დაბრუნდა სამშობლოში. ამ დროის სწორ შეფასებას იძლევა სტატიის ავტორი. ეს ის დრო იყო, როდესაც ქართველ კათოლიკებს უმძიმესი ჟამი დაუდგათ. მეფის რუსეთის რეაქციული ძალების საშუალებით შემოღებული იქნა პოლიტიკა, რომლის მიხედვით ქართველ კათოლიკებს მშობლიურ ენაზე წირვა აეკრძალათ. მათ წირვა-ლოცვა სომხურ ენაზე უნდა შეესრულებინათ. დაიწყო ქართველი კათოლიკების სასტიკი დევნა-შევიწროება. სომეხი კათოლიკები იმდენად გათავხედნენ, რომ ამტკიცებდნენ, თითქოს, ქართველი კათოლიკები ბუნებაში არ არსებობდნენ. თუ ვინმე იყო, ისინი სომხური წარმომავლობისანი არიანო. ისინი ყოველგვარ დაუშვებელ ხერხს მიმართავდნენ, რათა ქართველი კათოლიკები სომხური ტიბიკონის ქვეშ მოექციათ. მათ ბავშვებს სომხურად ნათლავდნენ, სომხურ სახელსა და გვარს არქმევდნენ. ეს ყველაფერი ხორციელდებოდა რუსი მოხელეების ხელით. რა თქმა უნდა, მათ უკან იდგნენ სომეხი სასულიერო პირები და მათი ხელშეწყობით მიმდინარეობდა ქართველთა დენაციონალიზაციის პოლიტიკა. ამ ბინძური პოლიტიკის შედეგი იყო, რომ მომრავლდნენ ბეჟანოვები, აზარიანები, შაყულიანები, ჩილინგაროვები, ხითაროვები და ა.შ. ამგვარ პროზელიტად ქცეული **პოღოს შაჰყულიანი (ჭილიმუზაშვილი)** განსაკუთრებით აქტიურობდა ქართველთა გასომხების საქმეში. ამის გამო ქართველმა კათოლიკებმა მას **„შავგულიანი“** შეარქვეს.

ამ ანტიქართული კომპანიის წინააღმდეგ გაილაშქრეს **ივ. გვარამაძემ, მ.თამარაშვილმა** და სხვ. ქართველმა მოღვაწეებმა. მიხეილ თამარაშვილმა დაწერა მონოგრაფია — ***„პასუხად სომეხ მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“*** (1904). ეს წიგნი „ქვათა ღაღადის“ შემდეგ იშვიათი ნიმუშია სომეხი ანტიქართული მოღვაწეების ობიექტური კრიტიკისა და მათი ქართველთმოძულეობის ბოლომდე მხილებისა.

სტატიის ავტორები მკითხველს საინტერესოდ მოუთხრობენ პეტრე ხარისჭირაშვილის მოღვაწეობის მეორე პერიოდს, როცა ვატიკანში სწავლა მიღებული 1840 წელს ბრუნდება ახალციხეში. ახალგაზრდა პატრიოტს მშობლიურ მხარეში დახვდა პოღოს შაყულიანის შავბნელი საქმიანობა. პეტრე ხარისჭირაშვილი მარტოდმარტო შეებრძოლა, მაგრამ ***„ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანდა“,*** როგორც მართებულად აღნიშნავენ სტატიის ავტორები. საჭირო იყო ქართულ ტიბიკონზე ***„ეროვნული სულისკვეთების მქონე მღვდლების მომძლავრება“.*** ამის გაკეთებას კი საქართველოში ვერ შეძლებდა შინაური თუ გარეული მტრების წყალობით. ამიტომ წავიდა საზღვარგარეთ ქართული საქმის მოსაგვარებლად. 1855 წელს ჯერ სტამბოლში, ხოლო შემდეგ ვენეციაში ჩავიდა და მხითარისტებთან დაიდო ბინა. როგორც სტატიის ავტორები წერენ — პეტრე ხარისჭირაშვილს დაურწმუნებია სომეხი მხითარისტები, რომ არიან ქართველი კათოლიკენი და მათ სჭირდებათ სწავლა-განათლება, ლოცვა ქართულად და არასომხურად.


*პეტრე ხარისჭირაშვილი*

პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის გარეუბანში — ფერიქოიში (ანგელოზის სოფელი) შეიძინა რამდენიმე ჰექტარი მიწა და ააშენა ეკლესია (1861), ამ ეკლესია-მონასტრის მნიშვნელობა აქაური ქართველი კათოლიკებისთვის მათში ქართული სულის აღორძინებისთვის განუზომელი იყო. ეს კარგად აქვთ გადმოცემული ავტორებს, მაგრამ დამატებით მსურს ერთ მნიშვნელოვან ფაქტზეც გავამახვილო მკითხველის ყურადღება. ისინი ხაზგასმით წერენ და ცალკე სტატიაც აქვთ ცნობილ სომეხ პოეტსა და ისტორიკოსზე, **გევონდ ალიშანზე** (1820-1901). როგორც ისინი გვატყობინებენ — გევონდსა და პეტრე ხარისჭირაშვილს შორის მეგობრული, საქმიანი ურთიერთობა ყოფილა. სომეხ პოეტს და ისტორიკოსს გარკვეული დახმარება გაუწევია სტამბოლში ქართული ეკლესიის დაარსების საქმეში. გულახდილად უნდა ვთქვა — ეს პირველად მათგან გავიგე. **სასურველი იქნება თუ მოიძიებენ საარქივო მასალას ამ ორი მოძმე ერის მოღვაწის ურთიერთობის შესახებ და ქართველ მკითხველ საზოგადოებას გააცნობენ.** მას ქართული პრესის მიხედვით შეუსწავლია სტამბოლის ქართული სავანის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში. მასში გაანალიზებულია „ივერიაში“, „დროებაში“, „საქართველოს რესპუბლიკაში“, „სახალხო საქმეში“, „სახალხო გაზეთში“ გამოქვეყნებული მასალები, რომელნიც სტამბოლის ქართულ სავანეში გაჩაღებულ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას წარმოაჩენდა.

განსაკუთრებით საყურადღებოა და ქართველ მკითხველს გულზე მოხვდება **ელზა ფუტკარაძის — „სტამბოლის ქართული სავანის საარქივო მასალები ათონის მთის შესახებ“.**

დოკუმენტური მასალის საფუძველზე გადმოცემულია ათონის მთის ქართული მონასტრის ბერ-მონაზონთა მოკლე, მაგრამ ძალზე შთამბეჭდავი ისტორია. ერთ დროს აქ 40 000 ქართველი ბერი მარტვილობდა და ეწეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. ჟამთა სიავით ისარგებლეს ბერძნებმა და 1866 წლიდან საერთოდ აკრძალეს ქართველების მოღვაწეობა ათონის მონასტერში. ბერძნები უნამუსოდ დაეუფლნენ ათონის ქართულ მონასტერს. მოვიტანთ ფრაგმენტს ერთ-ერთი ქართველი სასულიერო პირის **წერილიდან: „სირცხვილი ბერძნების ერს, მის მთავრობას და ეკლესიას“. ფურცელი არ უნდა წახოცონ ბერძნებმა და დაუბრუნონ საქართველოს ივერიონის მონასტერს თავისი ქონებით, რომელსაც უწოდეს „ზვირონ“, რათა დაავიწყონ ქართული სახელწოდება, ანდა საქვეყნოდ ითქვას მისი ავაზაკური საქციელი. ქართველმა ერმა ხმა უნდა ამოიღოს და მოითხოვოს თავისი ძალადობით გატაცებული ქონება“** (1920 წ.). აგერ, ლამის საუკუნე გადის, მაგრამ ათონისა და ჯვრის მონასტერი იერუსალიმში ბერძნებს უკავიათ და ყველანაირად ცდილობენ წაშალონ ქართული კვალი და სახსენებელი. ამ სტრიქონებს რომ ვწერდი, გამახსენდა მუსლიმთა ოკეანეში მდებარე სტამბოლის ქართული მონასტერი. თურქეთის მთავრობას მისთვის ხელი არ უხლია, ერთმორწმუნე ბერძნებმა კი ყაჩაღურად მიიტაცეს ქართული მონასტერი და დღემდე მათ დაბრუნებაზე არ ფიქრობენ, ესეც ჩვენი ერთმორწმუნე ბერძნები!.. აღარაფერს ვამბობ რუსებზე!..

***„სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამის, ეს სამშობლოსია“!*** — ეს სიტყვები ეკუთვნის სტამბოლის ქართული სავანის დიდ მოამაგეს და პატრიოტს **სიმონ ზაზაძეს.** ამ ლეგენდარული პიროვნების და მისი მემკვიდრეების ეროვნულ მოღვაწეობას გვაცნობს შუშანა და შორენა ფუტკარაძეები. არ შემიძლია აქვე არ მოვიხმო ბატონ სიმონ ზაზაძის ანდერძიდან მისი ოპტიმიზმით სავსე სიტყვები: — ***„ქართველი ხალხის გონიერება და შრომისმოყვარეობა საქართველოს. ჩვენი სამშობლო სულ მალე შვეიცარიასავით იქნება. ყველას უნდა სჯეროდეს ეს, ყველამ იზრუნოს დღენიადაგ ამისათვის. ხალხის სურვილს წინ ვერაფერი აღუდგება“.*** ჩვენის მხრივ, ისღა დაგვრჩენია, დავამატოთ — ღმერთმა გისმინოს, ბატონო სიმონ!

მეორე კარში თავმოყრილია სტამბოლის ქართულ სავანეში შემონახული ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, ღირსეული მამულიშვილების, სამშობლოს მოსიყვარულე სასულიერო პირების პუბლიცისტური წერილები.

ამ მასალის უმეტესი ნაწილი ქართველი მკითხველი საზოგადოებისთვის უცნობია, ან ნაკლებად ცნობილი. მათში გაანალიზებულია სამუსლიმანო საქართველოში მცხოვრები ჩვენებურების ეროვნული და ყოფა-ცხოვრების საჭირბოროტო საკითხები. წერილების ავტორები არიან **მიხაკო წერეთელი, მემედ აბაშიძე, შიო ბათმანაშვილი, ვინმე-მესხი, ზაქარია დიდიმამიშვილი, შალვა ვარდიძე, მიხეილ თარხნიშვილი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, მიხეილ თამარაშვილი** და სხვ.

სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცულია ქართველ მოღვაწეთა — **ავთანდილ ურუშაძის, იოსებ შეშაბერიძის, ლეონ გიგოლაშვილის, ფრანჩისკე ბეგიძის** და სხვათა მოგონებები.

ქართველი მკითხველი პირველად გაეცნობა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში შემონახულ სასულიერო და საერო პოეზიის ნიმუშებს.

დასასრულ მსურს აღვნიშნო ჩემი წერილის შესახებ. არაფერი არ მიშლიდა ხელს ეს მართლაც გამორჩეული კრებული, ზოგადად, ფართოფართო სიტყვებით შემელამაზებინა, მაგრამ, მე, მეორე გზა ავირჩიე, ვეცადე მისი რამდენიმე ავტორი და მათი სტატიების შინაარსის საფუძველზე გამეცნო მკითხველისათვის, რათა მეტი ინტერესი გამეღვივებინა ამ კრებულის მიმართ, რომელსაც გარდა სამეცნიერო მნიშვნელობისა, მას დიდი ეროვნული და პატრიოტული დატვირთვაც აქვს.

*P.S. ქვემოთ გთავაზობთ ფარსმან მაძევარის პუბლიკაციას ამ წიგნიდან: „ოსმალელი ქართველები“.*


***სტამბოლის ქართველთა სავანეში მოღვაწე სასულიერო პირები (სხედან მღვდლები: კონსტანტინე, პიო ბალიძე, პეტრე ტატალაშვილი, ბენედიქტე ვარდიძე, შალვა ვარდიძე), საქართველოდან დევნილ ეროვნული მთავრობის წევრებთან ერთად***

# ႭႱႫႠႪႤႪႨ ႵႠႰႧႥႤႪႤႡႨ

## ფარსმან მაქევარი

აქეთ-იქით ულმერთოდ გაფანტული, უწინამძღვროდ დარჩენილი ქართველობა ამ უცხო ქვეყანაში მარტო თავის მარჯვენას დანდობია და თავისით ცდილა გაეკაფა თვისი ეკლებიანი გზა; ვისთანაც მქონია ლაპარაკი, ყველა ამას მარწმუნებდა და რაშიდ ეფენდი ხომ ბევრს მელაპარაკა, რომ ათასნაირმა გაჭირვებამ და ცოლშვილის შიმშილმა ხალხი გააფთრა, უნარსა და გარჯილობას შეაჩვია, ასე რომ, თურქებს შურიც კი აულიათ. ეგენი ვაჟკაცობაში და მუშაობაში ჩვენ რად გვსჯობიანო; შური ცხად მტრობად გადაქცეულა და ერთი საბაბი ეს ყოფილა, რომ სისხლიერი შურისძიება ჩამოვარდნილა. მთავარი საბაბი კი სხვა არის: რაკი თავიდანვე გულცივმა დახვედრამ გული გაუგრილა სამშობლოდან ლტოლვილ ხალხს და ერთი ფეხის შემოდგმით გაუქრათ ერთმორწმუნოების სასოებით აღძრული ტკბილი იმედი, მაგრამ უკან დაბრუნებაც აღარ იქნებოდა: ადვილი გასაგებია, რა გუნებაზე დადგებოდა ხალხი. რა ცეცხლი და ბოღმა დატრიალდებოდა იმის გულში, ხოლო როდესაც საოცნებო მასპინძლებმა, კარგის მაგიერ, მუშტი უჩვენეს და იარაღითაც შეეხნენ უპატრონო ხალხს, მაშინ ხომ გაბრაზებას და გულისწყრომას საზღვარი აღარ დაედებოდა. იარაღი ნუ იქნება, თორემ გურჯი მშიშარა არ არის: **მამლივით მოვკვდები და დედლივით არ ვიცოცხლებო.** აი, რა უთქვამთ. იარაღისთვის უვლიათ ხელი და ერთის ადგილას ორად და სამად უხდიათ მაგიერი. ამ ზომამდე მისულა ხალხი. ამით თავიც მოაქვთ, – დავაშინეთო.

თუ წინად თათრობა საოცნებო იდეალი იყო, ქართველობა მას მიელტოდა, დღეს თავის თვალით დაინახა, მამა-პაპათა ნადგომი რომ დასტოვა, ვის ამოუდგა გვერდით? თურქმა მეზობლობა არ იცის, ნათესაობა არ აქვს, ერთმანეთს არ გაიტანენ, მოხუცებული მამა შვილს არ ებრალება; **ხარჯი რო მოვა, ვინც ღარიბია, იმას უფრო მეტს ართმევენ;** ჩვენ მაგათგან მეზობლობა და ცხოვრება არ შეგვიძლიან. მე ისე გავსაზრე, რომ კაცობა ისევ ჩვენში ყოფილა; მებრალება და სვინდისი გურჯისა მე არა ხალხში არ მეგულებაო. ასე მითხრა სიტყვა-სიტყვით რაშიდ ეფენდმა. ბნელია, ბნელი აწ ცხოვრება ჩვენი, მაგრამ აბა, უყურე, შიგ როგორი ნათელი სჩანს. დაგვებნენ, დაკარგეს სამშობლო, მაგრამ არ დაჰკარგეს გული, მატარებელი ადამიანობისა. მოვიგონე ასეთივე სიტყვები გურჯის ნამუსობაზე სტუდენტ სულეიმან გიორგაძისა. რაკი ასე მითხრა ორმა ადამიანმა – სულ სხვა და სხვა დროს. მაშინ ეტყობა აქ არ არის შემთხვევით ნათქვამი კომპლიმენტი და თავის თავის ქება, არამედ წრფელის გულიდან აღმონაქსული. ერთი გარკვეული აზრი დიდებულ ტრადიციის მქონე ეროვნებაზე, თვით ხალხის ჩუმი ღაღადი, თუ გნებავს. ნახა, გაიგო ქვეყანა და სცნო თავისი თავიცა და თავისი დასკვნა ამ ფორმულაში ჩამოაყალიბა. ამისთანა ხალხი დიდხანს არ ილოცავს იქით, საითაც დააყენებენ.

გაჭირვებას ბევრი რამ უჩვენებია ხალხისათვის. თვისთაგან დავიწყებული, თურქთაგან ათვალისწუნებული ქართველობა მალე დარწმუნებულა, რომ ხსნა და შველა ერთობაშია. **გაჭირვებულს ისევ გაჭირვებული მოეხმარება.** სამშობლოს მოვწყდით, აქაც ბედმა თევზებივით ერთ ტაფაზე დაგვსვა, სხვა ვინ იქნება ჩვენი მოლხინე, თუ არა ჩვენვე ერთმანეთშიო. ამ შინაგან ხმას დიდხანს უმუშავნია და ბოლოს გადაქცეულა მიდრეკილებად, რომ თურქებისაგან დამოუკიდებელი საკუთარი ორგანიზაციები გაიჩინონ და თავიანთ ნამუს-ხასიათზე აწარმოონ საქმე, ზოგან აუსრულებიათ კიდევაც. ჩვენ თურქებთან ცხოვრება არ შეგვიძლიანო, ცარიელი სიტყვები არ ყოფილა რაშიდ მამნიძისა, მან მიამბო შემდეგი:

საქართველოდან გამოსვლისას კურასუნში დასახლდა ოცდაათი კომლი. ორმოცდაათი გახდა. ათი სხვა მოვიმხრეთ თურქებიდან, სამოცი ოჯახი გახდა. ჯამე ჩვენ გავხსენით, რომ თურქი ჩვენ საქმეში არ გარეულიყო (ალბათ, სამოცი კანონით არი მოთხოვნილი და ერთი ჯამეს მრევლი იურიდიული ერთეულია). ახლა შემოგვაწერენ ხარჯს: შენ ესა გაქვს, იმას ის უჭირავს. ჩვენ ვიცით ერთმანეთში, ვის რა გვაქვს: ზოგს მეტი შეუძლიან, ამდენი ამოიღე და დადე, შენ ამდენი, იმან იმდენი. ზოგს სულ არა აქვს რა. ზოგი ქვრივ-ობოლია, იმათ სულ არაფერი უნდა გამოერთვას. ასე მოვკრიფავთ, რამდენიც გვაწერია. მივცეთ ჩვენ თავკაცებსა და ვეტყვით: წადით და ეს ნაჭერი (ფული) ჩააბარეთ ფაშის გამოგზავნილსაო.

ყველაზე მძლავრად და ტკბილად ამ სიტყვებმა დამიარეს გულში. ერთი ათად გამეზარდა ეროვნული თვითმოყვარეობა. რამდენი ძალა ყოფილა შენახული ხალხში, რომ ვერა უცნაურებამ ვერ ჩაუქრო ღვთიური მადლი და გრძნობა ადამიანური. რა არის ამისთანა ის დეფექტი სისხლიერ შურისძიებისა, რომელსაც იძულებით დასდგომიან? აგრე ულმობელად მტერთან ექცევიან ასალაგმავად, თორემ ისე, აჰა, იხილე მათი აზრი და მსჯელობა. მათ არა თუ აიცდინეს თავიდან ზნეობრივი გახრწნა, არამედ სოციალურ სიმართლის ძიებასაც კი დასდგომიან. სხვა კაცთმოძულეთ რომ ჰკითხო, ქართველი ერი ავაზაკი და ყაჩაღია, აზიატი, პატივისმცემელი მხოლოდ ძლიერებისა და მარტო ხიშტი გვაყენებს კანონიერებაში, **თორემ თუ ჩვენ თავისუფლება მოგვეცა, იქნება დავჭამოთ კიდეცა ერთმანეთი.** მართალია ერთი სოფელი მთელი ქვეყანა არ არის, მაგრამ სულიერადაც კი მასთან არის გადაკავშირებული და ცხოვრების მოვლენაში მას მოწამედ უდგება. ან ვინ იცის, რამდენია ამ ნაირი მაგალითი? ერთი კია უტყუარი სინამდვილე; თავის დაცვაში ყველანი ერთად არიან; თუ ვინმემ ქართველი დააზარალა, მთელი სოფელი ეძიებს შურსა. **ლაპარაკში ჩემი თანამესაუბრე ეროვნულ სახელად მუდამ ქართველს ამბობდა და სხვებიც, საზოგადოდ, ვინაობის დაკითხვაზე ან ქართველს გეტყვიან, ან გურჯს.** ამ სახელებს შორის გარჩევას არა სდებენ. **„თათარი ვარო“ კი, ამას თავის დღეში არ იტყვიან. პირიქით, თუ დაუძახა ვინმემ, ძლიერ ეწყინებათ, ჩვენ თათრები არა ვართ, თათარი თურქიაო.** ვინმე უვიც ქრისტიანს ეხმარება ეს სიტყვა და წყენით შემომჩივლეს: ასეთი დიდი შეურაცხყოფაა ამათთვის ქართველად არ ხსენება. ვისაც არ უნახავს, ეგონება, აღარც კი ახსოვთ სიტყვა „ქართველი“, მაგრამ ყველაზე ხშირად ამ სახელს გაიგონებთ. საქართველოშიც კი მუსლიმან ქართველს რომ დაეკითხოთ ვინაობაზე, იტყვის, თათარი ვარო და რაღაც უბედურ ჯიუტობით იმეორებს ამას. სწორედ ეს უკუღმართობა მოვაგონე მამინაძეს და მან ასე მითხრა: არ იციან და მაგრე იმიტომ ამბობენო. **რჯული და თათრობა ერთი ჰგონიათო და ქართველს კიდევ ყველა ქრისტიანს ეძახიან, გინდ ბერძენიც იყოსო.** მერე ვითომ მე არ ვიცოდი, ისე დამიწყო განმარტება: **რჯული სხვა არის და გვარი სხვა. მუსულმანი ბევრია, მაგრამ ყველა კი თურქი კი არ არი. თავი მუსულმანების არაბები არიან; ალბანელებიც მუსულმანები არიან, მაგრამ თათრობა კი არ ეთქმით. ჩვენებიც რომ გაიგებენ ამას, ეგრე აღარ იტყვიანო.**

დიაღ, მაგრეა და რამდენი კიდევ სხვა რამ გვაქვს გასაგები? მაგრამ ოღონდ შრომა და თავგამომეტება იყოს და კვლავ აღდგენილ იქნება ჩვენი დამსხვრეული ოჯახი, კვლავ აბოლდება კერა ქართველისა. ნუ გგონია, რომ მუსულმან ქართველობას არ ულვიოდეს ამისი სურვილი. როცა საქმეზე გველაპარაკებიან, ზედ დასკვნას იძლევიან და გზას გვიჩვენებენ, თუ რა საშუალებით გავიგებთ ჩვენს გასაგებარს. ასე მოიქცა რაშიდ მამინაძეც: **წერა-კითხვა გვიშველის: თუ იგი ვასწავლეთ, რჯულის საქმესაც გაარჩევენ და აღარც დავიკარგებითო.**

მე გამოცდილებით ვიცი, რომ ზიგიერთს მეტად ეჩოთირება პასუხი აყრაზე და აქეთ წამოსვლაზე, მაგრამ ორი საათის ლაპარაკით მე და მამინაძე ასე დავახლოვდით, იმ ზომამდე ვიგრძენით ერთსულობა და ერთტომობა, რომ ერთმანეთის მხილებასაც აღარ დავერიდებოდით, თუ ჩვენ რამე შეცოდება მიგვიძღოდა ჩვენი ეროვნების წინაშე. მეც ვეღარ მომითმინა გულმა და ვკითხე: რათ დააგდეთ ქვეყანა და წამოხვედით, იქ თქვენი მამების საძვალე დაჰკარგეთ და აქ დაიფანტენით მეთქი? მე მეგონა, მამინაძე დანანებით ამოიოხრებდა, როგორც სხვები შვრებიან, მაგრამ, **ალბათ, რომელ ბოროტსაც დასჭირდა ეს ჩვენი უბედურება, ბოროტი ენა გამოიბა და უვიც ხალხში ჭორები გაავრცელა: რუსი რომ ჩამოვიდა, ჩვენ უნდა გავექრისტიანებინეთ, ჩვენი დედა-კაცები სალდათათ უნდა წაეყვანათ და კაცებს გვეყურებინა; თუ არ გავქრისტიანდებოდით, უნდა გავეწყვიტეთ.** ერთ სოფელში შეაგროვეს ერთიანად ქალი და ბავშვი, დააწვინედს კალოზე და კავალერიას უბრძანეს, ზედ გადაევლო, მაგრამ ცხენი შედგა, არ გადაიარა; კარგი, ააყენეთო; ის დღე რომ დაღამდა, ხელმეორედ დააწვინეს, ზედ თივა გადაფარეს. მაშინ კი გადაიარა ცხენმა და ქალი ბოვშვიანად გაჭყლიტეს. კაცს რომ შეებრძოლო და მოჰკლა, კიდევ ჰო, მაგრამ დედაკაცი რას აშავებს, ბავშვის გაჭყლეტა როგორ იქნებაო. თუ დღესაც ზოგი ამ ბურანშია, წინად რაღა იქნებოდა და რანაირად გაუადვილდებოდა საქმე, ვისაც ჩვენი ამოგდება უნდოდა.

გასაოცრების ასპარეზად შეიქმნა ეს უბედური მხარე საქართველოსი: **ჯერ იყო და თავი ნახევრად ამოაწყვეტინა თათრობას ქრისტიანობის გულისათვის და ცეცხლისა და მახვილის ქვეშ მიიღო მაჰმადიანობა. მერეა და რჯულსავე ანაცვალა შეურყეველი ღონე და ახლა მაჰმადიანობის გულისთვის მოითხარა ქვეყნიდან.** ასე იტრიალა ქართველის ბედმა სხვა და სხვა ბოლოზე და დასკვნა კი ყოველთვის ერთი გამოვიდა: რჯულიც ჩვენი აფორიაქებელი გახდა. ჩვენ რომ კვალში მივდევდით ჩვენს რწმენას, ეს დიდებული ნიშანია, სჩანს, ჩვენი პიროვნება დაორებული არ არის, მაგრამ ვაი რომ სხვათათვის რჯული მხოლოდ იარაღია ერთნაირ პოლიტიკისა და აქ ჯერ ისევ ბევრი რამა გვაქვს გასაგებარი ორივე შტოისა ქართველობას.

ბევრი სხვა რამ ვილაპარაკეთ მე და მამინაძემ. როგორ გაიარა საათებმა, ვერ გავიგეთ. მზე დაიხარა. წამოსასვლელად ავდეგ, იგიც ამყვა გამოსაცილებლად. მივდიოდით გზაზე, ძმობით მოლაპარაკენი. ჩვენ მაშინ ერთმანეთის იმედნი ვიყავით: მე მაიმედებდა, კვლავ დაკარგულ ძმათა შემოკრება და შერჩენა. მას ამხნევებდა ნუგეში და სასოება გურჯისტანისა. შუა გზიდან გამომემშვიდობა და ვერ გავიყარენით ამ გრძნობით. მე თუ ვერ მოვიდე, შენ არ დამივიწყო, მალ-მალ მნახავდეო, დამავედრა.

ეხლა ორ ენკენისთვის ამბავი მოვისმინე და დარწმუნებული ვარ, როგორც მე ამერია ერთმანეთში ტკბილი და მწარე ფიქრები, ისე დაგემართება შენცა. იგი ამბავი გეტყვის, რომ მწარეა ბედკრული დროება მტერთაგან ქართველთა არევისა და ტკბილია იმედი მომავლისა, კვლავ ერთმანეთის ნახვისა და შეერთებისა, მაგრამ ყოველივე დამოკიდებულია აწმყოზე, ჩვენს უნარზე, ზღაპარში წაკითხული გეგონება და არც მე დავიჯერებდი, რომ თითონ მე არ გადამხდენოდა, ისე უჩვეულოა ეს ამბავი სამუსლიმანოში.

პატრმა ანდრიამ შემატყობინა, საქართველოდან ჩამოსულა ერთი მანდილოსანი და ნახეო. მე მზადება დავიწყე და თან ვფიქრობდი, ალბად, ჩემი ნაცნობი ვინმე იქნება და ნახვა უნდა, მაგრამ ამ დროს აქ რომელი უნდა იყოს მეთქი, გამოცნობას ვცდილობდი, ვიდრე მე მივიდოდი, მათ ორთა შორის თურმე ეს ლაპარაკია გამართული თათრულ ენაზე:

– თქვენ სადაური ბრძანდებით?

– ბათუმელი გახლავართ, ორი ქალიშვილი მყავს, თათრული სწავლა გაათავეს აქ და ახლა ვცდილობ უმცროსი ფრანგთა სკოლაში მივაღებინო, მინდა მათებური ყოფა-ქცევა მიიღოს და მათ სწავლაში გაიწურთნოს, საფრანგეთის საელჩოში ვიყავ და იქ მითხრეს, პატარა ანდრია ნახეთ, ის მოელაპარაკოს, უმჯობესი იქნებაო და აი ადრესიც თქვენი იმათ მომცეს. ამასა გთხოვთ, როგორც თქვენს ნათლიაობას შეეფერება, მიიღონ თავიანთ სკოლაში ჩემი ქალი, თითონ იმასაც ძლიერ უნდა ფრანგული სწავლა.

– რა გვარის ბრძანდებით?

– გურჯი მ. ხანუმ.

– თქვენ ქართველი ხართ? მაშ თქვენ ქართული გეცოდინებათ, – დიახო და დაიწყეს ქართულად ლაპარაკი.

– ძლიერ კარგი, ქალბატონო, რაც კი შემიძლიან, დაგეხმარებით ელჩთან, მეც ის მიხარიან, რომ ქართველმა ბევრი გაიგოს, იცოდეს.

ამ დროს შევედ მეც, ქართულად ჩაცმულ მანდილოსნის მაგიერ, როგორც მე მოლოდინი მქონდა, დავინახე თათრულად გამოწყობილი ქალი, პირზე ჩადრ ახსნილი, მშვენიერი შეხედულებისა თვალტანადობით. რაღა დიდი გამოცნობა უნდოდა, რომ მუსლიმანი ქალი ვინმე იყო და მხოლოდ ის მიკვირდა, **მუსულმანობაში თავის დღეში არა თქმულა, ქალი სხვაგან წავიდეს და უცხო პირთ დაელაპარაკოს, მერე მამა-კაცებს და ისიც ქრიატიანთ.** ამ ნიადაგზე მუსულმანები სასიკვდილოთაც არ ინდომებენ ჩვეულების დამარღვეველს და ეს ვინ უნდა იყოს ასეთი გამბედავი მეთქი. ამის მოულოდნელობით, ხელის ჩამორთმევისა და ჩუმად დაჯდომის მეტი, ვერაფერი მოვახერხე. პატრმა ანდრიამ ქართულად გაგვაცნო და იქიდან შევიტყვე, რომ ქართულად მოლაპარაკე ქართველო მუსლიმანი ქალი იყო. გამიხარდა მეტისმეტად, მაგრამ სიჩუმე კი დავიჭირე, არ ვიცოდი, რანაირია მუსლიმანთა ქცევა. ისევ მან მომიყვანა გამორკვევაში: მისმა თამამად დალაპარაკებამ და სიყვარულიანმა გამოხედვამ დამარწმუნა, რომ იგი იყო მოსული არა როგორც უცხო ვინმე უცხოსთან, არამედ როგორც ერთი ვინმე დაბადებითგანვე ჩვენთაგანი. ორივე მხარეს ვიგრძენით, რომ აქამდე დაკარგულებმა, ერთის ოჯახის შვილებმა, ეხლა ერთმანეთის გზა ვიპოვეთ და ერთად შევიყვარენით, აწი რაღა საჭირო იყო ფორმალისტობა, და-ძმათა შორის გზა მიეცა დაკავებულ გრძნობასა და ვუთხარი:

– პირველია ქართველ მუსულმან ქალთან ჩემი დალაპარაკება, ვნატრობდი და ამიხდა, აქ ბევრი გვხვდება გზაზე სიარულში, ლაპარაკზე გვეცნაურებიან, მაგრამ ჩვეულება რომ გიკრძალავთ, ხმის გაცემა ვერ გაგვიბედნია. ბევრჯელ დავტანჯულვართ ასე.

– ჩვენც აგრე ვიტანჯვით, – მომიგო და... ქართველ ქალებს რომ ხვდებით, იგიც ვიცი, იმათში მეც ვიყავი, გაზეთში დაგიწერიათ.

– მაშ თქვენც შეგხვდით? – დავეკითხე.

– დიახ.

– სად?

– აია სოფიასთან: თქვენთან ერთად სხვაც იყო, ლაპარაკობდით; ქართული რომ გავიგონე, გამიხარდა და შემოგხედეთ. ჩავაკვირდი. მოვიგონე ის ამბავიც, სწორედ ის არის, აპრილში რომ შევხვდი ახალ სულთნის პირველ სელამლიკზე და შენცა გწერდი. რამდენად გვენატრებოდა გაგება ამბავთა ქართველ მუსულმან დედების დატანჯულ გულისა, იმდენად გამიხარდა ნახვა იმ ადამიანისა, რომლის პირველმა შეხვედრამ ჩემში მხოლოდ სიმწარე და გულის ტკივილი დასტოვა, რომ მშვიდობაც ვერა ვკითხე. ეხლა თითონ იგი მოვიდა ჩემთან, ქრისტიანებში გვესტუმრა მუსულმანი და, იგი არამც თუ თავიანთ ამბავს გვეტყვის, ჩვენს ამბავსაც წაიღებს, კვლავ გაიბმება მისით კავშირი ძმობისა ჩვენ შორის. მაშინვე ვიფიქრე და ხელმეორედ წამოვუდეგ, სალამი მივეცი:

– მაშინ მარტო გამარჯვება გითხარით და დღეს ჩემი გულითადი პატივისცემა მიიღეთ. თუ რამ მინახავს სასიამოვნო, თქვენი ნახვა ყველაზე მეტია ჩემთვის. მიხარიან, რომ თქვენგან ამბავი აღარ მოგვაკლდება ჩვენის დამწყვდეულის დებისა.

– მე კიდევ ის მიხარიან, რომ ქართველ კაცს ვხედავ და ჩემი ენა მეყურება ამ ქვეყანაში, – სთქვა მ.ხანუმმა და დაიწყო ტირილი. ტიროდა ხელსახოცში პირწაყოფილი ქვითინით და თან მოსთქვამდა. მოგვეკიდა ცეცხლი. მე ვანუგეშებდი: – გავიბენით, მაგრა შეერთება ჩვენზეა მეთქი და მე თითონ თვალებზე ცრემლი მომერია, პატრ ანდრიას სახე დაემწუხრა, ხმას ველარ იღებდა. მაინც ეს რა არის ჩვენს თავსა და რა დაგვმართვია“! მე წინად გაგონებით ვიცოდი მუსულმან ქართველთა არსებობა და წიგნებიდან ამოკითხული მქონდა მათი ძალად განყოფა და წაგლეჯა, მაგრამ შიგ რა დრამა ტრიალებს და რა განუსაზღვრელი ტანჯვაა, ამას ეხლა-ღა ვხედავ და ვხვდები. ერთმა აქეთ დაიჭირა თვალი, მეორემ – იქით, შუა გაგვივლეს უფსკრული; გულში ესენი ჩვენ გვაკლია და ჩვენ ამათ ვაკლივართ; ვგრძნობთ ამასა და ვერა გვიქნია-რა ძილდაწოლილივით; დედის გული ვერ ითმენს და სტირის. გაქრი ცხოვრებავ, თუ ამისთანა დარჩები და თუ ჩვენ ერთმანეთის თავი და ბედი სატირელი გვექნება! მაგრამ, დაე, ამ ცრემლმა განბანოს ჩვენი წინანდელი შეცოდება გასამხნევებლად მომავლისა.

საიდან მოდის და საით მიდის ცრემლი, ნაწური თვალთაგან მ.ხანუმისა? მე თათრული მასწავლესო და თათრულს ვლაპარაკობ, მაგრამ ჩემი ენა ქართულია, იგი მეტკბილება. ქართულ ენაზე გავიცან მზე და მთვარე, როცა დედის ნანათი ჩემი აკვანი ირწეოდაო. მიყვარს საქართველო, მე იმის ხის ძირს ვენაცვალე, იმის კენჭი და კლდე მირჩევნია სხვისა ოქროს. ქართველები ჩემი ძმები არიან და მათთან მინდა ვიყო. მომწონს მათი ქცევა და ცხოვრება. ადამიანობა აქვთ, შებრალება იციან, მე იმათთანა სხვა არ მეგულება ქვეყანაზე, სხვებს არ ესმით ჩვენი გულის ამბავი და არც ვეწუხებით, შეჭმა უნდა ჩვენი მხოლოდ. განა ისინი კი კარგად არიან, ვინც აქ გადმოსახლდნენ: გასწით, მუჰაჯირებოო. აქ რას მოხვედით, ადგილი, წყალი ჩვენი არა გვყოფნისო... ნანობენ ეხლა.

კაცი იტყვის შორიდან, აქ ტირილს რა ადგილი აქვს, რა უშლის ჩვენთან მოსვლასა და ერთობას, თუ გული გულობსო, მაგრამ ნამდვილად კი ამ სურვილსა და ლტოლვილებას წინ მაღალი კედელი აქვს აყუდებული, თუ გამაჰმადიანებულმა ქართველობამ თათარი დაირქვა. რასაკვირველია, იმასაც ეცდებოდა, რომ თათრული ჩვეულებაც შეეტანა თავის ოჯახში. ქალმა კი ამ ჩვეულებით თორმეტი წლიდან უნდა შეიკეროს ჩადრი და ვისთანაც გუშინ უმანკო გულით თამაშობდა, დღეს

დასასრული მე-11 გვ. ▶

**ვახტანგ გურგენიძე**

# მეორე წერილი მეგობარს





*დასაწყისი წინა ნომერში*

ივან ნიკოლოზის ძევ! სიმართლე გითხრათ, ჩემი წერილის შემდეგ, აღარ მეგონა თუ კიდევ რაიმე გვექნებოდა „საკამათო" სამშობლოს გაგებასთან დაკავშირებით. რა გაეწყობა, კეთილი და პატიოსანი, მოგწერთ ჩემს შეხედულებებს თქვენს კონკრეტულ კითხვაზე – „საიდან იწყება სამშობლო". ამ თემაზე დასრულებულია კამათი და, ალბათ, არა უმიზეზოდ და არც უმიზნოდ...

თუ სამშობლო, – ადგილია, სადაც ვშობილვართ და გავზრდილვართ, მაშინ კითხვაზე რა უპასუხონ, ვთქვათ, ქართველებმა, რუსებმა, უკრაინელებმა, ებრაელებმა, სომხებმა და სხვა მილეთის წარმომადგენლებმა, რომლებიც დაიბადნენ და აღიზარდნენ სამშობლოდან მოშორებით? მე მგონია, ჩვენთვისაც და მათთვისაც, სამშობლო მხოლოდ იქაა, სადაც წინაპრებს უმოღვაწიათ, სადაც ჩვენი წინა თაობების სისხლითაა ჩაკირული განვლილი ცხოვრებისა და შემოქმედების გზა – ***„სად მამა-პაპა გვეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი"***, როგორც ერთი დიდი ქართველი ამბობს. ასე, რომ, „უბედურ ვარსკვლავზე" – წინაპართა ნასახლარზე შობილთათვისაც სამშობლო ერთია!

ჩემთვის, ღვთის წყალობით, საკუთარ მიწა-წყალზე დაბადებულისთვის, სამშობლო იწყება იმ სახლიდან, რომელიც ყველა შენობას სჯობია მთელ მსოფლიოში და მდებარეობს მესხეთის ერთ-ერთ პატარა სოფელში. ჩემი ოჯახის კერიის (ბუხრის) ქვაზე ეწერა მისი გამკეთებლის – პაპაჩემის გვარი და სახელი. იქვე, ამავე ქვაზე, ამოკვეთილი იყო მზე, მთვარე, ყანწები და სხვადასხვა ორნამენტი-ჩუქურთმა. ასე, რომ სკოლამდე დიდი ხნით ადრე, იქ შევისწავლე ანბანიც და მხატვრობაც; აქვე შევიცანი ღამისა და დღის საკვირველებანი, ცისა და მიწის უცნაურობანი... დედისა და მამის სიყვარული და მათი უფლება-მოვალეობანი ოჯახისა და ქვეყნის წინაშე. აქვე აისახა ჩემს მახსოვრობაში ჩემი ბავშვობის პერიოდის უკიდეგანო სამყარო თავისი ავითა და კარგით... ალბათ, ვინმემ რომ სცადოს, აღწეროს თავისი ბავშვობის „ისტორია", არ ეყოფა ერთი სიცოცხლეც-კი.. იქ, ყოველი ქვა, ყოველი ნაგებობა, ყოველი ყვავილი, კლდე, ღრე... დაუსრულებელი თემაა მონუმენტური ნაწარმოებებისა პოეზიაში, პროზაში, მხატვრობაში...

პირველი ტირილი, სიცილი, სიმღერა... ანდა ადამიანის დაბადებისა და სიკვდილის შეცნობა? ან ის ადგილი, სადაც ფეხი წამოვკარი, ანდა პირველად რომ შევიპყარი მარიამ ჭია და ვეკითხებოდი: – მარიამ ჭია, მარიამ ჭია, მე საით უნდა დავინიშნო?.. არისკენა, ბარისკენა, წისქვილების კარისკენა?! პირველი შეჯდომა ცხენზე, პირველი მეხრობა, პირველად წასვლა ტყეში... წისქვილის საიდუმლოება? ციხე-კოშკებისა და ეკლესია-მონასტრების ლეგენდები? გამოქვაბულები... პირველი დასჯა, – მამისეული სილა!!! სოფლის პაპები და ბებიები, ბიძები და ძალოები, ნათესავები და მეზობლები?... პირველი თევზაობა, მდინარის გაღმა პირველად გაცურვა... პირველი ლექსის თქმა, საჯაროდ, პირველი გაკვეთილი... უსადილოდ დატოვება სკოლაში... პირველი წარმოდგენა... მუნჯი კინოს ჩვენება... პირველად პატეფონის მოსმენა... რადიოს სასწაულებრივი ამბავი... მაგრამ ყველაზე მეტად, – ტოლ-ამხანაგებთან თამაშობანი – ჭრელახტი, მრგვალი ჯორი, ბურღაობა, ხბორობანა, ნიშხა-ნიშხა, გაკვრა (ბურთის), კესკესმალულა...

ეკლესიებიდან გამოტანილი წიგნებისა და ხატების დაწვა?! შიში, რომ მამაჩემიც არ დაეპატიმრებიათ?! პირველად მანქანის ნახვა და პირველი დარიგება, რომ ახლოს არ მივსულიყავი, თორემ შეგვითრევდა ჰაერი! ბებია მელო? არა, მარტო მელო ბებოს თავგადასავალი რომ აღვწერო, დარჩენილი სიცოცხლე არ მეყოფოდა, ალბათ! პირველი ოცნება?!..

აქვე მოვისმინე პირველად ეროვნული უკვდავების შესახებ ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები... ისტორია ჩემს უშუალო და შორეულ წინაპრებზე. აქვე შევიტყვეთ, თუ ვინ იყვნენ ჩემი სამშობლოს მტრები, ვინ სწვავდა და ანგრევდა ციხე-გალავნებსა და ეკლესია-მონასტრებს... აქედანვე იწყება ჩემი ურთიერთობა ვახტანგ გორგასალთან, დავით აღმაშენებელთან, თამარ მეფესთან, შოთა რუსთაველთან... ილია ჭავჭავაძესთან.

ადამიანს არ შეიძლება ჰყავდეს ორი დედა, ორი მამა, ისე, როგორც არ შეიძლება ჰქონდეს ორი სამშობლო, ორი მშობლიური კერა, მეტყველებდეს ორ მშობლიურ ენაზე... დაუჯერებელია, ადამიანს ჰქონდეს საკუთარი ენა და მშობლიურ ენად სთვლიდეს სხვა ენას. ეს თვალთმაქცობა, სიყალბე, დანაშაული იქნებოდა. არამზადა, ბოროტმოქმედი და მოღალატეა ის ადამიანი, ვინც საკუთარ მშობლებზე, სამშობლოზე, მშობლიურ კულტურაზე ახლობლად სთვლის სხვა ერის ენას... კულტურას!

პირველად მშობლიურ ოჯახში ვისწავლე თითებზე ანგარიში, ვარსკვლავების თვლა და... აქვე დავიწყე ქვეყნის „გარდაქმნისათვის" ზრუნვა...

აქედანვე წარმოვიდგინე ზღვები, ოკეანეები, რომლებიც არ ივსებიან. აქვე ჩამენერგა „კაპიტალისტური სახელმწიფოები და იქ მცხოვრები მუშათა კლასის უკიდურესი გაჭირვებაც". აქვე განვიცადე შიმშილი... აქვე ჩაიკირა ჩემს მახსოვრობაში ჩვენი სოფლის მღვდლის ნაამბობი თურქეთში მაცხოვრებელი ქართველების შესახებ... ისიც, თუ როგორ ხოცავდნენ შემოსეული მტრები ჩვენი კუთხის უდანაშაულო მაცხოვრებლებს...

აი, საიდან იწყება სამშობლო, ჩემი უსასრულობაში „ფრენაც" და საკუთარ თავთან საუბარიც ძირითად თემაზე: რატომ ხდება ასე, რატომ და რისთვის?! **„არ გავცვლი სალსა კლდეებსაო"**, – ამბობს ჩვენი ხალხი, მას იმეორებს ყველა: პოეტი, მეცნიერი, ხელოვანი და, რაც მთავარია, მიწის მუშა, – ჩვენი მარჩენალი, ჩვენი ერის ბურჯი!

წლოვანების მატებასთან ერთად, იზრდებოდა ჩემი სამშობლოც, – შევეგუე იმ აზრს, რომ მთელი მესხეთი ჩემი სამშობლოა, შემდეგ ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი... მთელი დღევანდელი საქართველო, მაგრამ მაინც საწყისი ისტორია ჩემი სამშობლოსი, დღესაც იწყება არა მცხეთით ან თბილისით, არამედ ჩემი სოფლით.

აბა, რა შეედრება, რომელი ქვეყანა, ჩემს ნარინჯოვან და თურინჯოვან ქვეყანას შავი ზღვისპირეთიდან დაწყებული კასპიის ზღვამდე და თურქეთის საზღვრიდან მოყოლებული – დარიალამდე! ასე გიპასუხებთ ყველა ქართველი – სვანიც და რაჭველიც, იმერიც და ამერიც. ეს მშობლიური ქვეყანაა!

ასევე განიცდის თავის სამშობლოს ყველა ერისა და ეროვნების წარმომადგენელი (სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი, უკრაინელი, ებრაელი, ქურთი... ).

გვაქვს საერთო ქვეყანაც – საერთო სამყაროც – დედამიწა, საერთო მზე, საერთო მთვარე, საერთო ვარსკვლავები, – მთელი საპლანეტო სისტემა.

„დიახ, ჩემი სამშობლო იწყება ჩემი მშობლიური სახლით და... მთავრდება იმ ქვეყნით, სადაც ჩემს ენაზე მეტყველებენ, სადაც მათ ჩემი ესმით და მე – მათი!

დროა ამ აზრს შეეგუო, ჩემო ძვირფასო მეგობარო!

ბოლოს კიდევ ერთი საკითხი: ამაზე არც მინდოდა მეთქვა რაიმე, მაგრამ, იმდენ უფლებას აძლევ შენ თავს, რომ ჩემი მხრიდან ამ საკითხზე დუმილი არ იქნებოდა გამართლებული. მომაქვს ამონაწერი შენი წერილიდან: *„... საჭიროა არ იყოს ცალკ-ცალკე გამოყოფილი რესპუბლიკები. ამ მდგომარეობამ დიდი სიძნელეები და ბარიერები შექმნა მმართველობაში, წარმოებაში, მეცნიერებაში... ენების სიმრავლე მაგონებს ბაბილონის გოდოლს.*

*უკეთესი იქნებოდა, რუსეთის მსგავსად, კავკასიაში, შუააზიასა და ბალტიისპირეთში ფედერაციების არსებობა. ასეთ შემთხვევაში ხალხი ერთ ენაზე ისაუბრებდა".*

ეს, არც მეტი, არც ნაკლები, ისეთი გამოხდომაა, რომელზეც პასუხის გაცემა, ჩემი მხრიდან, უმეცრება იქნებოდა!!! ღმერთმა ხელი მოგიმართოს, „ჩემო კარგო". როგორც ვხედავ, **შენი აზრებით და მისწრაფებებით, ვერასოდეს ვერ მოხვალ ჩემამდე, ვერასოდეს ვერ გავუგებთ ერთმანეთს!**

ფოლკლორი

# მსურს სხეულითაც უკვდავი, უხრწნელი ვიყო!

სოლომონ ბრძენი გრძნობდა თავისი სიბრძნის ძალას, იცოდა, რომ მისი სახელი ქვეყნიერებაზე ხალხის მეხსიერებაში, უკვდავი დარჩება, ამიტომ სურდა, რომ გვამით-სხეულითაც დარჩენილიყო უხრწნელი უკვდავი, ამის საშუალება კი არ ჰქონდა. ამ მიზნით მოიხმო ნაზირ-ვეზირნი, უბძანა მათ: წადით ქვეყნიერება დაიარეთ, მონახეთ ისეთი ადამიანი, რომელსაც ეცოდინება უკვდავების წყარო, ან წყალი, წამალი, ან თქვენ შეისწავლეთ საშვალება-წამალი, უკვდავ-უხრწნელი, რადგან ვიცი, რომ ჩემი სახელი და ხსენება დარჩება უკვდავად. ამიტომ მსურს სულიერ ხსოვნის უკვდავებასთან ერთათ სხეულითაც უკვდავი ვიყო.

ნაზირ-ვეზირნი მოემზადნენ წასასვლელათ, გამოეთხოვნენ ბრძენ სოლომონს, გაუდგნენ გზას.

განვლო დრომ დიდმა, ერთი წასული ვეზირთაგანი გზაში შეხვდა გამხმარ, დაჩაჩანაკებულ, გლახაკათ ჩაცმულ კაცს. სალამი სძღვნა და შეეკითხა: შენ ხომ არ იცი, სად არის უკვდავების წყარო? ან ხომ არ გაგიგონია? ან საშვალება რამ? ჩვენ ბრძენ მეფე სოლომონს სურს დარჩეს უკვდავად სხეულით.

მგზავრმა უთხრა: ვიცი, მაგრამ ინანებს...

ვეზირმა თხოვა, წაყოლოდა სოლომონთან. დათანხმდა უცნობი. მივიდნენ სოლომონთან, რომელსაც ვეზირმა მოახსენა: მოვნახე კაცი, ვინმე, რომელმაც იცის უკვდავების წამალი.

სოლომონმა სთხოვა, მიყვანილ კაცს: მითხარ, ან მასწავლე საშვალება სხეულის უკვდავათ დარჩენის.

მან, კაცმა, მოახსენა: ერთ მშვენიერ, უჩინარ ადგილს გამოკაშკაშებს უკვდავების წყარო, სადაც შენ თითონ უნდა მიხვიდე, იხილო, შესვა წყალი და გაიბანო ტანი, მთლათ... მე თვითონ წაგიმძღვები, მიგიყვან იმ წყაროსთან.

სოლომონი მოემზადა წასასვლელათ, თან წაიყოლია ამალა და მხედართ მთავარნი. მხედრები, შუა გზა რომ განვლეს, მივიდნენ ნაქალაქარ ადგილს დასასვენებლათ, სადაც კარგი ნაშენი შენობები მთლათ არ იყო დაქცეული, გაპარტახებული. მხედართ მთავრებმა და ზოგმა მხლებლებმა დაიწყეს დათვალიერება ნაქალაქარის. ერთ ნანგრევ სახლის კედელში ნახეს დოლაბი, რომელშიაც იწვა პატარა, კოჭატა კაცი, თეთრი, სპეტაკი, სქელი წვერი ისე გაზრდოდადაგძელებოდა, რომ დოლაბიდან ჩამოფენოდა ძირს და რამდენიმე მხარი სიგრძე გაზდოდა, კაცი მილეულ, მბჟუტავ თვალებს ახამხამებდა, გაცრეცილ ტუჩებს აცმაცუნებდა. მნახველთ ხმა გასცეს და დაელაპარაკნენ ამ უცნაურ ადამიანს. პასუხი ვერ მიიღეს, მხოლოთ ხედავდნენ: თვალების მსგავს მბჟუტავ ციმციმს, ხამხამს, ხუჭვა-გახელვას და ტუჩების ცმაცუნს...

მნახველთ იფიქრეს: ეს უთუოთ მოჩვენება არის, მაგრამ რო ხედავდნენ, რომ მწოლარე მოხუცებული თვალებს ახამხამებს, ტუჩებს აცმაცუნებს და გამომეტყველება ისეთი აქვს, რომ სწადს, სურს, ხმა ამოიღოს, დაილაპარაკოს, მაგრამ არ ძალ უძს, არ შესწევს ღონე, მივიდნენ სოლომონ ბრძენთან, მოახსენეს ყოლიფერი. სოლომონს აღეძრა ცნობის მოყვარეობა, მოისურვა ნახვა, წავიდა და თან იახლა ის კაცი, რომელსაც უნდა მიეყვანა სოლომონი უკვდავების წყაროსთან...

სოლომონ ბრძენმა რა ნახა კედლის დოლაბში მწოლარე, გალეული მოხუცებული, რომელსაც სქელი, ძენძი წვერი უზომოთ გრძელი, ჩამოჰფენოდა დოლაბიდან ძირს, სიცოცხლის ელფერი სახეზე ოდნავ უკრთის, თვალებს ახამხამებს, ტუჩებს აცმაცუნებს, თითქოს ცდილობს, ხმა ამოიღოს, დაილაპარაკოს, მაგრამ უძლურებისა გამო არ ძალ უძს... განცვიფრდა, გაკვირდა ამის მნახველი მეფე სოლომონ ბრძენი და შეეკითხა მის გვერდით მდგომ უცხო კაცს: ამიხსენ, თუ იცი, რას ნიშნავს ეს, ან ვინ არის ეს ადამიანი?!

მან კაცმა მოახსენა: შენ რომ გსურს სხეულით უხრწნელი დარჩე, უკვდავი, აი, ესეთი ბოლო აქვს სხეულის უკვდავებას. თუ გსურს, უკვდავათ ყოფნა, ასე უძლური, წამობრძანდი, აქვეა ახლო უკვდავების ნაკადული...

რა ეს თქვა, უჩინარ იქმნა...

სოლომონი კმაყოფილი დარჩა ნახულის განცდით, გაეშურა თავის სასახლეში, რომ კვლავ განეგრძო თავისი ბრძნული მეფობა ქვეყნის საკეთილდღეოდ.

***ჩაიწერა ნიკო ასათიანმა 1 იანვარს, ქ.ახალციხეში, 1930 წელს. დაცულია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო მუზეუმის ფონდში. მოგვაწოდა გრიგოლ ჯვარიძემ და ლევან ლაფაჩმა.***

# ადგილთა სახელის მართლწერისათვის



გასული წლის ერთ მშვენიერ დღეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან – მერაბ ბერიძესთან გახლდით პატარა საქმეზე. მასპინძელმა „ისარგებლა შემთხვევით" და თავისი ახალი წიგნიდან („ტაძრები და სახელები") თანაშემწე ახალგაზრდა ქალბატონს ამოაბეჭდინა და გადმომცა ის გვერდები, სადაც საუბარია ჩემი სოფლის ტოპონიმებზე. ეს ქმედება, ცოტა არ იყოს, მეუცნაურა. ვიფიქრე, მთლიანი წიგნი რომ ეჩუქებინა, ჩვეულებრივ ამბად აღვიქვამდი, მაგრამ რამდენიმე გვერდის „ჩუქების" მიზან-მიზეზი სულ სხვა იყო, კერძოდ, წიგნის ავტორს სურდა „შენიშვნა" მოეცა ჩემთვის, რომ მე არასწორად გადმოვცემ ჩემი სოფლის ადგილთა სახელებს. მხედველობაში მაქვს სამი ტოპონიმი: **„ავაზანა", „დოღორა", „ქუმი"** (ეკლესია).

**ავაზანა**, როგორც ადგილის სახელწოდება, მიღებულია **ავაზანი** სიტყვისაგან, ავაზანი კი ხის ან ქვის ავზია, გეჯაა, საიდანაც პირუტყვი წყალს იღებს. **„ავაზანი** – წყლის სადგური", – განმარტავს **საბა. ალ.ღლონტის** მიხედვითაც ***„ავაზანი*** *დიდი გეჯაა, ხის მოგრძო ვარცლი* პირუტყვისათვის წყლის სასმელად" („ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა"). ***„ავაზანს*** ხმარობენ მესხეთში, იმერხევში, აჭარაში", – შენიშნავს სამცხურ-ჯავახურ ტოპონიმთა მკვლევარი **მერაბ ბერიძე**, მაგრამ როცა ტატანისის ტოპონიმ – **ავაზანას** ეხება, ერთგვარად შეცბუნებულია: **„ავაზანა** *მთის, საძოვრის სახელია, რა შუაშია ხის გეჯაო" (დასახ. ნაშრ., გვ. 181)*. სწორედ რომ „შუაშია"! იქმნება შთაბეჭდილება, რომ ტატანისის **ავაზანა**, რომელიც სოფლიდან ჩრდილოეთის მხარეს, 16-17 კილომეტრზე მდებარეობს, მ.ბერიძეს არ უნდა ჰქონდეს ნანახი. ის ვიღაცის არასწორ ინფორმაციას იმეორებს. ეს ადგილი ტატანისელთა საზაფხულო იალაღები და სათიბ-საძოვრებია და სახელი **ავაზანაც** ტატანისელებმა შეარქვეს. ამიტომ მოვიხსენიებ მას ტატანისურ ტოპონიმებში. რას წარმოადგენს ტატანისელთა **ავაზანა?** ეს არის ღრმა ხევ-ღელეებს შორის ხშირი წიწვნარით გარშემორტყმული, სამხრეთისაკენ მცირედ დახრილი ვრცელი ველი, რომლის შუაგულში წყლის საკმაოდ მსხვილი ნაკადი

გაგრძელება მე-12 გვ.

# ოსმალელი ქართველები

◄ დასაწყისი გვ. 9

იმას უნდა გაექცეს და დაემალოს და ასე ნორჩობიდანვე უნდა შეეჩვიოს იმ აზრს, რომ იგია მხოლოდ საგანი მამაკაცთა გულის თქმისა და სხვა არაფერი, სხვა ჰპოვებს იქ მხოლოდ ბატონს, რომელსაც მოუყვანია უკვე რამდენიმე ცოლი და ერთ ჭერ ქვეშ უნდა მოთავსდეს სხვა და სხვა ნაირ მიმართულების პირნი. კაცს სამათა და ხუთად აქვს გაყოფილი გული და ქალიც რომ ჰხედავს, რომ მისი ქმარი სხვისი ქმარიც არის და ხშირად კვირა და თვე არ შეხვდება მასთან დალაპარაკება, ვეღარ დაუმყარებია ქმარზე სრული ქალური გული და სიყვარული, რჩება უამხანაგოდ და უსულიერ საზრდოდ, მგრძნობარებას და ეძლევა ფართო სიღრმე და სავალი, ზეზეურ მიდის ცხოვრება, მას ოჯახის საქმეში არაფერი ეკითხება, მისი მხოლოდ მორჩილება, დაჩივლებაც არ შეუძლიან თავის თავზე, რადგან თათრულ აზროვნებით იგია არა თანატოლი ამხანაგი, მასთან ერთი მოვალეობით შეერთებული, არამედ მისი შეძენილი სულიერი, რომელიც ადვილად მოუყვანია და ადვილათვე გადააგდებს ჩვარივით, თუ მოინდომა. აი ეს აზროვნება გადაედვა მუსულმან ქართველობასაც და ეს ჩვეულება შეიტანა თავის ოჯახში. მანაც ეგრე ჩაამწყვდია ქალი სახლში და აღარავისთან აჩენს. რომ უხსენო, ისიც კი ეწყინება, რადგან შიგ უბედურების აზრის მეტი ვერა უნახია-რა. მოისპო ხალხში გამოსვლა და გარევა. ძმას კი როგორ დაერიდება ქალი და ძმისწულთან კი მორიდებული უნდა იყოს, ბიძაშვილს ქმართან ვერ გაუცინებს, სხვებს ხომ სულ ვერ ეჩვენება. დაპატარავდა მისი წრე, ყოველმხრივ კედელი აღიმართა.

**რანაირად შეხვდებოდა თავის ბედს ქართველი ქალი, შვილი სტუმართ-მოყვარე ერისა, დედაშვილობისა და დაძმობის აზრზე აღზრდილი, მიმდევარი ნათესაობისა შვიდ მუხლამდე? რას იტყოდა იგი, როცა რჯულმა ძალა დაატანა, ჩაიცვა უსახლებო კაბა, ჩამოიფარა პირზე ჩადრი, მზის სინათლიდან შეიკეტა სახლში და ბნელში დაჯდა, დაემალა არა თუ შორეულ სტუმარს, არამედ თვით მახლობელთ?** რა თქმა უნდა, იგი წუთი იქნებოდა დიდი, მეტად დიდი მოვლენილი რისხვა ქართველ ქალის ცხოვრებაში, ბრძოლა განუცდელი არ დარჩებოდა იგი, მაგრამ უღონობის გამო შედეგი იქნებოდა მხოლოდ სულის კვეთება იდუმალი და გულში ჩადებული უკმაყოფილება ბედის ცვლილებისა; და იგი, სულიერი განწყობილება, თაობიდან თაობამდე გადმოიტანა ორასი წლის აქეთ და დღეს მ. ხანუმის პირით გვეუბნება: **ქალი რა არის, მეტირება, ჯოჯოხეთია ეს ქვეყანა ჩვენთვის. განა ქალი ისეთივე კაცი არ არის? თუ კი კაცია თავისუფალი და ხარობს წუთი სოფლითა, ქალს რაღად უნდა ჰქონდეს დაშლილი ძმებთან თავისუფლად გამოჩენა და მათთან გახარება კარგის გაგონებითა და კარგის ნახვით?** ღმერთმა ხალხი ერთმანეთისთვის დაბადა, მზე და მთვარე ჩვენთვის გააჩინა სალხინოდ და სასიამოვნოდ. და თუ ჩვენ პირს დავიბნელებთ და ჩავიკეტებით, რით გავიტანოთ ჩვენი მოწყენილი ცხოვრება, საფლავში ხომ არ ვისხდებით და იქ ვილაპარაკებთ! ქალს პირზე ჩადრს იმიტომ აფარებენ, რომ კაცმა არ შეჰხედოს და არ გაირყვნესო, მაგრამ თუ ქალი არ ვარგა, ჩადრი ვერ დაიფარავს და თუ სვინდისიანია, ჩადრი რათ უნდა? იგი თავის პატიოსნებას თითონ დაიცავს. მე იმიტომ მინდა თავისუფლება, რომ ჩემი სვინდისი შევინახო; მაშინ დაფასდება.

**რაღაა იმისთანა პატიოსნება, თუ ქალი იმიტომ ვერ ექცევა სიავეს, რომ შებოჭილია?** თუ თვალითგან გაირიდა, მაშინ რაღა დაუშლია? არა, კაცმა თითონ უნდა იცოდეს თავისი ფასი და პატიოსნება. ამ სიტყვებით ჩივის ქართველი ქალი, დიდ ფსიხოლოგიურ სიმართლესთან დიდ საყვედურს იძლევა. იგი თაკილობს, რომ მას არ ენდობიან და ზედმეტი საზიდი ბარგი აჰკიდეს, ქვეყანას გამოაკლეს, უსამართლობას უსამართლობა შესძინეს! განა არ იყო უწინ და განა არ არის დღეს პირ ახდილი ქართველი ქალი? რას აშავებენ და რა დავაშავე მე? მე ჩემი თავის იმედი მაქვს, მე ჩემი თავი კაცად წარმომიდგენია! ეხლა კი დამცირებააო!

*„დროება“, N38, 1910 წ. სტატიის მანქანაზე ნაბეჭდი პირი და გაზეთის ნომერი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.*

# საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა

## (1917-1918 წწ)

◄ დასაწყისი გვ. 2

**დამოუკიდებლობა“, – აი პირველი ნაბიჯი, როცა აქაური მოლაპარაკება შეწყდება. ... თქვენ ვალდებული ხართ ერს უხელმძღვანელოთ, თქვენ უნდა ითამაშოთ რადიკალური ბურჟუაზიის როლი, არავინ არის თქვენსავით გავლენიანი. ნუ გადააქცევთ ერისა და სახელმწიფოს საქმეს პარტიის საქმედ. პარტია, ეროვნული გრძნობით განმსჭვალული, შეძლებს ერის ხსნას“.**

16 მაისს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისთვის ნიადაგის მომზადების საკითხი განიხილა. სხდომაზე დამტკიცდა დამოუკიდელობისთვის ნიადაგის მომზადების კომისია სამი კაცის: ნოე რამიშვილის, დავით ვაჩნაძის და შალვა მესხიშვილის შემადგენლობით, რომელიც დაუყოვნებლივ აქტიურად შეუდგა მუშაობას.

18 მაისს თურქებმა დაიკავეს ალექსანდრეპოლი (დღევანდელი გიუმრი. სომხეთი). იმავე დღეს თურქეთის დელეგაციის მეთაურმა ჩხენკელს გადასცა მემორანდუმი, რომელშიც თურქეთი კატეგორიულ უარს აცხადებდა ამიერკავკასიის ფედერაციული რესპუბლიკის ცნობაზე. **„ამიერკავკასია არ წარმოადგენს ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე ხელმომწერ მხარეს. უფრო მეტიც, ამ ზავის დადებისას ის არც წარმოადგენდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს. ამიტომ ამიერკავკასიის დემოკრატიულ-ფედერაციულ რესპუბლიკას უფლება არა აქვს გამოთქვას შენიშვნები ზავის პირობებზე, ან ამ პირობების სისრულეში მოყვანის წესზე ,“** – ნათქვამი იყო მემორანდუმში.

მოლაპარაკების გაგრძელება აზრს კარგავდა. მეორე დღეს, 19 მაისს, ჩხენკელმა მიიღო ფონ ლოსოვის წერილი, რომელშიც გერმანელი გენერალი ამიერკავკასია-თურქეთის მოლაპარაკებაში შუამავლის როლის შესრულებისთვის თავისი მზადყოფნის შესახებ აცნობებდა. ფონ ლოსოვი თხოვდა, ჩხენკელს გაერკვია – თანახმა იყო თუ არა ამიერკავკასიის ფედერაციის დელეგაცია გერმანიის შუამავლობაზე. ჩხენკელი იმავე დღეს შეხვდა დელეგაციას და გარკვეული დებატების შემდეგ იგი გერმანიის შუამავლობაზე დაითანხმა.

22 მაისს ჩხენკელი კიდევ ერთ საიდუმლო წერილს უგზავნის ეროვნულ საბჭოს, რომელშიც დაბეჯითებით ითხოვს საქართველოს დამოუკიდებლობის დაუყოვნებლივ გამოცხადებას. **„ურისკოდ არაფერი კეთდება. სახელმწიფო ვის აუშენებია ურისკოდ! საჭიროა გამბედაობა და კიდევ გამბედაობა!“** – წერდა ჩხენკელი.

ამ წერილებით და მთელი თავისი საქმიანობით აკაკი ჩხენკელი წარმოგვიდგება, როგორც თავისი ქვეყნის გულმხურვალე პატრიოტი.

საქართველოს ეროვნული საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი და პრეზიდიუმი მთელი დატვირთვით მუშაობდნენ. უამრავი საკითხი იყო მოსაგვარებელი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების პოზიციასაც. 24 მაისს თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ნოე ჟორდანიამ საფუძვლიანი არგუმენტებით დაუსაბუთა სხდომის მონაწილეებს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აუცილებლობა. აღმასკომმა მთლიანად დაუჭირა მხარი ჟორდანიას.

24 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასკომის სხდომაზე ჟორდანიამ წაიკითხა ჩხენკელის მიერ წინა დღეს გამოგზავნილი კიდევ ერთი წერილი, რომელშიც ის დამოუკიდებლობის გამოცხადების დაჩქარების საკითხს აყენებდა. ჟორდანიამ მოითხოვა, რომ 25 მაისს, ღამის 10 საათზე შეკრებილიყო ამიერკავკასიის სეიმი, რომელიც დაშლილად გამოაცხადებდა ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს, ხოლო თვითონ უფლებამოსილებას მოიხსნიდა. ამის შემდეგ საქართველოს შეეძლო დამოუკიდებლობის გამოცხადება. სომხებმა და აზერბაიჯანელებმა სეიმის დაუყოვნებლივ შეკრებაზე სხვადასხვა საბაბით უარი განაცხადეს. სეიმის შეკრება 26 მაისის 12 საათისთვის გადაწყდა. სეიმის მიერ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფოს დაშლილად გამოცხადებამდე ჟორდანიას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მიზანშეუწონლად მიაჩნდა. ეს გარკვეულ უხერხულობას შექმნის, რადგან ერთდროულად იარსებებს ორი მთავრობა – ამიერკავკასიის და საქართველოს მთავრობაო, – აღნიშნა მან აღმასკომის სხდომაზე. სხდომის მონაწილეთა ნაწილი თვლიდა, რომ სეიმის შეკრებამდე ერთი დღით ადრე დამოუკიდებლობის გამოცხადება შესაძლებელი იყო. გაიმართა კენჭისყრა. 25 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას მხარი დაუჭირა 6-მა, წინააღმდეგი იყო 4 კაცი. გადაწყდა დამოუკიდებლობის 25 მაისს გამოცხადება. ჟორდანიამ მოსალოდნელ შედეგებზე პასუხისმგებლობა მოიხსნა.



გერმანელი ჯარისკაცები თბილისში. 1918 წელი

25 მაისს დამოუკიდებლობის გამოცხადება მაინც ვერ მოხერხდა. კენჭისყრიდან სულ მალე გაირკვა, რომ შესამუშავებელი იყო დამოუკიდებლობის აქტი.

ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა 1918 წლის 26 მაისს გაიმართა. დღის 3 საათზე სეიმმა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა დაშლილად გამოაცხადა. სეიმის სხდომის შემდეგ კარლო ჩხეიძემ მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს ტელეგრამით ამცნო სეიმის გადაწყვეტილების შესახებ.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა 1918 წლის 26 მაისს, კვირას, დღის 4 საათსა და 50 წუთზე გაიხსნა. სხდომას ეროვნული საბჭოს 42 წევრი და 36 კანდიდატი ესწრებოდა.

საქართველოს ეროვნული საბჭოს ამ ისტორიულ სხდომას ნოე ჟორდანია თავმჯდომარეობდა. მანვე წარმოსთქვა სიტყვა და წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. **„ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“,** – ნათქვამი იყო დამოუკიდებლობის აქტის პირველ მუხლში.

საქართველოს პოლიტიკურ სისტემად დემოკრატიული რესპუბლიკა გამოცხადდა. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივ ნეიტრალიტეტს აღიარებდა. დამოუკიდებლობის აქტი იუწყებოდა, რომ დამფუძნებელი კრების მოწვევამდე საქართველოს მართვა-გამგეობას ეროვნული საბჭო განახორციელებდა.

დამოუკიდებლობის აქტის ერთხმად მიღების შემდეგ ნოე ჟორდანიამ ეროვნულ საბჭოს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პირველი კოალაციური მთავრობის შემადგენლობა წარუდგინა:

**ნოე რამიშვილი** – მთავრობის თავმჯდომარე;

**აკაკი ჩხენკელი** – საგარეო საქმეთა მინისტრი;

**გრიგოლ გიორგაძე** – სამხედრო მინისტრი;

**გიორგი ჟურული** – ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი;

**გიორგი ლასხიშვილი** – სახალხო განათლების მინისტრი;

**ნოე ხომერიკი** – მიწათმოქმედებისა და შრომის მინისტრი;

**შალვა მესხიშვილი** – იუსტიციის მინისტრი;

**ივანე ლორთქიფანიძე** – გზათა მინისტრი:

**საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით წარმატებით დასრულდა ქართველი ხალხის მრავალი თაობის ბრძოლა ეროვნული სუვერენიტეტისთვის.**

საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ სულ 1028 დღე – არასრული სამი წელი იარსება. ამის მიუხედავად მან ღრმა კვალი დატოვა არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო ისტორიაშიც. ეს იყო მთელ მსოფლიოში პირველი სოციალ-დემოკრატიული სახელმწიფო, რომლის მიერ განხორციელებულმა სოციალ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა გარდაქმნებმა უნიკალური გამოცდილება დაუტოვა ცივილიზებულ სამყაროს.

სწორედ ამიტომ შესცქეროდნენ დიდი სასოებით მას ევროპელი სოციალ-დემოკრატები, რომლებიც მასში თავიანთი იდეების რეალურ ხორცშესხმას ხედავდნენ. **ინგლისის მუშათა პარტიის ბელადი რამზეი მაკდონალდი აღნიშნავდა: „...თუ რომელიმე ერს თავისუფლება ეკუთვნის, ესაა ქართველი ერი, რომელმაც დაუმტკიცა მთელ კაცობრიობას თავისი მაღალი კულტუროსნება და პოლიტიკური სიმწიფე. მე გავეცანი მის კონსტიტუციას, მის სოციალურ და ეკონომიკურ აღმშენებლობას. მე იქ რაც ვნახე, ვისურვებდი ასე მოწყობილი მენახოს ცხოვრება ჩემს ქვეყანაში“.** ბელგიელი სოციალისტი ემილ ვანდერველდე წერდა: **„ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა ჩამოაყალიბეს დამოუკიდებელი საქართველო ნაციონალურ ფარგლებში ჭეშმარიტი დემოკრატიული იდეებით.“** კარლ კაუცკის აზრით კი **„რევოლუციამ საქართველოს მოუტანა პროვინციებისა და სოფლების სრული თვითმმართველობა“.** მოგვიანებით ეს გამოცდილება წარმატებით გადაიღო და შემდგომ განავითარა 28 სახელმწიფომ (შვედეთი, ნორვეგია, დანია, გერმანია, ესპანეთი და სხვ), რომლებმაც ეკონომიკური აღმავლობისა და სოციალური თანასწორობის მეტად მაღალ დონეს მიაღწიეს.

უჩა ბლუაშვილი,
პროფესორი

## თარგმანები

### ალექსანდრე პუშკინი

***

ძველი ცოდვების გამო ლამის
ამტკივდეს კუჭი,
აღარც წამლები მშველის, არც
სინანულის განცდა,
აფსუს, მერკურის შუქიც
სისხლში ტყუილად გაცდა
და ესკულაპის სიტყვაც,
ვატყობ, გამოდგა ფუჭი.

### თეოდორ ტიუტჩევი

***

შეგხვდით და უმალ ოქრო
წარსული
ხსოვნაში თითქოს კვლავ
აცისკარდა,
თითქოს, გაცოცხლდა
დაჭრილი გული,
სულში ჩაღვრილმა სითბომ
იმატა.

***

ეს გახსენება არ არის მხოლოდ,
ეს სიცოცხლეა და სიხარული,
არც თქვენი ხიბლი ჩანს რიგში
ბოლო,
არც ჩემი ტრფობა და
სიყვარული.

თარგმნა გურამ ჭავჭანიძემ

# ფაშა და მოჯამაგირე

(არაკი)

ერთ ფაშას ერთი მოჯამაგირე შჭერია. ერთხელ მოჯამაგირე ეკითხება ფაშას, – როჲცა მოჰბეზრდა სამსახური და თან ოჯახი გაახსენდა: – ფაშა, არ'ნა გამიშვა შინა – ვადა არ გამითავდაო? ხო ხედამ, კაი ხან გემსახურე ერთგულათაო; არაფერი გამიფუჭებია. დიახო, – უთხრა ფაშამ – ცუდი მოსამსახურე რო ყოფილიყავი, მაშინ ხო პირველშივე გაგაგდებდიო. ახლა კი ჯერ'ნა იმსახურო იქამდინ, სანამ ფაშა არ გახდებიო. ეჰ, მოჯამაგირე დაღონდა, ველარაფერი უთხრა ამ ფაშას. დაღონებულ მოჯამაგირეს ამ სოფლი ხალხი შიეკითხა: რა შვრები, კაცო, არ განთავისუფლამს შენი ხაზეინიო? მოჯამაგირემ უპასუხა – არაო, მეუბნევა: – იქამდინ უნდა იმსახურო, სანამ ფაშა არ გახდებიო. მერე ხალხმა ასწავლა, ხო იცი, შვილო, ხალხი ყველაზე ჭკვიანია – ასე მოიქეციო – თუ არ გაგანთავისუფლოს, ჩვენ ვაგენთ პასუხსო: – მაგ შენ ფაშას რო ქოფაკი (ძაღლი) ჰყამს, წელზე ხჩოლი (წნელი) შემოუჭირეო და თუ რამეს გეტყვის ფაშაო, – უთხარი მაშინა. თაზია'ნა (მწევარი) გავხადო და იმიტუნ შემოუჭირე ხჩოლიო. მართლაც მოჯამაგირე ისე მოიქცა, როგორც თავი სოფლის ხალხმა ასწავლა. ერთხელაც დაიჭირა ეს ქოფაკი და დაუწყო წელზე ხჩოლის შემოჭერა. სწორედ ამ დროს სეირნობდა ფაშა, დაინახა რო თავისი მოჯამაგირე რაღაცა უცნაურ რამეს აკეთებდა და ჰკითხა გაოცებით: – რაჰ შვრები, შე კაი კაცო, ძაღლი ხო არ'ნა მოკლაო? – არაო, დიდებულო ფაშაო, წელს დაუმიწროვდება და თაზია გახდებაო. ფაშამ გულმოსულად უპასუხა: – მერე სად გაგონილა ასეთნაირად თაზიათ ქცევაო, რატო ამდენ არ ფიქრომო? მერე ძრიენ გიეხარდა მოჯამაგირეს, რადგან დაიჭირა ფაშა სიტყვაში და მიუგო: – შე კაი კაცო, თუ შენი სიტყვით და ბევრი მსახურით მე ფაშათ ვიქცევიო, ეგ ძაღლი წელზე ხჩოლის მოჭერით თაზია არ გახდებაო? ფაშა მიხვდა თავის შეცდომას და კმაყოფილი მოჯამაგირე სახლში გაუშვა, მოჯამაგირეს ანგარიში გაუსწორა ფაშამ და გახარებულმა მოჯამაგირემ მადლობა გადაუხადა ჯერ ფაშას, შემდეგ კი ხალხს, რომელმაც ჭკუა ასწავლეს და შინ წამოვიდა.

*მთქმელი მაქსიმე ბარამიძე, სოფ. ჩუნჩხა, ჩაწერილია 1948, გრიგოლ ბერიძის მიერ*

## შელოცვები

### წითელი ქარის ლოცვა

ბედო, ბედო, ბედნიერო, ლამაზო და მშვენიერო. მოხვალ ვერცხლივით, მოიელვამ ცეცხლივით. შენი წამალი რა არი?

1.ქათმისა შვილი (კვერცხი);
2.დიკის ფქვილი;
3.მყინვარი შაქარი და,
4.უცეცხლო თაფლი

### შიშის ლოცვა

ჰოლი, ჰოლი, გულო რამ შეგაშინა?

წყალმა შეგაშინა, ქვამ შეგაშინა, ხალხმა შეგაშინა, მანქანამ შეგაშინა (ჩამოთვლი რაც გინდა).

აგორებულა ქვა, დამდგარა ალაგსა. გულო დადექ ალაგდსა, შევკრათ, შევბოჭოთ, იოსების ხელითა, სალომიას ბეჭდითა. ღმერთო, შენ დასწერე შენი წმინდა ჯვარი, განკურნე, განწმინდე ამის ტკბილი ჯანი.

### თვალის ლოცვა

შეგილოცამ თვალისასა, შინაურისა, გარეულისა, შეშურვებისა, სიყვარულისა, შეგინებისა.

ავიღე მათრახი, გადავკარი კლდესა, ყამში გასკდა კლდე გადმოვარდა, დაიღვარა შავი წყალი. ღმერთო, შენ დასწერე შენი წმინდა ჯვარი, მოახმარე შენი ხმალი, განკურნე ამისი ტკბილი ჯანი.

### ქარის ლოცვა

შვიდი ძმანი მოდიან, შვიდნი მონადირეთა,
ვერცა შესჭამ ხორცსა, ვერცა შეხვრეტ ძვალსა,
ვერცა შეხვრეტ სისხლსა,
ვერცა შესვამ სისხლსა.
365-თმა წმინდა გიორგმა შერისხოს თქვენი გზა-კვალიც.
შერისხოს თქვენი გზაც, ხსენებაც.

ღმერთო, შენ დასწერე შენი წმინდა ჯვარი, განკურნე, განწმინდე ამისი ტკბილი ჯანი, მოახმარე შენი ხმალი.

### შაკიკის ლოცვა

შაკიკი მოკიკინებდაო სათივისა ბოლოსაო,
ხარი ღრღნიდა თივასაო, როგორც ჟანგი რკინასაო,
დილით შემოპარული საღამოს გაიპარაო,
ღმერთო, შენ დასწერე შენი წმინდა ჯვარი,
მოახმარე შენი ხმალი, განკურნე ამის ტკბილი ჯანი.

*მთქმელი ელისაბედ ნათენაძე-ინასარიძე. 93 წლის, სოფ, ანდრიაწმინდა, ახალციხის რაიონი. ჩაიწერა თამარ ინასარიძემ 1993 წელს*

## მესხური გამონათქვამები

❖ დედის სული დაუგდია და მამის სულს გამოკიდებიაო.

❖ ძაღლიდან ძაღლი იქნება, ძაღლიდან ბატკანი ვინ ნახაო.

❖ დედას ვისაც მისცემ, მამა გაგიხდებაო.

❖ ყვავმა თქვა: წყალგაღმა გავალ და თეთრ კვერცხს დავდებო და იქვე დაამატა: მე რომ ჩემი თავი ვიცი, იქაც შავ კვერცხს დავდებო.

❖ ცოლის ქებას რა უნდა, თუ წყალგაღმაა და წყალზე ხიდი არ არისო.

❖ ჭამა ძღომამდეა და არა სკდომამდეო.

❖ რიჟა კაცის სალამი ათი თუმნის ზარალიო.

❖ რაც არ დაგეხევა არ დაგეკერებაო.

❖ შურიანობას მიბაძვა გერჩივნოსო.

❖ როგორც ყველაფერი არ იჭმევა, ისე ყველაფერი არ ითქმებაო.

❖ ზედმეტ ფაფას ზედმეტი ბერვა უნდაო.

❖ შენთან მოვალ მალე-მალე, ჩემთან მოხვალ დაგემალეო.

❖ ცოლის მომყვანს ბევრი ცომი უნდაო.

მთქმელი ***სარა ზედგინიძე***, მცხოვრები ქ,თბილისში, 78 წლის. 2018 წელი

## ლეკიშვილების გვარი

ლეკიშვილები მოსულან კობახჩოდან. ლეკების ის არის ქვეყანა. ისე, სინამდვილეში, ლეკებს გაუტაციათ საქართველოდან ერთ-ერთი თავადის ცოლი. მარა, რომელი თავადი იყო, ეს არ ვიცი. ჰოდა, ეს ქალი წავიდა იქა და გააჩინა ტყუპი ბიჭები. ეს ქალი ფიქრით და დარდით მალე დაიღუპა. ე.ი. მანამ ეს ბიჭები დასანიშნი გახდებოდნენ, ეს ქალი დაიღუპა. შვილებს დაავალა: შვილებოო, თქვენ ხართ ქართველები, აქ არ უნდა დარჩეთ, წადით საქართველოშიო. მერე ეს ბიჭები, მამის უჩუმრად, წამოვიდნენ. წამოვიდნენ და მოვიდნენ საქართველოში. რო მოვიდნენ, მივიდნენ რომელიღაც მაზრაში. ალბათ, ასპინძის მაზრაში და აქ დასახლდნენ თოკსა და ხიზაბავრაში...

დღევანდელი ლეკიშვილები ერთი შტოს წარმომადგენლები არიან.

მე, როგორც ვიცი, დღეს ისინი ერთმანეთს აღარ ენათესავებიან. არ ენათესავებიან, იმიტომ, რო უკვე თაობა გადავიდა. ხოდა, ერთი ძმა ხიზაბავრაში წავიდა. ხოდა, რო დასახლდა ერთი ძმა, უთხრეს, ამ ბიჭსა, რო, რა გვარი ხარო. იმ ბიჭს დაავიწყდა, დედამისმა რო უთხრა თავისი გვარი და, უცბად, მოაგონდა, რო მე ლეკი ვარ და... ლეკიშვილიო, – უთხრა და დაერქვა ამით ლეკიშვილი, თორემ სინამდვილეში ლეკიშვილები არ იყვნენ ესენი. ქართველი კაცის შვილები არიან, მარა ლეკებში გაიზდა ის ბიჭი და რო მოვიდა საქართველოში, – რა გვარი ხარო, დედამისმა უთხრა, რო კვდებოდა, მარა დაავიწყდა, აღარ იცოდა. ორსული ქალი იყო (თავადის ორსული ცოლი მოიტაცეს). ხოდა, ესენი ერთი დასახლდა თოკში და მეორე ხიზაბავრაში. და ამ ბიჭსა, რო დასახლდა, იმ კაცის სახელი აღარ მახსოვს, ეყოლა ორი ბიჭი. ერთს ლუკაი ერქვა და მეორეს –თედორაი.

მთქმელი ***რუსუდან ხმალაძე***, ასპინძის რაიონი სოფ. თოკი, 75 წლის, ჩაიწერა ***თეა თოთაძემ*** 2016 წელს

# ადგილთა სახელის მართლწერისათვის

◀ დასაწყისი გვ. 10

ამოსჩქეფს მიწისქვეშეთიდან. ამ წყაროსთან დადგმულია **ავაზანები** (გეჯები) და სწორედ ამიტომ ჰქვია წყაროსა და მის შემოგარენს – **„ავაზანა“.**

არის კიდევ ერთი, ამავე სახელწოდების წყარო ტატანისიდან ახალციხის მიმართულებით 2,5 კილომეტრზე, საავტომობილო გზის პირას. მისი ზუსტი სახელწოდებაა **„ოთხავაზნები“.** სახელწოდებიდან ჩანს, რომ აქ ოთხი (ხის) **ავაზანი** იყო, რომლებიც, დალპობის შემდეგ, რკინის ორი გრძელი **ავაზნით** შეცვალეს, მაგრამ სახელწოდება მაინც ძველი შერჩა – **„ოთხავაზნები“.**

– *„რიცხვითი სახელი და მრავლობითი რიცხვი“?* – კითხულობს მ.ბერიძე, მაგრამ მესხური ამ მხრივ გამონაკლისი როდია. ასეა სხვაგანაც, მაგალითად, კახურში (*„გუშინ შვიდ<u>ნ</u>ი გურჯანელნი“...*), რაჭულში (*„ორ<u>ნ</u>ი ნაველით საომრად“..*) და სხვ. მესხურ **„ოთხავაზნებში“** მხოლოდ წყარო და ავაზნები კი არ იგულისხმება, არამედ ამ წყარო-ავაზნების მიმდებარე ტერიტორიაც – ყანები, სათიბ-საძოვრები. აკი მ.ბერიძეც სწორად შენიშნავს: *„ასე ჰქვია წყაროსა და მის გარშემო ყანებს“.*

**დოლორა.** ამ ტოპონიმთან დაკავშირებით მ.ბერიძე წერს: „**დოლონა** სათესის სახელია, გვაქვს გვარი **დოლონაძე,** რაც გვაფიქრებინებს, რომ **დოლონაც** ადამიანის საკუთარი სახელი უნდა ყოფილიყო. **დოლონას** პარალელურ ფორმად აქვს **დოლორა** და ძირითად ფორმად ის არის გატანილი, მაგრამ უფრო ძველი და სწორი ფორმა **დოლონაა,** რადგან სათიბის სახელად გვაქვს დიდი **დოლონა“** *(იქვე. გვ, 183).*

ვერ დავეთანხმებით ბატონ მერაბს, **დოლონას** და **დოლონაძეს** არაფერი საერთო არ აქვს ტოპონიმ **დოლორასთან,** გარდა ფონეტიკური „სიახლოვისა“. **დოლორა** არ გამოდგება **„დოლონას** პარალელურ ფორმად„; არსებობს არა **დიდი** **დოლონა,** არამედ **დიდი** (და **პატარა**) **დოლორა,** რომელთაც მრავლობითშიც მოიხსენიებენ ხოლმე: **დოლორიები. დოლორაში** თუ **დოლორიებში** აქა-იქ კია სახნავ-სათესი და სათიბი, მაგრამ ის უფრო პანტისა და მსხალ-პანტის ტყეა, რომელიც სოფელ ჭვინტას (და არა ჭვინთას) აკრავს სამხრეთიდან. **დოლორა** ზანიზმი უნდა იყოს. მას შეიძლება „პარალელი“ მოეძებნოს პატარა ქალაქ **დიღურთან** თუ **დიღვირთან,** რომელიც თურქეთის საზღვარშია მოქცეული... ვარაუდი მნიშვნელოვანი მომენტია კვლევისას, მაგრამ მას ყოველთვის არ მივყავართ სასურველ შედეგამდე.

**ქუმი.** მ.ბერიძე აქაც „გვიტოვებს“ სათქმელს. იგი იმოწმებს ტატანისელ გლეხ ***კირილე სამსონიძეს*** და წერს, რომ ძეგლის ნამდვილი სახელია **გუმი:** *„იგი მე ჩავიწერე 1977 წელს კირილე ალექსანდრეს ძე სამსონიძისაგან, რომელიც მაშინ 80 წლის იყო. 2007 წელს კირილე ცოცხალი აღარ არის, სხვასთან* ***„გუმის“*** *ფორმა ველარ დავადასტურე“ (იქვე.გვ.185).* დადასტურება შეიძლებოდა, ტატანისში ხომ კირილეს გარდა სხვებიც იყვნენ, მაგრამ მაშინაც ვერ დაადასტურებდა, რადგან ფორმა – **„გუმი“,** უცხოა ადგილობრივი მოსახლეობისათვის – როგორც ტატანისელი, ისე გაახალციხელებული სამსონიძეებისთვისაც. კირილემ, ეტყობა, გამოკვეთილად და გასაგებად ვერ თქვა სათქმელი. ის ახალციხის სატყეო მეურნეობაში მუშაობის დროს თვითონ იყო **ქუმის** ეკლესიის მიმდებარე სატყეო უბნის მცველი და ვერავინ გეტყვით, რომ მას **ქუმის** ეკლესია, თუნდაც ერთხელ, **გუმის** სახელით მოეხსენიებინოს. ამ ძეგლის დღევანდელი სახელწოდებაა **ქუმა, ქუმის** ეკლესია, წარსულში – **ხუმა, ხომა, ხომის** მონასტერი. ასე, რომ, 80 წლის კირილე სამსონიძის მიერ „შემოთავაზებული“ **გუმი** ვერ გამოდგება ჩვენი ძეგლის სახელწოდებად. ვერ გამოდგება თუნდაც იმიტომ, რომ ეს ძეგლი ერთგვარ კავშირშია „ამირან-დარეჯანიანის“ – ავტორის სახელთან. ამასთან დაკავშირებით ჯერ კიდევ 1982 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მე-8 ნომერში გამოვაქვეყნე წერილი *„გუმბათიანი მონასტერი“ და მოსე ხონელი“*, რომელშიც ვწერდი, რომ ხსენებული ნაწარმოების ავტორი იყო არა **ხონელი,** არამედ **ხომელი,** რომ ის უნდა ყოფილიყო **ხომის - წყლის** ხეობის ბატონ-პატრონი, ან ამ ხეობაში არსებული **ხომის** მონასტრის წინამძღვარი *(ძეგლიც და ხეობაც ახალციხის რაიონშია).*

მომდევნო, 1983 წლის ჟურნალ „კრიტიკაში“ (N3) დაიბეჭდა ცნობილი ირანისტის ***მაგალი თოდუას*** წერილი *„კვალი იმედიანი“*, რითაც დამაჯერებლად მტკიცდება მოსეს **ხომელობა**, მისი წარმომავლობა მესხეთის **ხომიდან.**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მართებულად მიიჩნია ჩვენი ეს „აღმოჩენა“ და მის მიერ „ვეფხისტყაოსნის„ახალ გამოცემაში ტაეპი ასე ჩამოაყალიბა:

„ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია **ხომელსა“.**

თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი მკვლევარი „ტრადიციული“ დაწერილობის (**„ხონელსა“**) მომხრეა დღესაც.

აი ამ აზრთა (**„ხონელსა“** თუ **„ხომელსა“**) ჭიდილში უადგილოდ გამოჩნდა ძეგლის ახალი სახელი **„გუმი“.** ეს უკვე მეტისმეტია და აზრიც არა აქვს მასზე საუბარს. როგორ, მოსე შეიძლება **გუმელიც** ყოფილიყო?..

საკითხავია, რატომ „დავიწვრილმანე“ თავი ამ სამიოდე ტოპონიმზე საუბრით? ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ, ჯერ ერთი, ტატანისი ჩემი მშობლიური სოფელია, ბავშვობა და სიყმაწვილე აქ გამიტარებია და, ალბათ, არავისგან უნდა მესწავლებოდეს აქაურ ადგილთა სახელების სწორი წერა-წარმოთქმა, მეორეც, – არ მინდა შეცდომაში შედიოდნენ „ტაძრებისა და სახელების“ არამარტო მკითხველები, არამედ მისი ავტორიც.

*ვაჟა სამსონიძე*

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scri.co; fcoo: ლიტერატურული მესხეთი

**დამფუძნებლები:** ფიზიკური პირი **ავთანდილ ბერიძე**
**სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შეძენა შეგიძლიათ პრესის გარე გამავრცელებლებთან და საქართველოს რაიონებში – „საქპრესის“ ჯიხურებში

**გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/ 4-17**

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

**რედაქტორი** ავთანდილ ბერიძე
**სარედაქციო საბჭო:**
დურმიშხან ბერიძე, მერაბ ბერიძე, ვახტანგ ინაური, სოსო გიქოშვილი

**გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. "საარის" სტამბაში.**
**მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57.**
**ტელ: 2 94-14-32**

რედაქციის მისამართი:
0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3,
ტელეფონები:
მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24,
lit.mshti@gmil.com
lit_meskheti@yahoo.com